# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



დაარსებულია 1918 წელს.



შაბათი, 23 ივნისი, 2007 წელი.

№ 117 (5718)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


# „ნამეტანი ჭკვიანი კაცი ხარ შენ, შევარდნაძე“...

რეალურად, 1998 წლიდან, ქვეყანას მართავდა შევარდნაძე-ჟვანიას შერეული ხელისუფლება. ჟვანიას გუნდის აშკარა ოპოზიციაში გადასვლის შემდეგ, ხელისუფლება უნდა წარმოვიდგინოთ წყალქვეშა ნავის სახით, სადაც ეკიპაჟის ერთი ნაწილი ხვრეტდა ნავის კორპუსს ჩასაძირად, მეორე ნაწილი ცდილობდა ამ ნახვრეტის დაგმანვას



ვახტანგის ადგილს
იჭერს ხეჩუა,
გვეცლება ქართლი
თვალს და ხელს შუა
მუხრან მაჭავარიანი

4–6

ის კაცი, რომელიც ჰაერითა და წყლით საზრდოობს, აფინანსებს, მაგალითად, სახელმწიფო ენერგეტიკის თუ კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარეს, რომელსაც თურმე ყოველთვიურად რამდენიმე ათასი ლარი ეძლევა. პენსიონერი კი, ვინც ენგურჰესი ააშენა, 38 ლარს იღებს



◉ „ტელედებატები“



## ძალები არათანაბარი იყო, შედეგი – შესაბამისი

მოკლედ და მკაფიოდ უნდა ითქვას, რომ არც ერთი ქართული ხელისუფლება ან, მით უმეტეს, ქართველი ხალხი, არამც და არამც, არ შეურიგდება ოდითგანვე ჩვენი მიწა-წყლის ხელყოფას, მისი ტერიტორიების მითვისებას!

11

## ტყეში ეკალას დაკრეფავს ან დაგვიშლიან?

2

## თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხისა და ახალქალაქის ფილიალები არ უქმდება!

3



ВРЕМЯ НОВОСТЕЙ



## „შევარდნაძემ ხელიდან გაუშვა მომენტი“

ყოვლად დაუშვებელია ახალი ომი, იგი ყველაფერს დაღუპავს. დიმიტრი სანაკოევის ალტერნატიულ ადმინისტრაციას იურიდიული ძალა არა აქვს. მეორე მხრივ კი, მისი შექმნა მნიშვნელოვანი მორალურ-ფსიქოლოგიური მომენტია

5



## მალთუსი – კაცობრიობის მტერი თუ მოყვარე?

მალთუსის მიერ ზნეობრივი თავშეკავებულობისადმი მოწოდება სრულიად ახალი მიდგომა იყო მოსახლეობის გამრავლების შეზღუდვის საქმეში. მას იმასაც სწამებენ, თითქოს მოსახლეობის შესამცირებლად მოუწოდებდა ომების, ეპიდემიებისა და შიმშილის გავრცელებისაკენ.

7–8

● მიუხედავად მომხიბლავი პერსპექტივისა, ოპოზიცია და საზოგადოების გარკვეული ნაწილი ფიქრობს, რომ, თუ ასე გაგრძელდა, საქართველოს ტყეებს განადგურება ემუქრება

◎ აქტუალური თემა

# ტყეში ეკალას დაკრეფას არ დაგვიშლიან?



**მაისში აუქციონზე ოცწლიანი ვადით ტყით სარგებლობის სანებართვო ლიცენზიები გაიყიდა. ოდიშის სატყეო უბნის ტერიტორია 2 მილიონ 900 ათას ლარად ქართულ-ჩინურმა კომპანიამ იყიდა. ახალციხის ტყის მასივის საწყისი ფასი იყო მილიონ 28 ათასი, ვაჭრობის შემდეგ კი ის 2 მილიონ 93 000 ლარად ქართულ-ბელგიურმა ფირმამ შეიძინა, ხოლო ყვარლის სატყეო უბანზე ლიცენზიის ღირებულება იყო მილიონ 73 000 ლარი და ქართულ-იტალიურმა კომპანიამ 2 მილიონ 85 000 ლარად შეისყიდა. ერთი სიტყვით, ტყით სარგებლობის გრძელვადიანი ლიცენზიები გაიყიდა, თორემ ეს ტყეები ისევ ჩვენია.**

ეს კომპანიები ვალდებული არიან, ერთი წლის განმავლობაში, საერთაშორისო სატყეო მეურნეობის პრინციპებზე დაყრდნობით, ჩაატარონ ტყის მასივების დეტალური ინვენტარიზაცია და შეიმუშაონ შესაბამისი მართვის გეგმა, რომელსაც უნდა ახლდეს საერთაშორისო სატყეო ორგანიზაციების მიერ გაცემული სერტიფიცირებული დადებითი დასკვნა. როგორც ამ დარგის ექსპერტები აცხადებენ, მართვის გეგმის შემუშავება იმ პრინციპების გათვალისწინებით ხდება, რომ მაქსიმალურად იყოს შენარჩუნებული ტყის როგორც ეკოლოგიური, ასევე სოციალურ-ეკონომიკური ფუნქციები. გარდა ამისა, ამ კომპანიების დამატებითი პირობები ასეთია: დასაქმებული ადამიანების 90 პროცენტი ადგილობრივი ან სხვა რეგიონებიდან ჩამოსული საქართველოს მოქალაქე უნდა იყოს. მეორე პირობა ის არის, რომ ხეტყის პირველადი დამუშავება საქართველოში უნდა მოხდეს, ანუ ეს ნიშნავს ხალხის დასაქმებას, ახალ სამუშაო ადგილებს,

მიუხედავად მომხიბლავი პერსპექტივისა, ოპოზიცია და საზოგადოების გარკვეული ნაწილი ფიქრობს, რომ, თუ ასე გაგრძელდა, საქართველოს ტყეებს განადგურება ემუქრება. ხელისუფლების აზრით, ამგვარი ეჭვები უსაფუძვლოა და თუ ლიცენზიანტები დაარღვევენ პირობებს, იქნება საჯარიმო სანქციები. უარეს შემთხვევაში კი ლიცენზიები ჩამოერთმევათ. მაგალითად, დარღვევად შეიძლება ჩაითვალოს ფერდობზე ხეტყის გაკაფვა ისე, რომ მეწყერსაშიშ ადგილად იქცეს. ასეთ შემთხვევაში მათ ლიცენზია ჩამოერთმევათო.

ისმება კითხვა, რა პრინციპით ისარგებლებს მოსახლეობა ტყით? – ამ და სხვა მწვავე კითხვებზე ოპოზიციამ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილე ირაკლი ღვალაძისგან ამომწურავი პასუხები მოითხოვა.

– წალვერში ტყეში რომ შევიდეს ადამიანი, თურმე უნდა აილოს 30-ლარიანი ბილეთი. მხოლოდ შემდეგ ეძლევა მას უფლება, რომ, მაგალითად, სოკო მოკრიფოს. თუ მანამდე მოკრიფა სოკო, 200-ლარიანი ჯარიმა უნდა გადაიხადოს. ასევე ყოფილა საჩხერეში. უნდა გავარკვიოთ ეს ამბავი, – განაცხადა რესპუბლიკელმა თემურ ნერგაძემ.

– თუ ასეთი ფაქტები ხდება, ეს დარღვევაა. მით უმეტეს, როცა პირადი მოხმარებისთვის ხდება სოკოს მოპოვება, – განმარტა მინისტრის მოადგილემ.

ირაკლი ღვალაძემ დეპუტატებს სატყეო კოდექსში ცვლილებები გააცნო. მან ტყეებთან დაკავშირებულ ინიციატივებზე ისაუბრა:

– აქამდე არსებობდა ოთხი სახის ნიხრი, რომელიც დაკავშირებული იყო ხეტყის რესურსის დიამეტრთან, მანძილთან რკინიგზის მაგისტრალიდან. მოსაკრებელი ამის მიხედვით განისაზღვრებოდა. ჩვენი პროექტის მიხედვით, ეს უქმდება და ყველასთვის ერთი, მინიმალური მოსაკრებელი შემოგვაქვს.

„დემოფრონტელი" ბეჟან გუნავა დაინტერესდა, რამ განაპირობა მოსაკრებლის შეცვლა სწორედ იმ დროს, როცა საქართველოში ტყეები გაიყიდა. მისი აზრით, მოსაკრებლის შეცვლა ტყეებს გაანადგურებს.

– დიამეტრთან დაკავშირებული ნიხრები მიზანშეწონილი იყო. ამით ჩვენ ტყეს ვინარჩუნებდით. ამ კანონის ამოქმედების შემდეგ გაკაფვის დროს ხის დიამეტრს მნიშვნელობა არ ექნება და ტყეები განადგურდება. თქვენი დასაბუთება გაუგებარია, – მიმართა მან მომხსენებელს. გუნავამ აღნიშნა, რომ გარემოს დაცვის სამინისტრო ლახავს ეკლესიის უფლებებს. მისი თქმით, სამინისტროს საპატრიარქოსთვის კუთვნილი ტყეები არ გადაუცია.

– იბეგრება თუ არ იბეგრება ჭიდან წყლის მოპოვება? – გუნავას ამ საკითხზე ირაკლი ღვალაძეს განმარტება მოსთხოვა. – ჭიდან წყლის მოპოვება არ იბეგრება, – განაცხადა მინისტრის მოადგილემ. გუნავას ინფორმაციით კი, საგადასახადოს თანამშრომლები ჭების პატრონებისგან გადასახადებს ითხოვენ.

– საზოგადოებაში გავრცელებულია ინფორმაცია, რომ ადამიანს არა აქვს უფლება, ეკალა, მაყვალი მოკრიფოს, ან წაბლი მოაგროვოს ტყეში. ხალხში არსებობს ასეთი მცდარი ინფორმაცია, – აღნიშნა საფინანსო – საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ბეჟან ბუცხრიკიძემ და გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილისგან მოითხოვა, რომ მან ეს მითქმა-მოთქმა არარსებულ მოსაკრებლებთან დაკავშირებით, საჯაროდ უარყოს.

ირაკლი ღვალაძემ განაცხადა, რომ ასეთი მითქმა-მოთქმა ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია, თუმცა დააზუსტა, რომ ზოგიერთ რაიონში იმავე ეკალას მოკრეფის დროს მთლიანად ანადგურებენ ბუჩქებს, რაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევაა და კანონით ისჯება.

**მზია გელენავა**



◎ ინფორმაცია

## ეკლესიას საფრთხე შეექმნა

**ძლიერი წვიმების შედეგად, ზუგდიდის რაიონის სოფელ კორცხელში მდებარე XVII საუკუნის ეკლესიას საძირკველი გამოეცალა და ეკლესიაში ყოფნა მრევლისთვის და ეკლესიის მსახურებისთვის უკვე საშიში გახდა.**

**ის ტერიტორია, სადაც ეკლესია მდებარეობს, მეწყერსაშიშ ზონად ითვლება. როგორც გაირკვა, ძლიერი წვიმების შედეგად ჩამოირეცხა კლდე, რომელზეც დაშენებული იყო ეკლესიის საძირკველი.**

**ეკლესიის გვერდით მდებარეობს დედათა მონასტერი, რომელიც სამეგრელოს, ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიის მღვდელმთავრის მეუფე გერასიმის რეზიდენციის სტატუსსაც ითავსებს.**

**აქედან გამომდინარე, საფრთხის ქვეშაა დედათა მონასტრის შენობაც.**

## გორაკა სტიქიამ გარიყა

**კასპის რაიონში მდებარე ოსური სოფელი გორაკა მეწყერმა რაიონს მოწყვიტა. სოფელი მისასვლელი გზის გარეშეა დარჩენილი.**

**მეწყერმა კასპის რაიონის რამდენიმე სოფლის სარწყავი სისტემაც დააზიანა და საცხოვრებელი სახლები ნგრევის საფრთხის წინაშე დააყენა.**

**სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყება ჯერჯერობით შეუძლებელია, რადგან მეწყერი ყოველდღიურად მოდის.**

**ადგილობრივი მოსახლეობა დახმარებას ითხოვს. ისინი აცხადებენ, რომ საცხოვრებელი სახლების დამეწყვრის შიშით, ყოველ ღამეს ღია ცის ქვეშ ათენებენ.**

## კასპში მაწანწალა ძაღლებისა და კბენია ვირების შემოსევაა

**კასპის რაიონის მოსახლეობა მაწანწალა ძაღლების განადგურებას ითხოვს. ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ძაღლებმა 234 ადამიანი დაკბინა.**

**კასპში მაისის თვეში ცოფის შემთხვევებიც დაფიქსირდა. რამდენიმე დღის წინათ სოფელ ჭალაში მცხოვრები ჟუჟუნა ოღაძე მეზობლის ვირმა დაკბინა. ოღაძეს ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაციას უტარებენ. ვირს კი ვეტერინარები ათი დღის განმავლობაში დააკვირდებიან.**

**ადგილობრივი მოსახლეობა მაწანწალა ძაღლების განადგურებას და ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაციაზე შეღავათებს ითხოვს. მოსახლეობის დიდი ნაწილი აცხადებს, რომ ნაკბენის შემთხვევაში ვაქცინისათვის საჭირო თანხის გადახდას ვერ შეძლებს. რაიონში ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაცია ძაღლებსა და მსხვილფეხა რქოსან პირუტყვში საერთოდ არ ჩატარებულა.**

**ინტერპრესნიუსი**

◎ პოზიცია

# მაჭავარიანს მაჰმადიანი მესხების მიღება სურს



**პარლამენტის ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი მაჰმადიანი მესხების რეპატრიაციასთან დაკავშირებით „კონსერვატორების" დამოკიდებულებას, მათს „ოპოზიციონერობის" თამაშით გართობას უკავშირებს.**

როგორც მიხეილ მაჭავარიანმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, მაჰმადიანი მესხების საკითხი პოლიტიკური დისკუსიის თემა არ არის.

მისი თქმით, მესხები არიან ადამიანები, რომლებიც ქართველებად დაიბადნენ, გაიზარდნენ და მათი სამშობლოში დაბრუნების ხელის შეშლის უფლება არავის აქვს, მათ შორის, არც პარლამენტარს.

– ცუდი თემა აირჩიეს დისკუსიისთვის და ამიტომ აგებენ ხოლმე ყოველთვის და ახლაც წააგებენ, – განაცხადა მაჭავარიანმა.

მანვე აღნიშნა, რომ მის თაობას ახლა ეძლევა შანსი, წინა თაობების მიმართ პარანოიკულად განწყობილი ადამიანების მიერ დაშვებული შეცდომები გამოასწოროს და ეს შანსი ხელიდან არ უნდა გაუშვას.

**ინტერპრესნიუსი**

◎ ლტოლვილები

# მეტ ყურადღებას ითხოვენ

**საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ინიციატივით ახმეტის რაიონში მცხოვრებ ჩეჩენ ლტოლვილებს საბანკო ანგარიშები გაუხსნეს, სადაც ყოველთვიური დახმარების სახით 14 ლარი დაერიცხებათ. გარდა ამისა, სამოქალაქო რეესტრის სააგენტომ ლტოლვილებს იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი – დროებითი ბინადრობის მოწმობა გადასცა, რომლითაც მათ ქვეყნის შიგნით სამართლებრივი სტატუსი მიენიჭათ.**



მიუხედავად ამისა, ლტოლვილები საქართველოს ხელისუფლებას მეტი ყურადღებისკენ მოუწოდებენ. მათი თქმით, წლების განმავლობაში ჩეჩენი ხალხის პრობლემებით არავინ ინტერესდებოდა, 14-ლარიანი დახმარება კი უკიდურესად გაჭირვებული მოსახლეობისთვის არც თუ დიდი შეღავათია.

წლების განმავლობაში ხელისუფლების ყურადღების მიღმა მყოფ ჩეჩენ ლტოლვილებს ახალი ხელისუფლების პირობებშიც კი არა აქვთ იმის მოლოდინი, რომ მათი მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვლება. ხშირად მათ საზოგადოებისგან გარიყულ კასტასაც უწოდებდნენ, რომლებსაც არც საკუთარ ქვეყანაში ელის ვინმე და არც საქართველოში აქვთ დალხენილი ცხოვრება. მიწის ნაკვეთის უქონლობის გამო ვერც სოფლის მეურნეობის სამუშაოებს აწარმოებენ. ისინი უკვე დიდი ხანია მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციების ჰუმანიტარული მოწყალებით არსებობენ.

რამდენიმე თვეში იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტო ჩეჩნეთიდან ლტოლვილ მოსახლეობას სამგზავრო მოწმობებს გადასცემს, რომელიც მათ სწორედ მესამე ქვეყანაში გადასვლაში დაეხმარება. სავარაუდოდ, აღნიშნული დოკუმენტის გაცემის შემდეგ ჩეჩენ ლტოლვილთა უმრავლესობა საქართველოს დატოვებს და ევროპაში გაემგზავრება. შეგახსენებთ, რომ ოფიციალური მონაცემებით საქართველოში სულ 1140 ჩეჩენი ლტოლვილი ცხოვრობს.

**ჯი-ეიჩ-ენი**

№ 117. შაბათი, 23 ივნისი, 2007 წელი.

● თუმცა, პრობლემები არის და მოსაგვარებელიც ძალზე ბევრია, უმთავრესი ისაა, რომ საქართველოს ძირძველ, რთულ რეგიონებში განათლებისა და კუტურის კერები კი არ უქმდება, არამედ თვისებრივად ახლდება



◎ თვისებრივად ახლდება

# მესხეთ-ჯავახეთში კვლავაც იქნება ქართული განათლებისა და კულტურის კერები

## თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხისა და ახალქალაქის ფილიალები არ უქმდება!

**კარგია, როცა ისე არ წვიმს, როგორცა ქუხს. ძალზე კარგია, როცა უარესს ელი და უკეთესს კი გაიგონებ. მაშინ ეს უკეთესი გაცილებით მეტად გახარებს, ვიდრე სხვა შემთხვევაში გაამებდა.**

ასე გაგვახარა განათლების მინისტრის მოადგილის ბატონ ალექსანდრე დიდებულიძის ზარმა, ჩვენი ერთ-ერთი პუბლიკაციის გამო. თურმე, აზრადაც არავის მოსვლია იმ საჯარო სკოლების გაუქმება, სადაც 300 მოსწავლეზე ნაკლები ირიცხება, რის შესახებაც რატომღაც გავრცელდა ხმა.

ახლახან კი თსუ ჯავახეთისა (ახალქალაქიძ და მესხეთის (ახალციხეძ ფილიალებიდან გვეწვივნენ ჯავახეთის ფილიალის დირექტორი, ასოცირებული პროფესორი როინ ყავრელიშვილი და მესხეთის ფილიალის ლექტორი ბატონი მამია ჩიხრაძე. თურმე მითქმა-მოთქმა (რასაც სათანადო ტელესიუჟეტები და საგაზეთო პუბლიკაციები მოჰყვაძ, თსუ ფილიალები უქმდებაო, მართალი არ ყოფილა. უფრო მეტიც, მესხეთის ფილიალი, ალბათ, მალე დამოუკიდებელ ინსტიტუტად გარდაიქმნება, ყველა ფაკულტეტზე — საბაკალავრო, ხოლო სამ სპეციალობაზე (ასტრონომია, მათემატიკა და ქართული ენაძ სამაგისტრო პროგრამებით. აი, ფილიალს სადოქტორო პროგრამა რომ წარედგინა, იგი სულაც დამოუკიდებელ უნივერსიტეტად გადაკეთდებოდა.

უმთავრესი კი ესაა — ბევრი რამ რეგიონის სპეციფიკის, სახელმწიფო ინტერესების შესატყვისად კეთდება. თუმცა, თავად სტუმრებს მოვუსმინოთ.

**როინ ყავრელიშვილი:** ფილიალები არ უქმდება. მხოლოდ და მხოლოდ მათი რეორგანიზება მიმდინარეობს. ჩვენი სასწავლებელი, სავარაუდოდ, კოლეჯად მოიაზრება, ოღონდ, საბაკალავრო პროგრამით. ვიმეორებ, გაუქმება გამორიცხულია. ფილიალი 5 წლის წინათ გაიხსნა. ორი გამოშვება გვქონდა. ახლა, თუ კოლეჯად გადაკეთდა, I-II-III-კურსელები საქართველოს ნებისმიერ აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში განაგრძობენ, IV და V კურსები კი ადგილზე დაასრულებენ სწავლას. 364 სტუდენტიდან 65 პროცენტი სომეხია. ისინი ქართულად სწავლობენ. ქართული ენისა და ლიტერატურის-სომხური ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამა ძალზე შეუწყობს ხელს ქართულის შესწავლის ხარისხის ამაღლებას. ამის კვალობაზე კი, გაუმჯობესდება ქართულის სწავლება რეგიონის არაქართულ საჯარო სკოლებში. ეს რეგიონის ინტერესებშია, რადგან ძალზე შეუწყობს ხელს ადგილობრივი არაქართული მოსახლეობის საზოგადოებაში ინტეგრირებას.

**მამია ჩიხრაძე:** თსუ რექტორმა ბატონმა გია ხუბუამ აღნიშნა, ახალციხე საუნივერსიტეტო ქალაქად რჩება, ძირითადად, პოლიტიკური მიზანშეწონილობის გამოო. როგორც ითქვა, ჩვენი ფილიალი კი არ უქმდება, დამოუკიდებელ უმაღლეს სასწავლებლად — ინსტიტუტად ყალიბდება. ეს, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია. ამჟამად 1300-მდე სტუდენტი გვყავს. კვოტა კი — 1700-ია. ახალგაზრდების უმეტესობა მესხეთიდანაა, თუმცა, საქართველოს სხვა კუთხეებიდანაც არიან. განათლების ასეთი კერა ძალზე შეუწყობს ხელს კულტურათა დაახლოებას, რეგიონში სახელმწიფო ენის დამკვიდრებას.

გარდაქმნა, სწორედ რომ, დროულია, მით უფრო, რომ ფილიალის ავტორიტეტი, ხელმძღვანელობის არაკომპეტენტურობის გამო, ხალხში ერთობ დაბალია, ამიტომ მენეჯმენტის შეცვლაც აუცილებელია.

აი, ასე გაგვახარეს სტუმრებმა. თუმცა, პრობლემები არის და მოსაგვარებელიც ძალზე ბევრია, უმთავრესი ისაა, რომ საქართველოს ძირძველ, რთულ რეგიონებში განათლებისა და კუტურის კერები კი არ უქმდება, არამედ თვისებრივად ახლდება.

**კოტე სარალიძე**

◎ საარსებო მინიმუმამდე

# ეს მილიონები პენსიების გაზრდას მოხმარდესო




**„ქართული დასის“ ლიდერმა ჯონდი ბაღათურიამ, პარლამენტში შეტანილი საკანონმდებლო ინიციატივის თაობაზე პრესკონფერენცია გამართა.**

„ქართულმა დასმა“ ინიციატივა პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტში ერთი თვის წინათ წარადგინა. იგი პენსიის საარსებო მინიმუმამდე — 118 ლარამდე გაზრდას ითვალისწინებს.

ჯონდი ბაღათურიას მიაჩნია, რომ ეს აბსოლუტურად რეალური პროექტია, რომელიც, ბუნებრივია, დადებითად უნდა გადაწყდეს.

„საპროცედურო საკითხთა კომიტეტს ძალზე საპასუხისმგებლო გადაწყვეტილების მიღება მოუწევს. მოახლოებული არჩევნების ფონზე ეს უმძიმესი არჩევანი იქნება მათთვის. ჩვენ დიდი იმედებით შევდივართ სხდომაზე. საკითხის განხილვისას, საპროცედურო კომიტეტი კონსტრუქციულად თანამშრომლობდა ჩვენთან.

იყო სამართლიანი შენიშვნებიც. რაც გავითვალისწინეთ კიდეც“, — თქვა მან.

ინიციატივის ავტორები განმარტავენ, რომ მათ საბიუჯეტო ხარჯებში აღმოაჩინეს უზარმაზარი რეზერვები, გადაჭარბებული, მიზანშეუწონავი ხარჯები, რაც შეიძლება პენსიების ე. წ. საარსებო მინიმუმამდე გაზრდას მოხმარდეს.

**„ამდენი მილიონის უმიზნოდ და უკანონო ხარჯვას, ჯობს, მხარი ჩვენი მოქალაქეების „გადარჩენის პროგრამას“ დაუჭირონ, რომელიც საზოგადოების ყველაზე დაუცველი ფენის დახმარებას ითვალისწინებს“,** — ითქვა პრესკონფერენციაზე.

**სოფიო გოგლიძე**

◎ აქტუალური თემა

# „თურქი მესხები“ აფხაზეთში დასახლდებიან?

## ზვიად ძიძიგური: ხელისუფლებაში ვიღაც-ვიღაცეებს ევროსაბჭოს მილიონები უფრო აინტერესებთ

**კონსერვატორები „თურქი მესხების“ რეპატრიაციის შესახებ კანონპროექტის განხილვის გადადებას დევნილების საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნებამდე მოითხოვენ. არის მეორე ვარიანტიც — ამ საკითხის სახალხო რეფერენდუმით გადაწყვეტა. ყველაზე მეტი პრეტენზია გიგა ბოკერიას მიმართ აქვთ. კონსერვატორები მას ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღებაში ადანაშაულებენ და აცხადებენ, რომ რეპატრიანტთა ჩამოსახლება ჩვენს ქვეყანას საფრთხეს შეუქმნის.**

— ამას აკეთებს ჩვენი მეზობელი ქვეყანა, რომელიც ერთ-ერთი ლობისტია იმისა, რათა მოხდეს „თურქი მესხების“ ჩამოსახლება საქართველოში, რათა ახალი რისკ-ფაქტორები შეიქმნას... მზად ვარ დავუჩოქო საქართველოს პრეზიდენტს, ვთხოვო უმრავლესობის ყველა წევრს, მოდი, გადავდოთ ეს კანონი, ჯერ ჩვენი დევნილები დავაბრუნოთ... როდესაც ასი ათასობით, გნებავთ, ათი ათასობით „თურქ მესხს“ მივიღებთ, ისინი საქართველოს მოქალაქეები გახდებიან და მათ ექნებათ უფლება, დასახლდნენ აფხაზეთში, სამაჩაბლოში, ალარაფერს ვამბობ სამცხე-ჯავახეთზე და მაშინ საბოლოოდ დაკარგული იქნება აფხაზეთი, საბოლოოდ დაკარგული იქნება სამაჩაბლო, — აცხადებს ბეჟან გუნავა.

კონსერვატორებს არ მოსწონთ, რომ კანონპროექტში არ არის გათვალისწინებული, რამდენი ადამიანი შეიძლება ჩამოვიდეს საქართველოში, სად უნდა იყვნენ ეს ადამიანები განსახლებული. კანონპროექტში წერია, რომ მისი მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტზე. ის, რომ ევროსაბჭო მილიონობით ევროთი აპირებს პროექტის დაფინანსებას, ოპოზიციაში ეჭვს აღძრავს.

**— ვინაიდან ნაციონალური მოძრაობის წევრები ამას სერიოზულად ლობირებენ, ეჭვი ჩნდება, რომ მათ ისტორიული სამართლიანობის აღდგენა კი არ სურთ, არამედ ვიღაცას ხელისუფლებაში ძალიან უნდა ამ ფულში ხელი აფათუროს,** — მერამდენედ გაიმეორა ეს ზვიად ძიძიგურმა.




ასეთ ეჭვებს სასაცილოდ მიიჩნევენ უმრავლესობის წევრები. იურიდიულ კომიტეტში განმარტავენ, რომ ყველა რისკ-ფაქტორი კანონპროექტის მიღების შემდეგ გათვალისწინებული იქნება.

—საბჭოთა პერიოდიდან ჩვენ არაფერი გვერგო. არც საბანკო ანგარიშებზე არსებული ვალუტა, არც ოქროს საბადოების ნაწილი, არც შავი ზღვის ფლოტიდან წილი. ერთადერთი, თურმე, რაც გვერგო, ეს არის უამრავი ადამიანის დაბრუნება, თუ ვინმეს კეთილშობილური სურვილი აქვს და ისტორიული სამართლიანობის აღდგენა სურს, ის ადამიანები, რომლებსაც ქართული ცნობიერება აქვთ, მიგრაციის კანონის შესაბამისად შეუძლიათ ჩამოასახლონ, — ამბობს ზვიად ძიძიგური.

კონვერვატორების პოზიციას იზიარებენ მემარჯვენეებიც. მათი განცხადებით, თურქი მესხების ჩამოსახლების განხილვა ძალზე დაჩქარებული წესით ხდება. ამ ნაკადის ერთიანად შემოსვლამ რა კრიტიკული სიტუაციებიც შეიძლება გამოიწვიოს, მემარჯვენეების აზრით, ხელისუფლებას ეს ბოლომდე გაცნობიერებული და გააზრებული არა აქვს.

მრეწველების თქმით, თუ ეს პროცესი გარკვეული რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით წარიმართება, მაშინ ამ კანონპროექტის მიღება საქართველოს მოსახლეობისთვის ხელისშემშლელი არ იქნება.

**მზია გელენავა**

# რაცა გვჭირს

**ის კაცი, რომელიც ჰაერითა და წყლით საზრდოობს, აფინანსებს მაგალითად სახელმწიფო ენერგეტიკის თუ კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარეს, რომელსაც თურმე ყოველთვიურად რამდენიმე ათასი ლარი ეძლევა. პენსიონერი კი, ვინც ენგურჰესიააშენა, 38 ლარს იღებს**



**მათქმევინეთ!**

***გაეროს და დემოგრაფიის საერთაშორისო ექსპერტების გათვლებით, საქართველოში ქართველების რიცხვი 2040 წლისთვის 1-1,5 მილიონამდე შემცირდება!***

***საგანგაშო სტატისტიკაა.***

***1926 წლის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობა შეადგენდა 2,6 მილიონს, თურქეთისა – 13 მილიონს, აზერბაიჯანის – 2,3 მილიონს, სომხეთის – 0,8 მილიონს. დღეს საქართველოს მოსახლეობა შეადგენს 3,8 მილიონს, მათ შორის ქართველია 2,7 მილიონი. თურქეთში ცხოვრობს – 72 მილიონი, აზერბაიჯანში – 8,5 მილიონი, სომხეთში – 3,8 მილიონი. 2040 წლისთვის თურქეთში იქნება 120 მილიონი, აზერბაიჯანში – 16 მილიონი, სომხეთში – 5 მილიონი.***

# „ნამეტანი ჭკვიანი კაცი ხარ შენ, შვანგირაძე“...

*ვახტანგის ადგილს იჭერს ხეჩუა,*
*გვეცლება ქართლი თვალს და ხელს შუა*

*მუხრან მაჭავარიანი*

ამას წინათ ერთ-ერთ ტელეგადაცემაში ცნობილმა ბიზნესმენმა მაია რჩეულიშვილმა დიდი გულისტკივილით განაცხადა: „საბერძნეთში სადღეისოდ იმყოფება 134.000 ქართველი ქალი“ ... ალბათ, არანაკლებია თურქეთში. სხვაგან რამდენი?... სამწუხაროდ, არ შენელებულა ეს პროცესი, ათასობით ჩვენი თანამემამულე გაფაციცებულია, რამენაირად მოახერხოს ქვეყნიდან გასვლა და თავის რჩენა.

ის, რაც საუკუნეების განმავლობაში ვერ შეძლო მომხვდურმა, დღეს მშვიდად და ნებაყოფილობით აღესრულება!

ჩვენ მოწმენი ვართ თურქულენოვანი სახელმწიფოების ალიანსის ჩამოყალიბებისა, სადაც წამყვან როლს თურქეთი შეასრულებს. საქართველო ამ პროცესში ყურებამდე არის ჩაფლული. ამას ადასტურებს ჩვენი ყველა ნაბიჯი: ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მშენებლობა, ენერგორესურსების მოძრაობის მარშრუტები, საქართველოსთვის ე.წ. „მილენიუმის“ პროგრამით გათვალისწინებული დახმარების ძირითადი ნაწილის (200 მილიონი დოლარი) დახარჯვა თურქეთის მიმართულებით ავტოსტრადის გასაყვანად, თურქეთთან სავიზო რეჟიმის გაუქმება და თურქული საქონლის შემოტანაზე პრივილეგირებული პირობების შექმნა, თურქული ინვესტიციებისა და თურქების შემოდინების მასშტაბები, ყაზახეთისა და აზერბაიჯანის უდიდესი ინვესტიციების შემოსვლა, „თურქ-მესხების“ რეპატრიაციის საკითხებზე საერთაშორისო ვალდებულებების აღება და სხვა მრავალი.

ამ პროცესების შემყურეს, უნებურად გახსენდება სიუჟეტი ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიადან“. მუშნი ზარანდია დიდი მონდომებით ცდილობს გააგებინოს პოლიციელ შვანგირაძეს, როგორ და რატომ არის საჭირო, რომ ნაკაშიების სამკაულები მოხვდეს დათა თუთაშხიას სახლის სხვენზე. ბოლოს კი ცდილობს, ეს ვერაგული ჩანაფიქრი პოლიციელ შვანგირაძის „საზრიანობას“ მიაწეროს – „ნამეტანი ჭკვიანი კაცი ხარ შენ, შვანგირაძე“.

**ღმერთმა მომიტევოს, მაგრამ მეეჭვება ჩვენი მოხერხებულობისა და საზრიანობის შედეგი იყოს რეგიონში მიმდინარე პროცესები, უფრო მგონია, პოლიციელ შვანგირაძის მდგომარეობაში ვართ.**

* * *

**ამას წინათ, ერთ-ერთი ტელეარხით გადმოიცა სიუჟეტი ჯავახეთში, სომხეთის საზღვარზე მდებარე ერთადერთი ქართული სოფლის მოსახლეობის მძიმე მდგომარეობის შესახებ. აქ ცხოვრობენ აჭარის დამეწყრილი ზონიდან გადმოსახლებულები. აბსოლუტური უყურადღებობა, ბედის ანაბარა მიტოვება... სოფელი თითქმის დაიცალა, დარჩნენ ისინი, ვისაც გასვლის სახსარიც არა აქვს! ანალოგიური სიუჟეტი გადმოიცა ბოლნისის რაიონის ერთ-ერთი ქართული სოფლიდან. ორსული ქალები ოჯახში მშობიარობენ, ბავშვები აღრიცხული არ არიან და ამას სასკოლო ასაკის მიღწევისას თუ ახერხებენ.**

მსგავსი მდგომარეობა საქართველოს ბევრ კუთხეშია, მაგრამ, როცა ეს ხდება საქართველოს ისეთ რეგიონში, სადაც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს ერთი ქართული ოჯახის დამკვიდრებასაც კი, სირცხვილით თავი არ გამოგვეყოფა.

15-20 წლის წინათ დაბა ლესელიძეში, საზღვარზე შემოსვლისას, პირველი ოჯახი ქართველის სახლ-კარი იყო. სომხები საშველს არ აძლევდნენ ამ კაცს, აიძულებდნენ სახლ-კარის გაყიდვას. ბოლოს, შესთავაზეს კოლოსალური თანხა. ამ კაცმა მეზობლებს შესჩივლა – რა ვქნაო? რისთვის სჭირდებათ ჩემი დაფეხვილი სახლიო? რა თქმა უნდა, სახლი გაიყიდა! მიზანი ერთადერთი იყო – პირველი სახლი საზღვრის აქეთ სომხის უნდა ყოფილიყო. იმ დროს, აფხაზეთის ზღვისპირის ყველაზე პრესტიჟული ადგილები სომხებს ეჭირათ. დღეს რა მდგომარეობა იქნება იქ, ხომ წარმოგვიდგენია!

სამწუხაროდ, დღეს აჭარის ზღვისპირა ზოლშიც უცხოტომელებზე ჩალის ფასად იყიდება სახლ-კარი, ბინები, მიწის ნაკვეთები. ღმერთმა ყველა მეზობელი კარგად ამყოფოს, მაგრამ ჩვენს ბედოვლათობას ხომ უნდა მოელოს ბოლო?

* * *

**ცნობილია, რომ გენოფონდის შენარჩუნება დამოკიდებულია არა ფუფუნებაში მცხოვრებ ერთეულებზე, არამედ მოსახლეობის იმ აბსოლუტურ უმრავლესობაზე, რომელსაც დღეს ელემენტარული საარსებო საშუალება არა აქვს.**

ბოლო წლებში სხვადასხვა სფეროში რეფორმების რეორგანიზაციის ე.წ. ტენდერების, ტესტირების და სხვა მიზეზებით, ათასობით კვალიფიციური სპეციალისტი უმუშევარი დარჩა... როგორც ვიცით, ამერიკის ლეგენდარული პრეზიდენტის რეიგანის მეორე ვადით არჩევა გადაწყვიტა მისმა წინასაარჩევნო პროგრამამ, რომელიც ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, უმუშევრობის შემცირებას ითვალისწინებდა. ეს იმ ქვეყანაში, სადაც არალეგალური გზით ყოველწლიურად 30 მილიონამდე კაცი სამუშაოდ შედიოდა.

ჩვენი ხალხი მასობრივად ტოვებს სახლ-კარს, ოჯახს და იწყებს საარსებო საშუალებების ძებნას. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაშია სოფლის მოსახლეობა. გურია-სამეგრელოში ჩაის წარმოების გაჩერების შემდეგ ხელი მოჰკიდეს თხილის გაშენება-წარმოებას. 2005 წელს თხილის შესასყიდი ფასი 6 ლარს აღწევდა და მოსახლეობას გადარჩენის იმედი ჩაესახა. ადამიანებს თვალში შუქი ჩაუდგათ, ცხოვრების ხალისი დაუბრუნდათ. სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა, დადგა 2006 წლის მოსავლის ჩაბარების დრო და შემსყიდველებმა პირი შეკრეს – მხოლოდ 1,5-2 ლარი! ეს იყო შოკის მომგვრელი, მაგრამ ათასი საზრუნავით შეწუხებულ ხალხს სხვა გზა არა ჰქონდა. არც ხელისუფლებაში და ოპოზიციაში აღმოჩნდა ვინმე, დაეცვა ასობით ათასი ადამიანი ძარცვისგან. მხოლოდ დემაგოგს შეუძლია ამტკიცოს, რომ ამ შემთხვევაში ფასი საბაზრო ეკონომიკის კანონებმა განსაზღვრა. ეს იყო დაუცველი მოსახლეობის წინასწარ მოფიქრებული, კარგად ორგანიზებული ძარცვა.

ამას წინათ ჩემი ახლობელი ჩამოფრინდა სტამბოლიდან. მგზავრთა უმრავლესობა ჩინელი იყოო, გაიკვირვა. ერთმა დილეტანტმა საქართველოში ბოლო ხანს საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების დასტურად მობილური ტელეფონების მფლობელთა ზრდა დაასახელა. ეს მობილურები საბერძნეთში გადახვეწილი იმ 134.000 ქართველი ქალის და მათ ბედში მყოფი სხვაგან თავშეფარებული თანამემამულეების შეძენილია და შინ დატოვებულ შვილებსა და შვილიშვილებთან, ძმებსა და დებთან კავშირის საშუალება, იქ თუ აქ მძიმე ყოფის შემსუბუქების საშუალებაა.

გამაოცა ახალმა „ნოვაციამ“: თურმე, თბილისის ქუჩებში ინერგება ძვირადღირებული სათვალთვალო ავტომატიზებული სისტემა, რომელიც „დააფიქსირებს“ არა მარტო ავტოტრანსპორტის, არამედ ფეხით მოსიარულეთა დარღვევებს, მოქალაქეთა საეჭვო მოქმედებებს... ამ დაბეჩავებულ ადამიანებს, რომლებიც ათასი საზრუნავით გაბრუებულნი ძლივს დაბორიალობენ ქუჩებში, ექსტრათანამედროვე თვალთვალი სჭირდება თუ დასაქმება, სოციალური დაცვა?!

ტელეარხებზე ხშირად მეორდება ერთმანეთის მსგავსი სიუჟეტები, როცა შეჭირვებულებთან მიაქვთ ყუთი და მას ჩაჭიდებულია 5 ჩინოვნიკი, ამდენივე კიდევ უკან მისდევს. არც ერთი ასეთი აქცია ტელეკამერის გარეშე არ რჩება. ალბათ, ჩინოვნიკები უკვეთავენ ქველმოქმედებს, სად რა მიიტანონ და როდის. ამას წინათ აჩვენეს, როგორ შეუყვანეს გაზი გლდანში მცხოვრებ მარტოხელა მამაკაცს (გაზპრომის ხარჯებითძ, ფაქტის „აღსანიშნავად“ ათობით ჩინოვნიკი მივიდა ოჯახში. ამ პიროვნებას თურმე ერთადერთი ვაჟი დაეღუპა აფხაზეთის ომში, ვაჟის დედაც ამ უბედურებამ გადაიყოლა. ამ გასაცოდავებულ კაცს შეაჩეჩეს მიკროფონი, აბა რას იტყვიო – „ასეთი ბედნიერი არასდროს ვყოფილვარო“ – აი, სადამდე მივიყვანეთ გაჭირვებული ადამიანების ფსიქიკა.

ტელეარხებზე დატრიალებული დახმარების ან სოცდახმარების ლაბირინთებში გამოწურული სოციალური ულუფის ღირებულება გაცილებით მცირეა, ვიდრე ამ ოჯახებიდან ბიუჯეტში ყოველთვიურად შეტანილი თანხა (გაზის, დენის, ტელეფონის, მედიკამენტების, პურის, შაქრის და ა.შ.ძ.

საზოგადოება დეზინფორმირებულია საბიუჯეტო შემოსავლების წყაროებზე. ქვეყნის მხსნელად წარმოადგენენ და აჯილდოებენ ისეთ კომპანიებს, რომლებიც ამ ღატაკ ქვეყანაში უმაღლეს ნიშნულზე აჩერებენ ფასებს და მომსახურების ტარიფებს. მახსენდება ერთი ძველი ანეკდოტი:

„პროკურორი იბარებს უმუშევარ, მაგრამ მხარჯველ სეროჟას და ეკითხება: – სეროჟ, საიდან მოგაქვს ამდენი ფული? შკაფიდან ვიღებ! – შკაფში ვინ დებს? – ჩემი ცოლი შუშანა დებს! – შუშანას ვინ აძლევს? – მე ვაძლევ! – შენ საიდან მოგაქვს? – ვაა, რას მაწვალებ, ხომ გითხარი უფროსო, შკაფიდან ვიღებ-მეთქი!..“

საქართველოს ბიუჯეტი ივსება თითოეული ჩვენგანის მიერ, ვინც დღემდე ვარსებობთ. ჩვენ ყველა ერთად ვდებთ საბიუჯეტო „შკაფში“ ფულს. ის კაცი, რომელიც ჰაერითა და წყლით საზრდოობს, აფინანსებს მაგალითად სახელმწიფო ენერგეტიკის თუ კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარეს, რომელსაც თურმე ყოველთვიურად რამდენიმე ათასი ლარი ეძლევა. პენსიონერი კი, ვინც ენგურჰესი ააშენა, 38 ლარს იღებს.

ამის შეხსენება მუდმივად ჭირდება ბევრ სახელმწიფო მოხელეს, რომელიც ბაიბურშიც არ არის თავის უფლებამოვალეობებზე, როგორც პროფესიონალი დილეტანტია და, საუბედუროდ, არც ცდილობს თავისი მოქმედება ელემენტარულად მაინც შეუსაბამოს დაკავებულ სავარძელს.

საქართველო პატარა ქვეყანაა, აქ ყველამ ყველაფერი იცის ერთმანეთზე. ამას არც მობილურების მოსმენა სჭირდება და არც სათვალთვალო სისტემის დანერგვა. ამიტომ, ნუ ვიკადრებთ ერთმანეთისთვის თვალებში ნაცრის შეყრას.

***შევარდნაძის ხელისუფლება, რომელზედაც ხშირად გვიყვარს შედარებების გაკეთება, ფაქტობრივად, არ არსებობდა.***



იხ. 6 გვ.

● — ყოვლად დაუშვებელია ახალი ომი, იგი ყველაფერს დაღუპავს. დიმიტრი სანაკოევის ალტერნატიულ ადმინისტრაციას იურიდიული ძალა არა აქვს. მეორე მხრივ კი, მისი შექმნა მნიშვნელოვანი მორალურ-ფსიქოლოგიური მომენტია

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე



# „შევარდნაძემ ხელიდან გაუშვა მომენტი“

*1994 წლის 24 იანვარი განსაკუთრებული თარიღი გახდა მოსკოვის, თბილისისა და ცხინვალის ურთიერთობაში. 15 წლის წინათ დაგომისში რუსეთის, საქართველოსა და ჩრდილოეთ ოსეთის მაშინდელმა ხელმძღვანელებმა — ბორის ელცინმა, ედუარდ შევარდნაძემ, ახსარბეკ გალაზოვმა, აგრეთვე თვითალიარებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის მეთაურმა ტორეზ კულუმბეკოვმა მოაწერეს ხელი შეთანხმებას ქართულ-ოსური შეიარაღებული კონფლიქტის შეწყვეტის შესახებ.*

*უკვე 1992 წლის 14 ივლისს რუსმა სამშვიდობოებმა, აგრეთვე ქართველი და ოსი ცისფერჩაფხუტიანების ბატალიონებმა შეძლეს დაპირისპირებული მხარეების დაშორიშორება. დაგომისის შეთანხმებით შეიქმნა შერეული საკონტროლო კომისია, რომლის ფორმატით დღესაც მიმდინარეობს მოლაპარაკება.*

*იმის შესახებ, თუ როგორ მზადდებოდა ისტორიული დოკუმენტი, გვესაუბრა საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა. იგი ზვიად გამსახურდიას მმართველობის პერიოდში — 1990-91 წლებში — ხელმძღვანელობდა საქართველოს მთავრობას, შემდეგ გადავიდა ოპოზიციაში და 1992-93 წლებში კვლავ ჩაუდგა სათავეში მინისტრთა კაბინეტს, მაგრამ უკვე ედუარდ შევარდნაძის მმართველობის დროს. ამჟამად ბატონ სიგუას უკავია თბილისის მეტალურგიის ინსტიტუტის დირექტორის მრჩევლის პოსტი.*

**— დაგომისის შეთანხმების ხელმოწერამდე შექმნილი ვითარება უაღრესად მძიმე იყო. 1992 წლის 29 მაისს ცხინვალში მიიღეს აქტი დამოუკიდებლობის შესახებ, საზოგადოება ძალზე აღაშფოთა ინფორმაციამ 20 მაისს იმ ოსი ეროვნების ლტოლვილების კოლონის დაცხრილვის შესახებ, რომლებიც ჩრდილოეთ ოსეთისკენ მიემართებოდნენ. მაშინ დაიღუპა 33 ადამიანი, ძირითადად — ქალები, ბავშვები და მოხუცები...**

— უკვე კონფლიქტის დასრულების შემდეგ შევარდნაძემ ბოდიში მოუხადა ოსებს იმ ტრაგედიისათვის. მაგრამ ჩვენი თავდაცვის და შინაგან საქმეთა სამინისტროები კატეგორიულად უარყოფდნენ თავიანთ დანაშაულს ამ ინციდენტში. მთელი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა გამოძიება. არ დადასტურებულა, რომ ჩვენი ოფიციალური ფორმირებები მონაწილეობდნენ ლტოლვილთა დახვრეტაში, მაგრამ იქ იყო მრავალი პარტიზანული დაჯგუფება და არ გამოვრიცხავ, რომ ეს შეეძლოთ მათ გაეკეთებინათ.

სიტუაცია უაღრესად დამძიმდა და შევარდნაძემ განაცხადა, რომ მხარს უჭერს ისეთი შეთანხმების ხელმოწერას, რომელიც შეწყვეტდა სისხლისღვრას. ტელეფონით დაუკავშირდა ბორის ელცინს და მათ მიაღწიეს მორიგებას შეხვედრის გამართვის შესახებ. ალბათ, არ იყო საჭირო რუსი სამშვიდობოების — იმ ქვეყნის სამხედრო მოსამსახურეების მოწვევა, რომელთანაც საქართველოს მაშინ რთული ურთიერთობა ჰქონდა. სხვათა შორის, მაშინ ამის გაკეთებას არც გაერო გვირჩევდა. მაგრამ საქართველოს და ჩრდილოეთ ოსეთის ბატალიონების მონაწილეობით იქმნებოდა სამშვიდობო ოპერაციების უნიკალური ფორმატი. იმ მომენტისთვის ეს ყველა მხარეს აკმაყოფილებდა.

**— დაპირისპირების დაწყების ათვლის წერტილად მიიჩნევენ 1989 წლის 23 ნოემბერს. მაშინ ეგრეთ წოდებული ქართველი არაფორმალები დაიძრნენ ცხინვალისკენ მიტინგის გასამართად, მაგრამ ოსებმა შეკრეს ცოცხალი ჯაჭვი და არ შეუშვეს ისინი ქალაქში...**

— ზოგიერთი სხვა რესპუბლიკისგან განსხვავებით, საქართველოში ვერ მოხერხდა რუსულენოვან მოქალაქეთაგან „ინტერნაციონალური ფრონტის“ შექმნა, როგორც ამას მოითხოვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტი და უშიშროების საკავშირო ორგანოები. ამისთვის აქ არ იყო სასიკეთო ნიადაგი. მაშინ, მოსკოველი მეცნიერების კარნახით, რომლებმაც შეისწავლეს ეს პრობლემა, დაიწყეს ავტონომიური წარმონაქმნების კოზირის გათამაშება. პროვოკაციულად ცდილობდნენ დაპირისპირების გამოწვევას, ხალხს აქეზებდნენ ასეთი მოქმედებისათვის.

დიახ, 23 ნოემბრის ლაშქრობა ცხინვალზე არ იყო მთლად სწორი, შეიძლება ითქვას, ეს მცდარი ნაბიჯიც იყო. არაფორმალებს, რომლებიც სამხრეთ ოსეთში აპირებდნენ ჩასვლას, ტრანსპორტით სახელმწიფოს ხარჯზე უზრუნველყოფდნენ. მაშინდელმა კომუნისტურმა ხელმძღვანელობამ შეუწყო ამას ხელი. იმ მოვლენათა შემდეგ, დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში, კონფლიქტი ოსებთან ხან ღვივდებოდა და ხანაც — ცხრებოდა. მაგრამ 1990 წლის სექტემბერში ოსებმა თვითნებურად აიმაღლეს თავიანთი სტატუსი რესპუბლიკის დონეზე.

წინათ ოსეთი იყო ავტონომიური ოლქი საქართველოს შემადგენლობაში. სხვათა შორის, ამ ოლქის შექმნაც ბოლშევიკებმა მოგვახვიეს თავს. მე მაქვს XIX საუკუნის რუსული რუკები და მათზეც კი „ცხინვალი“ შედის გორის მაზრის შემადგენლობაში...

ოსების ასეთი მოქმედების საპასუხოდ, გამსახურდიამ დეკემბერში, როცა იგი უკვე სათავეში ედგა ჩვენს პარლამენტს, საერთოდ გააუქმა სამხრეთ ოსეთი, როგორც ავტონომიური წარმონაქმნი.

**— და ამას მოჰყვა დაპირისპირების ყველაზე სისხლისმღვრელი სტადია...**

— 1991 წლის იანვარში ჩვენი შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები გავგზავნეთ ცხინვალში სიტუაციის გასაკონტროლებლად, სადაც მათ გააფთრებული წინააღმდეგობა დახვდათ.

**— როგორ ეპყრობოდნენ მაშინ საქართველოში იმ ოსებს, რომლებიც სამხრეთ ოსეთის ფარგლებს გარეთ ცხოვრობდნენ?**

— უნდა ვაღიაროთ გამსახურდიას და მის გარემომცველ პირთა მიერ დაშვებული შეცდომები. მაგალითად, რაღაც მომენტში, ზემოდან მიღებული განკარგულებების თანახმად, სამსახურებიდან დაიწყეს ყველა ოსის დათხოვნა. ეს დიდი შეცდომა იყო. რაღაც სიგიჟეს უფრო წააგავდა! ჩემთან, როგორც პრემიერთან, მოვიდა რამდენიმე დიდი ქარხნის დირექტორი, რომლებიც ძალიან შეშფოთებულნი იყვნენ ყოველივე ამის გამო. მე მათ ვუთხარი, რომ ასეთი რამ დაუშვებელი იყო. ულტრანაციონალიზმი დამღუპველია, თანამედროვე ლიბერალური დემოკრატია ამას არავის აპატიებს. მაგრამ ტალღა უკვე აგორებული იყო. მაგალითად, ბორჯომის რაიონის ორი სოფლიდან გაასახლეს ყველა ოსი. მათ მხოლოდ ამ ბოლო ხანებში დაიწყეს იქ დაბრუნება.

**— როგორ შეაფასებდით რუსი სამშვიდობოების მოქმედებას?**

— დაგომისის შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ ისინი პოზიტიურ როლს ასრულებდნენ, იყო შედეგი — მოხერხდა შეიარაღებული დაპირისპირების შეწყვეტა. მაგრამ რუსეთი თანდათანობით ყინავდა კონფლიქტის მოწესრიგების პროცესს. ახლა კი შეიძლება ითქვას, რომ სამშვიდობოებმა ამოწურეს თავიანთი შესაძლებლობა, რადგან ისინი აღარ არიან ნეიტრალური. მოსკოვი მხარს უჭერს ცხინვალს.

**— სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი ლუდვიგ ჩიბიროვი ამბობდა, რომ 90-იან წლებში ედუარდ შევარდნაძის წარმომადგენლებთან მოლაპარაკების დროს გამოთქმული წინადადებები სამხრეთ ოსეთის სტატუსის შესახებ მიუღებელი იყო. დღეს საქართველოს ხელმძღვანელობა სამხრეთ ოსეთს ფართო ავტონომიას სთავაზობს, მაგრამ ცხინვალს აღარ სურს ერთიანი ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში ყოფნა...**

— შევარდნაძემ ხელიდან გაუშვა მომენტი. კონფლიქტის შეწყვეტის შემდეგ ცხოვრება ნელ-ნელა დგებოდა კალაპოტში, თავისას აკეთებდა ის, რასაც უწოდებენ სახალხო დიპლომატიას. ქართველები და ოსები იხდიდნენ ქორწილებს, დადიოდნენ ერთმანეთთან საოჯახო დღესასწაულებზე, ახლობლების დაკრძალვაზე. საჭირო იყო ჩიბიროვთან მორიგების მიღწევა სტატუსის შესახებ, მაგრამ ახლა გვიანია ამაზე ლაპარაკი. იქნებ, შევარდნაძე იმიტომ არ აჩქარდა, რომ შესაძლოა პარლამენტში წინააღმდეგობასაც გადაწყდომოდა. ხომ შეიძლებოდა მისთვის ეთქვათ: თქვენ ქმნით სამხრეთ ოსეთის ავტონომიას, სადაც სულ 57 ათასი ოსი ცხოვრობს. არადა, რას მოიმოქმედებთ მაშინ, თუ მოითხოვენ ავტონომიას საქართველოში კომპაქტურად მცხოვრები აზერბაიჯანელები, მათი რიცხვი უკვე 280 ათასს აღემატება, სომხები ან დუხობორები?

**— თბილისმა შექმნა საქართველოსადმი ლოიალურად განწყობილი სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია. ცხინვალში კი მიაჩნიათ, რომ ეს არის ახალი შეიარაღებული კონფრონტაციისკენ მიმავალი გზა.**

— ყოვლად დაუშვებელია ახალი ომი, იგი ყველაფერს დაღუპავს. დიმიტრი სანაკოევის ალტერნატიულ ადმინისტრაციას იურიდიული ძალა არა აქვს. მეორე მხრივ კი, მისი შექმნა მნიშვნელოვანი მორალურ-ფსიქოლოგიური მომენტია. საერთაშორისო ორგანიზაციებში არც კი ვარაუდობდნენ, რომ მასაც შეიძლებოდა ჰყოლოდა მრავალი მომხრე, და რომ ოსური საზოგადოებაც თითქმის ორ ნაწილადაა გაყოფილი. ჩემი აზრით, საერთაშორისო ორგანიზაციების, გაეროს, ეუთოს უფრო აქტიური მონაწილეობით შეიძლება გამოვნახოთ კომპრომისის გზა. მოსკოვმა კი დროა შეიგნოს, რომ დაუშვებელია სხვა სახელმწიფოს — საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის უგულებელყოფა, რადგან იგი ურყევია.

საუბარი ჩაიწერა
**მიხეილ ვიგნანსკიმ**

ВРЕМЯ НОВОСТЕЙ

---

# სააკაშვილმა რუსებს ცხინვალის გზა გადაუკეტა

**„ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში რუსი სამშვიდობოების ცალმხრივი მოქმედების“ შედეგად უკმაყოფილება გახდა იმ პოლიტიკური დემარშის მიზეზი, რომელიც ოფიციალურმა თბილისმა განახორციელა. საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა თავისი ბრძანებულებით გააუქმა რუსეთ-საქართველოს 2000 წლის 23 დეკემბრის შეთანხმება კონფლიქტური რეგიონის ეკონომიკის აღდგენასა და ლტოლვილების დაბრუნების საქმეში ურთიერთმოქმედების შესახებ.**

პრეზიდენტმა არაორაზროვნად მიანიშნა, რომ აღარ აპირებს შეურიგდეს „ცალმხრივ მოქმედებებს“, რაც გულისხმობენ საქართველოს ხელმძღვანელობის ნებართვის გარეშე რუსეთის მიერ ცხინვალის რეგიონში განხორციელებულ ეკონომიკურ პროექტებს. ეს, საქართველოს ლიდერის აზრით, „კატეგორიულად მიუღებელია და ვერ თავსდება სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის ნორმებში“.

ამ გადაწყვეტილების შესახებ რუსეთის მხარისთვის ინფორმაციის მიწოდება დაევალა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, მაგრამ განკარგულებაში არ არის მითითებული შეტყობინების ვადები. რუსეთის ფედერაციის საელჩო აპირებს დამოუკიდებლად მოითხოვოს საქართველოს ხელისუფლებისაგან ახსნა-განმარტებები. უნდა აღინიშნოს, რომ ბრძანებულებას ხელი მოაწერეს ჯერ კიდევ 20 აპრილს, მაგრამ მისი ტექსტი მხოლოდ 21 ივნისს გამოქვეყნდა საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საიტზე.

საქართველოს პრეზიდენტის ასეთ მოქმედებას ვერ შევადარებთ მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას. იმ საკითხებში, რომლებიც ეხება სამხრეთ ოსეთს, დიალოგი ძალზე ხმამაღალი ტონით მიმდინარეობს, ხოლო თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების გაუქმებით თბილისი წინათაც იმუქრებოდა. აპრილის დამლევს ეს საკითხი ცალკეც კი განიხილეს საქართველოში რუსეთის დელეგაციის ვიზიტის დროს, რომელსაც გენადი ბუკაევი ხელმძღვანელობდა. მაშინ ქართულმა მხარემ გამოთქვა უკმაყოფილება იმის გამო, რომ „რუსეთი ახორციელებს ცხინვალის დე ფაქტო რეჟიმის უშუალო დაფინანსების პრაქტიკას ეუთოს დონორთა საერთო კალათის გვერდის ავლით“. თბილისს არც „ელექტროენერგიის არალეგალური ექსპორტი და ჩრდილოეთ ოსეთისა და ცხინვალის რეგიონის დამაკავშირებელი მილსადენის მშენებლობა“ აძლევს ხელს.

საქართველოს ხელისუფლების ლოგიკა აბსოლუტურად გამჭვირვალეა. თუ შეთანხმებას თანამშრომლობის შესახებ რუსეთი იყენებს „თავისი ცალმხრივი მოქმედებების მიზნით“, მაშასადამე, იგი უნდა გაუქმდეს, რათა მოწინააღმდეგეს ფეხქვეშ გამოეცალოს ნიადაგი. ახლა, როგორც თბილისში ფიქრობენ, რუსეთს სამხრეთ ოსეთში დარჩება მხოლოდ ერთი გზა — ეუთოს დონორული პროგრამა ცხინვალის ეკონომიკური რეაბილიტაციის შესახებ, რომელსაც ფინანსური „ინექციების“ გაკონტროლების გაცილებით უფრო ტრანსპარანტული მექანიზმი აქვს.

**ალექსანდრე სტარკოვი**

Утро.ru

№ 117. შაბათი, 23 ივნისი, 2007 წელი.

# რაცა გვჭირს

• რეალურად, 1998 წლიდან, ქვეყანას მართავდა შევარდნაძე-ჟვანიას შერეული ხელისუფლება. ჟვანიას გუნდის აშკარა ოპოზიციაში გადასვლის შემდეგ, ხელისუფლება უნდა წარმოვიდგინოთ წყალქვეშა ნავის სახით, სადაც ეკიპაჟის ერთი ნაწილი ხვრეტდა ნავის კორპუსს ჩასაძირად, მეორე ნაწილი ცდილობდა ამ ნახვრეტის დაგმანვას



◉ მათქმევინეთ!

## „ნამეტანი ჭკვიანი კაცი ხარ შენ, შევანბირაძე“...

**(მეოთხე გვერდიდან)**

*რეალურად, 1998 წლიდან, ქვეყანას მართავდა შევარდნაძე-ჟვანიას შერეული ხელისუფლება. ჟვანიას გუნდის აშკარა ოპოზიციაში გადასვლის შემდეგ, ხელისუფლება უნდა წარმოვიდგინოთ წყალქვეშა ნავის სახით, სადაც ეკიპაჟის ერთი ნაწილი ხვრეტდა ნავის კორპუსს ჩასაძირად, მეორე ნაწილი ცდილობდა ამ ნახვრეტის დაგმანვას.*

*პირობითად, ერთ ნახვრეტად შეიძლება წარმოვიდგინოთ ქვეყანაში მოსახლეობისთვის ელექტროენერგიის მოწოდების ბლოკირება. კარგად გვახსოვს „მხვრეტავთა“ მხრიდან ბატონ ზურაბ ნოღაიდელისა და „დამგმანავთა“ მხრიდან ბატონ თემურ შაშიაშვილის „დუეტი“. არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა დენის საფასურის გადახდა-არგადახდას. პირიქით, ხანდახან დენს იმას მიაწვდიდნენ, ვისაც დავალიანება ჰქონდა. ასე უფრო მძაფრი იქნებოდა მოსახლეობის უკმაყოფილება.*

*პირობითად, მეორე ნახვრეტი იყო საგადასახადო სფერო, სადაც „მხვრეტავები“ ჟვანია-მაჭავარიანი-ნოღაიდელის კადრები იყვნენ, აქ მთავარი იყო, ხაზინა ცარიელი ყოფილიყო, ვერ დაერიგებინათ ხელფასები, პენსიები, სოციალური დახმარებები, რაც ასევე ქმნიდა მასობრივ უკმაყოფილებას.*

*კარგად გვახსოვს როგორ „მარცხდებოდა“ სატელევიზიო დებატებში ხელისუფლების დამცველი დეპუტატი თამაზ გიორგაძე გიგა ბოკერიასთან, გივი თარგამაძესთან, გიორგი ბარამიძესთან... დანარჩენი ტექნიკის საქმე იყო, შევარდნაძის ახალგაზრდა მოწაფეებს მისგან ჩუმად ხეზე ასვლაც ნასწავლი ჰქონდათ.*

*საბედნიეროდ, ეს ყველაფერი უკან დარჩა. დღეს მსგავსის განმეორება გამორიცხულია. ხელისუფლება მტკიცედ ფლობს მართვის სადავეებს.*

* * *

**დღეს სხვა პრობლემები დაგვიხვავდა. მრავალ კითხვას აჩენს საქართველოს ეკონომიკის განვითარების სტრატეგიად ტურიზმის წამოწევა. ეს აშკარად მცდარი გზაა. საბჭოთა კავშირის ბაზაზე შექმნილ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა უმრავლესობამ აღადგინა წარმოების ადრინდელი დონე, ჩვენთან კი კოლაფსიდან ვერ გამოვედით. ქვეყანაში, სადაც უნიკალური პირობებია მრავალფეროვანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისთვის, ვერ ხერხდება მოსახლეობის ნორმალური კვება.** მოისპო მეჩაიეობა და მეთამბაქოეობა — იმპორტის შეუცვლელი ბაზა (საქართველოში 1 მილიარდ კოლოფ სიგარეტს უშვებდნენ). განადგურების პირზეა მევენახეობა, მეხილეობა, მეციტრუსეობა. არ ითესება ათასობით ჰექტარი სამარცვლე ფართობი. ხილბოსტნეულის წარმოება-გადამუშავება, ადრინდელთან შედარებით, მიზერულია. რამდენი წელია ვანადგურებთ ტყეებს, მდინარეები დაშრობის პირასაა, ხელიდან გვეცლება ჰიდრორესურსების უდიდესი მარაგი!



სრულიად აუღელვებლად აღვიქვამთ სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის მოსალოდნელ გაუქმებას. აბა, რაში სჭირდება მაღალკვალიფიციური ინჟინერ-ტექნიკური კონტინგენტი სასტუმროებს, კემპინგებს, მოტელებს, კაფე-ბარებს, გასართობ დაწესებულებებს...

ჩვენ იძულებით ვცილდებით მიწას, მიწათმოქმედებას, საიდანაც წარმოიშვა ქვეყნის სახელწოდება, და განგების მიერ განსაზღვრულ ფუნქციებს. ჩვენ გვაცილებენ ნამდვილ შრომას, შენებას, განვითარებას და გვიბიძგებენ, საქმით და ცნობიერებით ვიყოთ სხვისი მომსახურენი!

* * *

**დემოგრაფიული კატასტროფის ზღვარზე მყოფ ქვეყანაში დაუშვებლად მიმაჩნია ხუთშვილიან ოჯახებზე დახმარების შეწყვეტა (თითო ბავშვზე ეძლეოდათ 5 ლარიძ, უფასო მშობიარობის გაუქმება და ა.შ. ასევე თითქმის წარმოუდგენელია, რომ ოპოზიცია ამას ვერ „ამჩნევდეს“ და საზოგადოების ყურადღებას მიმართავდეს მეათეხარისხოვანი საკითხებისაკენ. დემოკრატიზმით თამაში დამღუპველია ქვეყნისთვის.**

წინა ხელისუფლებამ 2001 წელს ათეული მილიონი ლარი დახარჯა მოსახლეობის საყოველთაო აღწერისთვის. აღწერის შედეგები მიაჩუმათეს! ხელისუფლებამ, რომელიც თავისი უუნარობით 14-ლარიანი პენსიის გაცემას ვერ ახერხებდა, აირჩია ყოფილიყო სირაქლემას პოზაში.

დღეს გვყავს ხელისუფლება, რომელსაც აქვს ეფექტიანი ადმინისტრირების სისტემა და მნიშვნელოვანი საბიუჯეტო შემოსავლების მოზიდვის უნარი. მთავარია, გავაცნობიეროთ, რომ ქვეყნის წინაშე მდგომ პრობლემათა შორის უპირველესი და უმთავრესია ქართული გენოფონდის გადარჩენა. ძნელი არ არის, წარმოვიდგინოთ საქართველოს მდგომარეობა 2050 წლისათვის, ერთი მილიონი ქართული მოსახლეობით!!!

***ისტორიულ წარსულში ერის გადარჩენის ფუნქციას ასრულებდნენ მეფეები, მმართველები, ერის სულიერი მამები. დღეს ეს ფუნქცია უნდა შეასრულოს ხელისუფლებამ, სწორედ ის უნდა ჩაუდგეს სათავეში ქართული გენოფონდის გადარჩენას, სწორედ ხელისუფლება უნდა აღუდგეს წინ მიზანმიმართულ, ტოტალურ შემოტევას ეროვნული ცნობიერების წაშლისთვის, ერის სულიერი და ზნეობრივი გადაგვარებისთვის.***

***სწორედ ამ საფრთხეებზე მიგვითითებს და ჩვენი, დღემდე დაბინდული გონების განათებისკენაა მიმართული მისი უწმინდესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ყველა ეპისტოლე, მისი ყოველი რჩევა და ლოცვაკურთხევა.***

***დროა გამოვფხიზლდეთ!.. დავიოკოთ ვნებები და ამბიციები!.. ნუ ვებრძვით ქარის წისქვილებს, წინ აღვუდგეთ ათასნაირი მეთოდებით ხალხის გამოთაყვანებას, რეალურად შევაფასოთ სინამდვილე!***

***მურად კვაშილავა***

◉ „გიგილოები“ დღეს

## „ბები, ჩემო ტკბილო ბები, ოქროს სათვალეს გიყიდი, როცა დაბრმავდები“

***ყველას გვახსოვს ნოდარ დუმბაძის „გიგილო“, მისი გმირის საქციელზე, განათლებაზე, თუ ადამიანებთან ურთიერთობაზე თბილად გვეცინებოდა. გვეცინებოდა, რადგან ჩვენსირგვლივ ძალიან დიდ იშვიათობას წარმოადგენდა ადამიანი, რომელიც სათაურში მოყვანილ სიტყვებს ეტყოდა საკუთარ ბებია-ბაბუებს. სამწუხაროდ, დღევანდელობამ გვაჩვენა, რომ ასეთი ადამიანები არამც თუ სანთლით არიან საძებარნი, პირიქით, ისინი ჩვენი ხელისუფლების ზედა ეშელონებსაც დაპატრონებიან და ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებითა თუ უფასო სუფებით ცდილობენ ხანში შესულთა „დაპურებას“.***

ცხადია, ნებისმიერი პოლიტიკოსი თუ პოლიტიკური ძალა, თავისი წინასაარჩევნო კამპანიის დროს დიდ დაპირებებს აძლევს 900 000 მხცოვან ადამიანს, რომელთა მოტყუება ყველაზე ადვილია. ადვილია იმიტომ, რომ ვერ წარმოედგინათ, რომ ოდესმე შრომის საზღაურად 38-ლარიან „დაფასებას“ მიიღებდენ, მაშინ, როცა მათ მიერ არჩეული „ხალხის მსახურები“, იმათი შვილები და შვილიშვილები 2 000-ლარიან ხელფასებს დაიკანონებდნენ.

პენსიების თემა იმდენად ხშირად არის განხილული საინფორმაციო საშუალებებით, რომ მასზე ჩივილის ტონით ლაპარაკი უაზრობაა. მაგრამ ხელისუფლების მიერ „ხალხის კეთილდღეობისთვის“ ბოლო თვეებში გადადგმულმა ნაბიჯებმა აქტუალური გახადა ეს საკითხი.

პირველი ივლისიდან ძვირდება ტრანსპორტი, უკვე გაძვირებულია ბუნებრივი გაზი, ძვირდება ელექტროენერგია. ძვირდება ყველანაირი პროდუქცია, ძვირდება ფილარმონიაში ჯო კოკერის კონცერტზე დასასწრები ბილეთები (500 ლარიძ და ტოტო კუტუნიოს ჰონორარი.

მე მგონი არ ღირს იმის თქმა, რომ როდესაც ქვეყანაში 900 000 ადამიანი 38-ლარიან შემწეობას ელოდება, არ ღირს 40 000 ევროს გადახდა 80-იანი წლების ნამდვილად წარმატებული მუსიკოსის კონცერტში (ნამდვილად არ ღირს, თუნდაც იმის გამო, რომ იმ სიმღერებმა შეიძლება ტკბილი მოგონებები აღუძრას და კიდევ დამატებით გაალიზიანოს ისედაც ნერვებდაწყვეტილი მოქალაქეებიძ.

თავისთავად ცხადია, რომ პენსია მცირეა. მცირეა და ეს იცის ყველა ნორმალურად მოაზროვნე ადამიანმა. ეს იცის ყველამ, გარდა იმ „გიგილოებისა“, რომლებიც ვერ ხვდებიან, თუ რა ძნელია მოხუცი ადამიანისთვის 38 ლარის გადანაწილება მთელ თვეზე, ნამდვილად ვერ ხვდებიან, რადგანაც ამის საშუალებას არ აძლევს არც განათლება, არც ცხოვრებისეული გამოცდილება და არც სინდისი. ის სინდისი, რომელმაც არ უნდა მისცეს უფლება, აიღოს 2000 ლარი ხელფასი (სხვა „უშრომელ შემოსავალზე“ აღარაფერს ვამბობძ, ჩაჯდეს 50 000-დოლარიან მანქანაში და მოხუცი მეზობელი მხოლოდ მაშინ გაახსენდეს, როცა რაიმე პიარაქცია აქვს ჩასატარებელი.

მაგრამ რაღაც-რაღაცეები მაინც მიდის წინ. დავიწყოთ თუნდაც იმით, რომ აპრილში პოლიტიკურმა გაერთიანება „ქართულმა დასმა“ და „პენსიონერთა პარტიამ“ დაიწყეს საკანონმდებლო ინიციატივაზე მუშაობა, რომლის ძალაში შესვლისას პენსიების რაოდენობა უნდა გაუთანაბრდეს საარსებო მინიმუმს. ჯერ, რა თქმა უნდა, ჩატარდა საკმაოდ შრომატევადი სამუშაო საარსებო მინიმუმის დასადგენად. დამოუკიდებელი ექსპერტების გათვლებით, ის დაახლოებით 170 ლარის ფარგლებში მერყეობდა, მაგრამ მათ სტატისტიკის დეპარტამენტიდან აცნობეს, რომ საარსებო მინიმუმი 118 ლარია. ჯონდი ბაღათურიამ აღარ დაიწყო პოლემიკა სტატისტიკის დეპარტამენტთან და საკანონმდებლო ინიციატივაც სწორედ ამ თანხის — 118 ლარის მოთხოვნით შევიდა.

ფრიად საინტერესოა სტატისტიკის დეპარტამენტის პოზიცია, რადგან ზემოთ აღნიშნული გაძვირებების ფონზე (ცხადია, ჯო კოკერის კონცერტის ბილეთებს და ტოტო კუტუნიოს ჰონორარს არ ვგულისხმობძ 118 ლარი როგორ იქნება საარსებო მინიმუმი, მაგრამ ამ თანხის გამოთვლა მათს სინდისზე იყოს.

რაც შეეხება პარლამენტის საპროცედურო კომიტეტს, სასიამოვნოდ გასაკვირი იყო მისი პოზიცია. მან მართლაც ნორმალურად განიხილა შეტანილი ინიციატივა, რომელსაც გარკვეული ხარვეზები გააჩნდა. ამ ხარვეზების გამო კანონპროექტი უკან დაუბრუნდა საინიციატივო ჯგუფს. საინიციატივო ჯგუფმა გაითვალისწინა ყველა შენიშვნა და 21 ივნისის სხდომაზე საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა რეგისტრაციაში გაატარა საინიციატივო ჯგუფი, რომელიც „ქართული დასისა“ და „პენსიონერთა პარტიის“ წევრებისგან არის დაკომპლექტებული.

**საინიციატივო ჯგუფს გადაეცა სარეგისტრაციო მოწმობა და საპროცედურო კომიტეტის მიერ ამ კანონპროექტის მხარდამჭერთა ხელმოწერების შესაგროვებლად დადგენილი ფორმის ნიმუში.**

**გია გაბრიჭიძე**

№ 117. შაბათი, 23 ივნისი, 2007 წელი.

**● საერთოდ უნდა ითქვას, რომ მალთუსის მიერ ზნეობრივი თავშეკავებულობისადმი მოწოდება სრულიად ახალი მიდგომა იყო მოსახლეობის გამრავლების შეზღუდვის საქმეში. მაგრამ მას იმასაც სწამებენ, თითქოს მოსახლეობის შესამცირებლად მოუწოდებდა ომების, ეპიდემიებისა და შიმშილის გავრცელებისაკენ. არადა, არაფერი ამის მსგავსი მას არა აქვს ნათქვამი.**

◎ გამოიცა

# მალთუსი – კაცობრიობის მტერი თუ მოყვარე?



***ამ სტატიით გვინდა, მკითხველს სასიამოვნო ინფორმაცია მივაწოდოთ იმის შესახებ, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ, ქართულ ენაზე, ორ ტომად გამოსცა გამოჩენილი ინგლისელი მოაზროვნის თომას რობერტ მალთუსის მსოფლიო მნიშვნელობის დემოგრაფიული ნაშრომი – „გამოცდილება ხალხთმოსახლეობის კანონის შესახებ.“***

***ნაშრომი 1868 წლის რუსული გამოცემიდან თარგმნა თსუ-ის პროფესორმა ანზორ სახვაძემ. რედაქტორია – პროფ. ვაჟა ლორთქიფანიძე, რეცენზენტები: პროფესორები ანზორ თოთაძე და ვაჟა გურგენიძე. ორტომეულს წამძღვარებული აქვს რედაქტორისა და მთარგმნელის წინასიტყვაობები, რომლებშიც, ნაშრომის მნიშვნელობის ახსნასთან ერთად, საკმაოდ ვრცლადაა გადმოცემული თომას რობერტ მალთუსის ცხოვრებისა და შემოქმედების მნიშვნელოვანი საკითხები.***

საბჭოთა მკითხველი საზოგადოებისათვის თომას რობერტ მალთუსი ცნობილი იყო, როგორც საკმაოდ გახმაურებული „კაცთმოძულეობის“ თეორიის ავტორი, რომელიც თითქოსდა მხარს უჭერდა მოსახლეობის რაოდენობის შემცირებას ომების, ეპიდემიების, შიმშილისა და სხვა უბედურებების გავრცელების გზით. კომუნისტები მალთუსის მოძღვრებას კაპიტალისტური და სოციალისტური სისტემების იდეოლოგიური ბრძოლის ერთ-ერთ სამიზნედაც იყენებდნენ. ისინი ხელოვნურად ამწვავებდნენ ხალხთმოსახლეობის შესახებ კ.მარქსის მოძღვრებასა და მალთუსის შეხედულებებს შორის დაპირისპირებას. ამ დაპირისპირების მიზეზი კი თავის დროზე კ.მარქსის მიერ მალთუსის თეორიის შესახებ არც თუ მთლად კორექტული და არგუმენტირებული შენიშვნა გახლდათ, რომელიც, მარქსისტული იდეოლოგიის ბატონობის პერიოდში, სავსებით საკმარისი აღმოჩნდა ჩვენს ქვეყანაში მალთუსის თეორიის დაუმსახურებელი კრიტიკისათვის.

მალთუსის წიგნს კ. მარქსი **„... მოწაფისებურ, ზერელე და ხუცურ-დეკლამატორულ პლაგიატურ“** ნაშრომად მიიჩნევს. მისი აზრით, **„იგი არც ერთ დამოუკიდებლად ნააზრევ დებულებას არ შეიცავს“.**

მიუხედავად იმისა, რომ მალთუსმა თავისი ნაშრომი „გამოცდილება ხალხთმოსახლეობის კანონის შესახებ,“ ექვსჯერ (1798; 1803; 1805; 1812; 1817 და 1826 წწ.ძ გამოსცა, ხოლო კ.მარქსი მაინც მის პირველ, ანონიმურად გამოცემულ და შემდეგში ხუთგზის გადამუშავებულ და დაზუსტებულ ვარიანტზე აკეთებს აქცენტს, იმის მიმანიშნებელია, რომ თ. რ. მალთუსის მოძღვრების შეფასებაში კ.მარქსი აშკარად ტენდენციურია.

როგორც ჩანს, ნაშრომის თარგმნის მიზანსაც სწორედ ის შეადგენდა, რომ ქართველ მკითხველს რეალურად დაენახა თ. რ. მალთუსის მიერ მეცნიერებაში შეტანილი ღვაწლი და შესაბამისად შეეფასებინა აქამდე ჩვენს ქვეყანაში დაუმსახურებლად დამცრობილი, ხოლო მთელ მსოფლიოში სათანადოდ აღიარებული ეკონომისტისა და დემოგრაფის შემოქმედება.

ნაშრომიდან აშკარად ჩანს, რომ მალთუსის მიზანს არ შეადგენდა, მოეძებნა შობადობის საწინააღმდეგო საშუალებები და ამით შეემცირდებინა მოსახლეობის რიცხოვნობა. ამის შესახებ ნაშრომში სიტყვაც კი არაა ნათქვამი, ხოლო თუ რას შეეხება იგი, ამაზე ყველაზე უკეთ თავად მისი სრული სახელწოდება მეტყველებს: **„გამოცდილება ხალხთმოსახლეობის კანონის შესახებ, ანუ წარსულში და ამჟამად ადამიანთა მოდგმის კეთილდღეობაზე ამ კანონის მოქმედების გადმოცემა, მის მიერ მიყენებული ბოროტების მოხსნის ან შემცირების იმედით რამდენიმე გამოკვლევის თანდართვით.“**

მკითხველი წიგნის პირველივე სტრიქონიდან იგებს, თუ რას ეძღვნება თ. რ. მალთუსის ნაშრომი: ***„ადამიანს, რომელიც მოისურვებს გაიგოს, თუ როგორი იქნება საზოგადოების განვითარება მომავალში, ბუნებრივია, ორი საკითხის გამოკვლევა მოუწევს: 1. რა მიზეზები აფერხებდა აქამდე ადამიანის წარმატებას ან მისი კეთილდღეობის განვითარებას? 2. რამდენად დიდია იმის ალბათობა, რომ მთლიანად ან ნაწილობრივ მოვხსნათ ჩვენი განვითარების შემაფერხებელი მიზეზები?“***

მალთუსის აზრით, „ხალხთმოსახლეობის კანონის“ არსი არის ის, რომ **„ყველა ცოცხალი არსებისათვის დამახასიათებელია მუდმივი მისწრაფება უფრო ჩქარი გამრავლებისადმი, ვიდრე ეს დასაშვებია მათ განკარგულებაში არსებული საკვების რაოდენობით.“**

მართლაც, თ.რ.მალთუსის ნაშრომის ძირითადი მეცნიერული ღირსება ის გახლავთ, რომ მასში პირველადაა ჩამოყალიბებული მოსახლეობის განვითარების შესახებ ერთიანი, სისტემური მოძღვრება, რომელიც მანამდე არ არსებობდა და, რომელიც თავის მხრივ, მრავალი ქვეყნის ისტორიულ გამოცდილებას ემყარება. საბოლოოდ, ამ ნაშრომში ჩამოყალიბებულია მოსახლეობის ბუნებრივი კანონი, რომელსაც ავტორის აზრით, საყოველთაო ხასიათი აქვს და ყველა დროსა და ქვეყანაში მეტ-ნაკლები ვარიაციით მოქმედებს.

აანალიზებს რა ბუნების ამ ზოგადი კანონის მოქმედებას თ.რ.მალთუსი აღნიშნავს: **„... თუკი მოსახლეობის გამრავლებას წინ არაფერი ელობება, მაშინ იგი ორმაგდება ყოველ ოცდახუთ წელიწადში და იზრდება გეომეტრიული პროგრესიით, ხოლო რაც შეეხება არსებობის საშუალებათა ზრდას,** ამასთან დაკავშირებით მას ასეთი დასკვნა გამოაქვს: **„ათვისებულ მიწებზე შრომის ყველაზე საუკეთესო პირობებშიც კი საარსებო საშუალებებს არავითარ შემთხვევაში არ შეუძლიათ არითმეტიკულ პროგრესიაზე უფრო სწრაფი ტემპით გაზრდა.“**

წარმოდგენილი მსჯელობიდან და, საერთოდ მთელი ნაშრომის შინაარსიდან გამომდინარე, არითმეტიკულ და გეომეტრიულ პროგრესიებს მხოლოდ საილუსტრაციო დატვირთვა აქვთ, რათა უფრო რელიეფურად გამოხატოს, ერთი მხრივ, მოსახლეობის და მისთვის საჭირო საარსებო საშუალებათა გადიდების ტემპები და, მეორე მხრივ, მათ შორის არსებული აშკარა შეუსაბამობა. მაგრამ მალთუსის ოპონენტები რატომღაც ხელზე იხვევენ მთლიანად ნაშრომისათვის არცთუ მნიშვნელოვან, პროგრესიებთან დაკავშირებულ საკითხს და ცდილობენ იგი მას მიაწერონ. აქედან გამომდინარე კი მსჯელობენ, რომ თითქოსდა არასწორია დაუსაბუთებულ არგუმენტებზე დამყარებული მთელი მისი თეორიაც. ეს საკითხი იმდენად გაზვიადებულია ანტიმალთუსიანელთა კრიტიკაში, რომ ზოგიერთი მკითხველი მალთუსის მოძღვრებას მხოლოდ ამ პროგრესიებით იცნობს და ჰგონია, რომ იგი მალთუსის არასწორი მსჯელობის ნაყოფია და მალთუსის თეორიაც მცდარია.

რეალურად კი საქმე სხვაგვარადაა. ჯერ ერთი, პროგრესიების ავტორი სულაც არ არის მალთუსი. ის მანამდეც იყო ცნობილი. მაგალითად, მოსახლეობის გეომეტრიული პროგრესიით ზრდის იდეა ჯერ კიდევ 1677 წელს აქვს გადმოცემული ინგლისელ აქტუარს მ. ჰეილს. დაახლოებით იგივე აზრი აქვს გამოთქმული ცნობილ შვეიცარიელ მათემატიკოსს ლეონარდ ეილერსაც (1701-1783 წწ.ძ. მალთუსმა კი ისინი მხოლოდ გაიმეორა, მაგრამ რატომღაც მაინც ის მიიჩნევა ამ ყბადაღებული „პროგრესიების“ ავტორად.

ნაშრომში, ფაქტობრივი მასალების გაანალიზების საფუძველზე თ.რ.მალთუსი ასაბუთებს სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ქვეყანაში ამ კანონის მოქმედების საყოველთაობას. ის ეყრდნობა ფილოსოფოსთა, ეკონომისტთა, ისტორიკოსთა და სხვათა ნაშრომებს და მათგან მოხმობილი საჭირო არგუმენტებით ამყარებს თავის მოსაზრებებს, რაც მის მეცნიერულ კეთილსინდისიერებაზე მეტყველებს.

თ. რ. მალთუსის მთელი თეორია სწორედ „პროგრესიების,“ ზნეობრივი თავშეკავებულობისა და ჭარბმოსახლეობის საკვანძო საკითხებზეა აგებული. „პროგრესიების“ ჭეშმარიტება დღევანდელ ეტაპზე პრაქტიკულად დადასტურდა მსოფლიო მასშტაბით. მის უპირველეს არგუმენტად შეიძლება დავასახელოთ მსოფლიოს მოსახლეობის უფრო სწრაფი ტემპით გამრავლება საარსებო საშუალებებთან შედარებით.

დღეს კაცობრიობა სწორედ ამ შეუსაბამო განვითარებით არის შეშფოთებული (რასაც ტერმინი „დემოგრაფიული აფეთქებაც“ ცხადყოფსძ, საიდანაც ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ საჭიროა გამრავლების სწრაფი ტემპის ხელოვნური გზით შემცირება. ძირითადად, სწორედ ამ მიზანს ემსახურება ე.წ. „ოჯახის დაგეგმვის“ მსოფლიოში გახმაურებული სისტემა, რომლის ამოცანასაც შეადგენს სხვადასხვაგვარი კონტრაცეპტივების გავრცელების გზით განვითარებად ქვეყნებს თავიდან ააცილოს საარსებო საშუალებით უზრუნველყოფის გარეშე დასარჩენად განწირული მოსახლეობის გაჩენა.

**საერთოდ უნდა ითქვას, რომ მალთუსის მიერ ზნეობრივი თავშეკავებულობისადმი მოწოდება სრულიად ახალი მიდგომა იყო მოსახლეობის გამრავლების შეზღუდვის საქმეში. მაგრამ მას იმასაც სწამებენ, თითქოს მოსახლეობის შესამცირებლად მოუწოდებდა ომების, ეპიდემიებისა და შიმშილის გავრცელებისაკენ. არადა, არაფერი ამის მსგავსი მას არა აქვს ნათქვამი.**

პირიქით, იგი წერს, **რომ ადამიანებმა, რომლებიც ცხოველებისგან და მცენარეებისგან გონიერებით განსხვავდებიან, არ უნდა დაუშვან იმ დონეზე მეტად გამრავლება, ვიდრე ეს შესაძლებელია არსებული საარსებო საშუალებებით. ხოლო თუ ადამიანები თავიანთი ზნეობრივი თავშეკავებულობით ამას ვერ შეძლებენ, მაშინ ბუნება თავად შეეცდება ამ შეუსაბამობის გამოსწორებას და (თანაც უფრო უხეში ფორმით, ვიდრე ეს ზნეობრივი თავშეკავებულობააძ მოახერხებს წონასწორობის დამყარებას მოსახლეობის რაოდენობასა და მათი დაკმაყოფილებისათვის საჭირო საარსებო საშუალებებს შორის.**

ასეთი გაფრთხილებისთვის, რომლითაც თ. რ. მალთუსის აზრით, მსოფლიო თავიდან აიცილებს მოსახლეობის გამრავლების შესაძლო ნეგატიურ შედეგებს, კაცობრიობა მხოლოდ მადლიერი უნდა იყოს მისი. მაგრამ სინამდვილეში მეცნიერთა გარკვეულ ნაწილს ყველაფერში დამნაშავედ მხოლოდ მალთუსი

იხ. 8 გვ.




◎ ინფორმაცია

## ამერიკასა და საქართველოს შორის „ცა გაიხსნა“

**აშშ-ში ვიზიტად მყოფმა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრმა გიორგი არველაძემ აშშ-ს მთავრობასთან ხელი მოაწერა ორ სამთავრობათაშორისო შეთანხმებას „საჰაერო ტრანსპორტსა“ და „ინვესტიციებსა და ვაჭრობაში მხარდაჭერის“ შესახებ. ავიაციის სფეროში დღემდე არსებულ ყველა შეთანხმებებს შორის ყველაზე ლიბერალური აშშ-სა და საქართველოს შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ შეთანხმებაა, რომლის საფუძველზეც ქართულ და ამერიკულ კომპანიებს ფრენების განხორციელების შესაძლებლობა ეძლევა.**

**– საჰაერო ტრანსპორტის შესახებ შეთანხმებაზე ხელმოწერით საქართველო და აშშ ერთხელ და სამუდამოდ გახსნიან ერთმანეთისთვის საკუთარ ცას. გვინდა, რომ საქართველოში მაქსიმალურად ბევრმა ავიაკომპანიამ იფრინოს. ამისთვის ჩვენ ვატარებთ „ღია ცის“ პოლიტიკას, – განაცხადა ეკონომიკური განვითარების მინისტრმა.**

## ლიტველთა დელეგაცია საქართველოში გაემგზავრა

**გუშინ საქართველოში ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით მყოფმა ლიტვის სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტის დელეგაციამ თბილისი დატოვა.**

**ვიზიტის ფარგლებში ლიტველმა სტუმრებმა შეხვედრა გამართეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტის უფროს ირაკლი ქურასბედიანთან. შეხვედრაზე მხარეებმა ორი ქვეყნის სამხედრო თანამშრომლობის და თავდაცვის უწყებების ორმხრივი ურთიერთობების კონკრეტულ საკითხებზე ისაუბრეს. ასევე ყურადღება დაეთმო საქართველოს ნატოში ინტეგრაციის პროცესის მიმდინარეობის მიმოხილვას და რეგიონალური უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის საკითხებს.**

**ვიზიტი საქართველოსა და ლიტვის რესპუბლიკას შორის სამხედრო სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის 2007 წლის გეგმის მიხედვით განხორციელდა. ლიტვის დელეგაციას ვიცე-პოლკოვნიკი გედიმინას გრინა ხელმძღვანელობდა. იგი ლიტვის რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის სამინისტროს მეორე საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსის მოადგილეა.**

ჯი-ეიჩ-ენი

№ 117. შაბათი, 23 ივნისი, 2007 წელი.

# მეცნიერება

**„მიყურებდნენ მე როგორც მოსახლეობის გამრავლების მტერს, ეს ნიშნავს, რომ წარმოდგენა არა აქვთ ჩემს პრინციპებზე. მტრები, ვისაც მე ვებრძვი, არიან სილარიბე და მანკიერება“**

**გამოიცა**

**(მეშვიდე გვერდიდან)**

# მალთუსი – კაცობრიობის მტერი თუ მოყვარე?



მიაჩნია, რაც სრულიად დაუმსახურებელია. ასე რომ, **„ზნეობრივი თავშეკავებულობის“** იდეა თავისი არსით მეტად რაციონალურ და გონივრულ მოსაზრებად შეიძლება ჩაითვალოს.

რაც შეეხება მოსაზრებას, თითქოს **„ზნეობრივი თავშეკავებულობის“** იდეა გულისხმობს საერთოდ მოსახლეობის გამრავლებისაგან თავის არიდებას, ამასთან დაკავშირებით მალთუსი სრულიად ნათლად მიუთითებს, რომ იგი არავითარ შემთხვევაში არაა მოსახლეობის გამრავლების წინააღმდეგი, თუკი მოიპოვება საარსებო საშუალებები ახალდაბადებული ბავშვებისათვის. **ის ებრძვის არა მოსახლეობის გამრავლებას, არამედ უბედურებებს, შიმშილს, გაჭირვებას, ეპიდემიებს და სხვა დამანგრეველ დაბრკოლებებს, რომლებიც ხელს უშლის მოსახლეობის უღარიბესი ფენების ნორმალურ ცხოვრებას. „მიყურებდნენ მე როგორც მოსახლეობის გამრავლების მტერს, ეს ნიშნავს, რომ წარმოდგენა არა აქვთ ჩემს პრინციპებზე. მტრები, ვისაც მე ვებრძვი, არიან სილარიბე და მანკიერება“.** – წერდა თ. რ. მალთუსი.

იგი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა „ჭარბმოსახლეობის“ საკითხს. იგი მას საყოველთაო და აბსოლუტურ მოვლენად თვლის. მისი აზრით, ჭარბმოსახლეობა დამახასიათებელია ყველა ქვეყნისა და დროისათვის, რის საილუსტრაციოდაც ნაშრომში უამრავი მასალაა მოყვანილი.

ჭარბმოსახლეობა, როგორც სოციალური მოვლენა, განსაკუთრებით გამწვავდა XVIII–XIX საუკუნეებში. ამ პრობლემის სიმწვავეს უნდა მიეწეროს იმ დროისათვის მისდამი გამოვლენილი მომეტებული საზოგადოებრივი ყურადღება.

ჭარბმოსახლეობის შესახებ მოსაზრება გამოთქვა კ. მარქსმაც. მისი აზრით, ჭარბმოსახლეობას აქვს არა აბსოლუტური და საყოველთაო ხასიათი, არამედ იგი შეფარდებითია, მხოლოდ კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი მოვლენაა და ამ უკანასკნელის შეცვლის კვალობაზე მოისპობაო. უფრო მეტიც, **კ.მარქსის მიერ შემოთავაზებული „შეფარდებითი ჭარბმოსახლეობის“ არსებობა, კაპიტალიზმის მოსახლეობის კანონის რანგში იქნა აყვანილი, რითაც შეიქმნა იდეოლოგიური ბარიერი კაპიტალისტურ, ანუ მალთუსიანურ და სოციალისტურ, ანუ მარქსისტული მოსახლეობის შესახებ არსებულ მოძღვრებათა შორის. როგორც ამ მოძღვრებათა სიღრმისეული ანალიზიდან ირკვევა, მათ შორის არსებულ თითქმის ანტაგონისტურ დაპირისპირებას, უპირატესად პროპაგანდისტული, ანუ იდეოლოგიური დატვირთვა უფრო ჰქონდა, ვიდრე ობიექტური მიზეზებით განპირობებული საფუძველი.**

კლასობრივი დაპირისპირების პირობებში თ.რ.მალთუსს იმასაც კი სწამებდნენ, რომ მან თავისი ნაშრომი გაბატონებული ფენების ინტერესების გათვალისწინებით და მათ დასაცავად, დაკვეთით დაწერაო. მაგრამ ეს რომ ასე არ არის, ამას თავად მალთუსის ბიოგრაფიაც ადასტურებს. იგი 30 წლის განმავლობაში პროფესორისა და მღვდლის მოკრძალებულ თანამდებობაზე მუშაობდა, ხოლო როგორც თავადვე წერს, ამ ნაშრომის ექვსივე გამოცემამ მას მხოლოდ 1000 ფუნტი სტერლინგი მისცა. მართალია, თ. რ. მალთუსი ვიგების, ანუ ლიბერალური პარტიის წევრი იყო და თავისი პარტიული კუთვნილების მიუხედავად, არანაირი პოლიტიკური თუ სახელმწიფოებრივი თანამდებობა არ დაუკავებია. ამიტომ მისი ნაშრომი – **„გამოცდილება ხალხთმოსახლეობის კანონის შესახებ“** არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მივიჩნიოთ პოლიტიკური დაკვეთით შესრულებულ ნაშრომად. პირიქით, ის უნდა განვიხილოთ როგორც ჭეშმარიტების ძიების სურვილით დაწერილი მეცნიერული გამოკვლევა. ამიტომაც არ შეიძლება თ.რ.მალთუსს დასწამო, თითქოსდა იგი კეთილისმყოფელ მოვლენად თვლიდა ომებსა და ეპიდემიებს.

მარქსისტების მონაჭორს სინამდვილესთან საერთო არაფერი აქვს. **მალთუსი მხოლოდ აფრთხილებს საზოგადოებას – თუ დედამიწაზე არ მოწესრიგდება ადამიანთა გამრავლების ტემპები, იგი წარმოქმნის პრობლემებს.**

ასეთი საშიშროება დღეს მართლაც არსებობს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საპროგნოზო მონაცემების თანახმად, დედამიწის მოსახლეობის რაოდენობა 2015 წლისათვის დაახლოებით 7,5 მილიარდი იქნება, ხოლო 2050 წლისათვის 10 მილიარდს გადააჭარბებს.

განა დღეს საშიში არ არის თანამედროვე ურბანიზაციის პროცესი, კერძოდ, ქალაქისა და არასასოფლო-სამეურნეო მოსახლეობის ხვედრითი წილის ზრდა სოფლის მოსახლეობასთან შედარებით?

1700 წელს მსოფლიოში მხოლოდ 31 ქალაქი იყო, მათში მცხოვრებთა რაოდენობა 100 ათასს არ აღემატებოდა. XXI საუკუნის დასაწყისისათვის მსოფლიოში 2100-ზე მეტი ქალაქია. განსაკუთრებით იზრდება ე.წ. „მილიონიანი“ ქალაქების რიცხვი. განსაკუთრებულ საშიშროებას ქმნის გიგანტური სახელმწიფოების წარმოქმნა 1,5-2,0 მილიარდი მოსახლეობით.

მოსახლეობის ასეთი ტემპით ზრდის პირობებში გარდაუვალი გახდება ადამიანთა საარსებო საშუალებებით დაკმაყოფილების პრობლემა. მსოფლიოს მოსახლეობის რაოდენობის დინამიკისა და ცხოვრების დონის მაჩვენებელთა ანალიზი მალთუსის შეხედულებების სისწორეს ადასტურებს. ცხადი ხდება, რომ მოსახლეობის ზრდის ტემპი წინ უსწრებს საარსებო საშუალებათა ზრდის ტემპს.

ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ თანამედროვე ეკონომიკური თეორიის, **„ეკონომიქსის“** დისციპლინის უმნიშვნელოვანეს ამოცანად აღიარებულია იმ წინააღმდეგობების გადაჭრის გზების ძიება, რომელიც ადამიანთა განუსაზღვრელ მოთხოვნილებებსა და მათი დაკმაყოფილებისთვის აუცილებელ შეზღუდულ რესურსებს შორის არსებობს. ამიტომაცაა, რომ დღეს ყველა ქვეყნის წინაშე დგას ადამიანთა დაკმაყოფილების მიზნით შეზღუდული რესურსების ეფექტიანად გამოყენების პრობლემა.

დაბოლოს, **მტკიცება არ სჭირდება იმ რეალობას, რომ საზოგადოების მოთხოვნილებების ერთობლიობა აღემატება ყველა არსებული რესურსის წარმოებრივ შესაძლებლობას.**

მაშასადამე, თ. რ. მალთუსმა მე-18 საუკუნეში დაინახა ადამიანთა საზოგადოების მოსალოდნელი გლობალური წინააღმდეგობები. ამდენად, იგი უდიდესი ეკონომისტი და დემოგრაფი მკვლევარია.

საზოგადოებრივ მეცნიერებაში შეტანილი ღვაწლის მიუხედავად, თ.რ.მალთუსის აღნიშნული ნაშრომი, უპირველეს ყოვლისა, მაინც უმნიშვნელოვანეს დემოგრაფიულ ძეგლს წარმოადგენს, რადგან სწორედ მასშია




პირველად ჩამოყალიბებული მოსახლეობის განვითარების ზოგადი პრინციპები და ის ერთიანი მეცნიერული თეორიის სახითაა გადმოცემული. ამის გამო დღევანდელი დემოგრაფიული კრიზისის პირობებში, მისი დაძლევისათვის საჭირო ეფექტიანი დემოგრაფიული პოლიტიკის შესამუშავებლად დიდი მნიშვნელობა აქვს იმ თეორიული დემოგრაფიული მემკვიდრეობის სრულყოფილად შესწავლასა და ახლებურად გააზრებას, რაც კი ამ მეცნიერების არსენალშია დაგროვილი. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გამო, ამ ნაშრომის ქართულ ენაზე თარგმნა და გამოცემა მისასალმებელია.

**„გამოცდილება ხალხთმოსახლეობის კანონის შესახებ“** ქართული თარგმანი პროფ. ანზორ სახვაძის მრავალი წლის გულმოდგინე მუშაობის შედეგია. როგორც ირკვევა, მთარგმნელი კარგად იცნობს მალთუსის შემოქმედებას და ნაშრომის რთული ადგილების ასახსნელად იგი ფართოდ იყენებს დიდძალ კომენტატორულ ლიტერატურას. თარგმანში ძირითადად შენარჩუნებულია ორიგინალური სტილი, აზრის სიზუსტე, სიღრმე და მრავალფეროვნება, რაც აადვილებს მალთუსის გაგებას.

ენობრივი თვალსაზრისით ტექსტი გამართულია, დაცულია ქართული სალიტერატურო ენის ნორმები და ინტერესით იკითხება.

ქართულ ენაზე ამ შესანიშნავი ნაშრომის თარგმნა ქართული დემოგრაფიული მეცნიერების სიძლიერის ერთ-ერთი დამადასტურებელი ნიშანია და ვფიქრობ, რომ მისი შემდგომი აღმავლობის მნიშვნელოვანი სტიმულიც გახდება.

**ამირან ჯიბუტი,**
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**SIC!**

# თქვენ ხომ საქართველოში ცხოვრობთ?

## თავშეკავებით, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა!

***როგორც ისტორიკოსები გვამცნობენ, ივერთა უბრწყინვალესი მეფე, უპირველესი მართლმადიდებელი და ქრისტეს აღმსარებლობის უდრეკი მედროშე, დავით მეოთხე-აღმაშენებელი, მიუხედავად იმისა, რომ დამპყრობლებს დაუნდობლად ებრძოდა, სათანადო პატივს მიაგებდა სხვათა სჯულს! ცნობილია, რომ ის თბილისის შემოერთების შემდეგ პარასკეობით თავის შვილებთან ერთად მეჩეთშიც კი შედიოდა და ყურანის კითხვას და ქადაგებას უსმენდა. ბევრ ოქროსაც უწყალობებდა. თვითონ დავითს ზედმიწევნით სცოდნია ყურანიც და, არაბი ისტორიკოსის მუჰამედ ალ ჰამავის სიტყვებით, განჯის ყადს ხშირად ესაუბრებოდა ისლამის დოგმებთან დაკავშირებით.***

***საქართველოს მეფეთა და ხალხთა ისტორიაში საკმარისადაა მსგავსი მაგალითები. ამისი თვალნათელი დასტურია დედაქალაქის ერთ-ერთი ცენტრალური მოედანი, სადაც ხელისგულისოდენა მიწაზე ერთმანეთის გვერდით აღმართულა სხვადასხვა აღმსარებლობის სალოცავები.***

**ეს ყოველმა ქართველმა და საქართველოში მცხოვრებმა არაქართველმაც კარგად იცის დღეს!**

ამიტომაც იწყინა საქართველომაც ამას წინათ ევროპის ზოგიერთ გაზეთში იმ კარიკატურების გამოქვეყნება, რომელმაც აღაშფოთა მაჰმადიანური სამყარო! მაგრამ, სამწუხაროდ, ეს „ისტორია“ ხშირად ავიწყდება ზოგიერთ ჩვენს თანამემამულეს!

შეიძლება ბევრს „უხერხულ“ ნათქვამად მოეჩვენოს, მაგრამ... უხერხული ის გახლავთ, რომ აგერ, შენს გვერდით საუკუნეების მანძილზე მცხოვრები სხვა ეროვნების შთამომავლებთან, ჯერ ისევ მესამე – რუსულ ენაზე გიხდება ლაპარაკი!

პირადად მე სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი არაერთი მეგობარი და ნაცნობი მყავს, კარგი ქართულით რომ შეგაყვარებენ თავს. მათთვის არაერთი სტრიქონი მიმიძღვნია. შინაგანი ჯარების ერთი რიგითი მაიორი ნარიმან ნარიმანოვი ხშირად იტყოდა: – **„საქართველოში ვცხოვრობ, საქართველოს მოქალაქე ვარ და მე აზერბაიჯანული წარმოშობის ქართველი უნდა ვიყო და ქართული ენის სიყვარული ჩემი ქართულით უნდა გამოვხატო“.**

რა დამავიწყებს ჩემი მეგობრის, სომეხი კაცის იური აივაზოვის ძარღვიან ქართულს! ხშირად ქართველებს გვისწორებდა ქართულს და თავმოწონებით იტყოდა – მე ქართველი სომეხი ვარო!

ებრაელებისა და ქართველების მეგობრობის ფენომენზე კი, მხოლოდ გაოცება შეიძლება გამოხატონ უცხოელებმა!

ასეთი მაგალითები, საბედნიეროდ, ულევია!

მაგრამ დღეს გული მწყდება, რომ ბევრ სოფელში (და ქალაქშიც) მრავლად ცხოვრობენ ისეთებიც, რომელთაც ოფიციალურ ორგანოებშიც კი თარჯიმანი სჭირდებათ და არც ცდილობენ „საქმის გამოსწორებას“, პირიქით რაღაც ამბიციებიც კი აწუხებთ!

**ამიტომ თავშეკავებით, მაგრამ აუცილებლად უნდა ვთქვა: – თქვე დალოცვილებო, თუ ქართველი მეფეები არ უკადრისობდნენ თქვენს ენაზე საუბარს, თქვენც ცოტა შეიწუხეთ თავი და ერთად ვისაუბროთ ქართულად, ეს თქვენთვისაც აუცილებელი ხომ უნდა იყოს? ჩვენ ხომ ერთად ვცხოვრობთ იმ მიწაზე, რომელსაც, თქვენივე თქმითაც, კურთხეული საქართველო ჰქვია?**

**ზაურ ფიფია**

№ 117. შაბათი, 23 ივნისი, 2007 წელი.

# ხსოვნა

● შუახნის კაცი წავიდა ამ ქვეყნიდან, ენერგიითა და ოპტიმიზმით სავსე... არადა, რამდენი რამ მოასწრო



**◎ დაგვიანებული რეკვიემი**

*სამშობლოზე უზომოდ შეყვარებულმა ბატონმა ვახტანგ გოგუაძემ, დაახლოებით ოცდაათი წლის წინათ, „მავნე ტრადიციების და წეს-ჩვეულებების შესახებ“ კომუნისტური იდეოლოგიის მიერ გაჩაღებული კამპანიისთვის, რომელიც ჩვენი ქართული მამაპაპური ადათ-წესების უარყოფას-წაშლას ითვალისწინებდა, მეტად თამამი და იმ პირობებში თითქმის გმირობის ტოლფასი საქმე იტვირთა და ქართულ საზოგადოებას ეროვნული სულისკვეთებით გაჟღენთილი წიგნი მიუძღვნა, რომელიც ქართული ტრადიციული ყოფითი კულტურის ნიმუშებით იყო დამშვენებული. სწორედაც რომ, ცეკას იმ ცნობილი დადგენილების საწინააღმდეგო-საპასუხოდ იყო გამოცემული. ამ შესანიშნავ „ალტერნატიულ“ ნაშრომს, წიგნს — პროტესტს, სათაურიც მრავლისმეტყველი შეურჩია ავტორმა: „ერი გულადი, პურადი“. სწორედ, ამიტომაც ამ გლოვის დღეებში, ჩვენი ძვირფასი მეგობრის ხსოვნისადმი მიძღვნილ წერილს ეს სათაური შევურჩიე, რადგან თვითონაც ასეთი გახლდათ ბატონი ვახტანგი, ქართველი პატრიოტი, მისი საყვარელი სამშობლოსათვის — გულადი და პურადი. ესე იგი, მამაცი, ეროვნული საქმისთვის, უნივერსიტეტისთვის, მისი ოჯახისთვის თავდადებული, პურადი, ესე იგი მოყვრისთვის ლუკმის გამყოფი და დამპურებელი, ჭირსა თუ ლხინში მეგობრების გვერდში მდგომი...*

# კაცი გულადი, პურადი

ამ წერილს მეორე სათაურიც დაამშვენებდა: **„კაცი გონიერი და ღონიერი“.** მის მიერ შექმნილი ეს ფრთიანი, ხატოვანი გამოთქმა, ჯერ უნივერსიტეტში, შემდეგ ყველგან დევიზ-ლოზუნგად იყო აღქმული, განსაკუთრებით, როცა თვით ბატონი ვახტანგი შესძახებდა, მოუწოდებდა, ვითომ ხუმრობით, სხარტად და ომახიანად, მუდამ იყავით გონიერი და ღონიერი, ღონიერი და გონიერიო! ასე მოძლვრავდა იგი სტუდენტ-ახალგაზრდობას უნივერსიტეტის აუდიტორიებში. შეკრებებზე სპორტულ დარბაზებში თუ სტადიონებზეც. არადა, თვითონ იყო ასეთი, სულხან-საბასთან გონი და ღონე რომ ასოცირდება სიმხნევისა და ძლიერების ნიშნად... გონიერი — გონებიანი, გულისხმიერი ბრძანდებოდა ჩვენი ვახტანგი და მუდამ მხნედ, ცოცხლად, სპორტულად გამოიყურებოდა 60-იანი წლების სტუდენტობიდან, ბოლო დღემდე... სხვაგვარად ვერ გაუძლებდა იმ უზარმაზარ გონებრივ და ფიზიკურ დატვირთვას, რომელიც თან ახლდა მთელ მის ცხოვრებას.

შუახნის კაცი წავიდა ამ ქვეყნიდან, ენერგიითა და ოპტიმიზმით სავსე... არადა, რამდენი რამ მოასწრო — უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის წარმატებით დამთავრების შემდეგ, მოკლე ვადაში საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა, ხოლო შემდეგ ფილოლოგიის სპეციალისტი ფილოსოფიის დოქტორი გახდა (რაც დღემდე უნიკალური ფაქტიაძ მრავალმხრივ განათლებულ-განსწავლული პროფესორი სტუდენტებთან ისეთი უშუალო და კომუნიკაბელური იყო, ყველას გაგაოცებდათ, ლექციაზე პრობლემური და აქტუალური თემატიკის გადაცემის ბოლოს ისეთ ცინცხალ, გურული იუმორით შეზავებულ ამბებს ჩართავდა, გადაღლილ სტუდენტებს უმალ გამოაცოცხლებდა. ისინიც აყვებოდნენ საყვარელ ლექტორს, გარეთ გამოაცილებდნენ და უნივერსიტეტის დერეფნის თეთრი კედლები კიდევ უფრო განათდებოდა, აივსებოდა ხალისიანი ჟრიამულით... იქვე ბატონ ვახტანგს კოლეგებიც შეუერთდებოდნენ, მათ, მასთან შეხვედრის სიხარულის გარდა, ათეულობით შეკითხვა თუ თხოვნა ჰქონდათ, ამჟერად, როგორც პრორექტორთან, და იგი, როგორც ყოველთვის, დაუღლელად ამომწურავ პასუხს გასცემდა ყველას. მოეფერებოდა, იმედებს მისცემდა და სიტყვასაც შეასრულებდა... დღემდე გამოუცნობი რჩება, თუ სად და როგორ ახერხებდა ეს მართლაც „გონიერი და ღონიერი კაცი“ ამდენს...

ჯერ მხოლოდ მისი მეცნიერული ინტერესების სფეროებს გადაავლეთ თვალი — ფილოსოფია, ფილოლოგია და რელიგიათმცოდნეობა, ხელოვნების, კულტუროლოგიის, ისტორიის, ეთნოლოგიის საკითხები... მან ათეულობით მონოგრაფია, ასეულობით სამეცნიერო სტატია დაწერა ამ დარგებში. აქვეყნებდა ღრმა ანალიტიკურ წერილებს პოლიტიკაზე, ეროვნულ იდეოლოგიაზე, რელიგიაზე, ეთნოფსიქოლოგიაზე... არაერთი ესსე თუ ნარკვევი შექმნა გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეებზე, მწერლებზე, მეცნიერებზე, მხატვრულ-პუბლიცისტური წერილები ცნობილ უცხოელ მოღვაწეებზე. და ყველაფერი ეს, არა მხოლოდ მშობლიურ, არამედ — რუსულ და გერმანულ ენებზე.

გასული საუკუნის 80-იანი წლების უნივერსიტეტი ეროვნული მოძრაობის დაწყების კერა და სამჭედლო... ვახტანგ გოგუაძე პრაქტიკულად უნივერსიტეტის ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი წარმმართველი, ლიდერი გახლდათ. თანაც არ დაგავიწყდეთ, იგი ამ დროს პრორექტორია, ესე იგი, სახელმწიფო მოხელეა, ათასი თვალი და ყური ტრიალებს მის გარშემო და იგი მაინც მთელი ენერგიით, შემართებით, ჭკუაგონებით, ადამიანებთან ურთიერთობების გასაოცარი უნარით, თამამი და მართალი სიტყვით, ნამდვილად „სახალხო დიპლომატიის დესპანია“... ვგონებ, სწორედ ამიტომაც არ გადაიზარდა მაშინდელი ეროვნული მოძრაობა უნივერსიტეტში არეულობა-ქაოსში (რაც, რა თქმა უნდა, ხელს აძლევდა ჩვენს მტრებსძ. სწორედ, ამ დროს გამოჩნდნენ ბატონი ვახტანგის ინიციატივით შექმნილ პრესკლუბში სტუდენტი-ლიდერები, უნივერსიტეტის ღირსეული შვილები, ნამდვილი პატრიოტები, ჩვენი „გავროშის“ — დათო ტურაშვილის მეთაურობით. ამ დროს, პრორექტორმა აქეთ ეს ცეცხლოვანი ყმაწვილები უნდა „დააკვალიანოს“ (მისი საყვარელი გამოთქმააძ, აქეთ კი, ეროვნული მოძრაობის ლიდერებს — უნივერსიტეტელებს აკაკი ბაქრაძეს და ზვიად გამსახურდიას უნდა გამოუყოს, „გაუშანსოს“ (გესმით, ალბათ, რა დროა...ძ აუდიტორიები ლექციებისათვის... ლექციები, რომლებიც საფუძველს მოუმზადებს, სტიმულს მისცემს და იმედს ჩაუსახავს არა მხოლოდ სტუდენტებს, არამედ ყველა ჭეშმარიტ ქართველს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მონაწილეობისათვის, საერთოდ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

ვახტანგ გოგუაძის, როგორც პარლამენტის სპიკერისა და პარლამენტარის დახასიათებას, არ შევუდგები, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მისი მოღვაწეობის იმ პერიოდზე, ჩვენზე მეტად და კარგად, იმდროინდელმა მეგობრებმა, თანამოაზრეებმა და თანამშრომლებმა იციან, რომლებიც იმ მძიმე წლებში მასთან ერთად სწევდნენ შეჭირვებულ სამშობლოს უღელს...

პარლამენტთან დაკავშირებით მხოლოდ ერთს დავძენთ: იგი უყვარდა ყველას და მას უყვარდა ყველა. ამ შემთხვევაში, ჩვენი საერთო მეგობრის, სამეურნეო და ადმინისტრაციული დარგების ცნობილი სპეციალისტის ლევან დავლაძის სიტყვები მოვიშველიე, რომელიც იმჟამად პარლამენტში მუშაობდა და თვითმხილველი იყო ბატონი ვახტანგის უშუალობის, უანგარობის, სიხარულის, დარდისა და ცრემლის...

ვახტანგი იმ დაძაბული და დამღლელი, მძიმე სამუშაო დღეების შემდეგ, არასოდეს ივიწყებდა ძველ მეგობრებს. იუმორით სავსე კაცს, განსაკუთრებით ლხინი უხდებოდა — სუფრის თამადა, ლექსი თუ სიმღერა, უფრო სწორედ თავისებური წაღიღინება... აურაცხელი ანეკდოტი თუ მახვილგონიერი სიტყვა... მისი მეგობრები ცნობილი მეცნიერები, მწერლები, კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენლები, სახელოვანი სპორტსმენები და უბრალოდ კაი კაცები იყვნენ... საკმარისია ვახტანგ გოგუაძის 2005 წელს გამოცემული უნიკალური წიგნი-ხსოვნა „პანთეონი“ გადაიკითხოთ და მიხვდეთ, ვინ იყვნენ მისი უფროსი აწ გარდაცვლილი სახელგანთქმული მეგობრები... ცოცხლები? ჩვენ დავრჩით, რომ არასდროს არ დავივიწყოთ ძვირფასი მეგობარი... თითქოსდა იწინასწარმეტყველა ვახტანგმა ჩვენი ულრმესი მწუხარება მისი გარდაცვალების გამო... შავ ყდაში ჩასმულ წიგნში (როგორც „პანთეონს“ ეკადრებაძ იგი წერს: **„ვეკითხები ჩემ თავს და მკითხველს, ვის სჭირდება მოგონება, მოფერება გარდასულ სულთა, ჩვენ თუ მათ? უწინარესად, ეს ჩვენ გვჭირდება. დროთა კავშირი თუ დაირღვა, ფესვებმოჭრილი მუხა აღარაა მუხა“,** ჩვენი აზრით, ეს სიტყვები ამართლებს, ჩვენს დღევანდელ მიზანს — მცდელობას, რომ მკითხველს, მოსაგონებლად, ხოლო ჩვენ სამუდამოდ დაგვრჩეს სახელი მისი...

ბატონი ვახტანგ გოგუაძის სული მუდამ იტრიალებს მის საოცრად კეთილ, ლამაზ და გონიერ ოჯახში. მისი ერთგული მეუღლის, არა მხოლოდ მეუღლის, არამედ მესაიდუმლის, მეგობრის, თანამოაზრის, ჩვენი უნივერსიტეტელის, ქალბატონ ნანის, მისი უნიჭიერესი ვაჟის, ჭაბუკობაში პერსპექტიული სპორტსმენის, ამჟამად წარმატებული ბანკირის გიორგის, მისი უაღრესად დახვეწილი ქალიშვილის თამუნას (თამარისძ სულში და გონებაში, აუცილებლად დარჩება ბაბუა ვახტანგი კოხტა და ლამაზი შვილიშვილების მეხსიერებაში.

**„ყველა ერს ჰყავს თავისი გამორჩენილი და ღირსეული ადამიანები. მეც მხიბლავს ჩემი ერის, ჩემი ხალხის მრავალფეროვანი და ერთსულოვანი ბუნება, ერთსულოვნებაში არ ვგულისხმობ საზოგადოებრივ, სახალხო კოლექტიურობას. ამ ერთსულოვნების მეტაფიზიკური სახელია სიკეთესიყვარული, ღვთის სიყვარულის შარავანდი მოსავდეს ყველა მამულიშვილს, ჩვენ თანამემამულეთა ხსოვნას“ —** წერს „პანთეონში“.

თითქოს გულმა გიგრძნო, ჩვენო ვახტანგ: შენი ეს სიტყვები შენვე გეკუთვნის, ღვთისა და ერის შვილო!

**მისი თაობის უნივერსიტეტელი მეგობრებისა და ვეტერანი სპორტსმენების სახელით**

**ოთარ მიმინოშვილი**

**◎ ინფორმაცია**

## ბინების ჩამორთმევა უკანონო იყო

**სახალხო დამცველი თბილისის მერისგან ბინების ჩამორთმევის გახმაურებული თემის შესახებ თბილისის მთავრობის მიმდინარე წლის 30 მარტის დადგენილების კანონიერების საკითხის შესწავლას ითხოვს.**

**როგორც სახალხო დამცველის აპარატიდან იტყობინებიან სახალხო დამცველმა ზემოთ აღნიშნული დადგენილების შედეგად 7 ბინაჩამორთმეული მოქალაქის საქმე განიხილა, კერძოდ: ნინო გვენცაძის, ანზორ აბრალავას, ჯემალ ხუციშვილის, გულნარა ქსოვრელის (გზირიშვილიძ, ჯემალ სეფიაშვილის, ირაკლი ჭიაბრიშვილის და ზაზა კოლელიშვილის საქმეები.**

**სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ თბილისის მთავრობის 30 მარტის დადგენილებით საკუთრება ჩამორთმეული მოქალაქეთა ნაწილი სავსებით აკმაყოფილებდა თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებებით განსაზღვრულ კრიტერიუმებს. შესაბამისად, დარღვეულია ადამიანის გარკვეული ჯგუფის ერთ-ერთი ფუნდამენტური - საკუთრების უფლება.**

## რამდენი გაფლანგა ჩოჩიევმა?

**სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული ხელისუფლების საგანგებო დავალებათა მინისტრი ბორის ჩოჩიევი უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას, რომლის თანახმადაც, შესაძლოა, უახლოეს ხანში რუსეთის ფედერაციის გენერალურმა პროკურატურამ დე ფაქტო მთავრობის მაღალჩინოსნებზე სისხლის სამართლის საქმე აღძრას.**

**ჩოჩიევი აცხადებს, რომ მსგავსი აბსურდების გამოგონებით სანაკოევის ხელისუფლებაა დაკავებული.**

**გავრცელებული ინფორმაციით, შესაძლოა მალე რუსეთის გენპროკურატურამ დიდი ოდენობით თანხების გაფლანგვის ბრალდებით სეპარატისტთა მაღალჩინოსნებზე სისხლის სამართლის საქმე აღძრას. საქმე ეხება 200 მილიონ რუბლს, რომელიც რუსეთმა დე ფაქტო ხელისუფლებამ საკუთარი ნებით გამოუყო.**

**ინტერპრესნიუსი**

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576

№ 117. შაბათი, 23 ივნისი, 2007 წელი.

# შპს „საქართველოს რკინიგზა“ აცხადებს კონკურსს შპს „საქართველოს რკინიგზის“ ბალანსზე რიცხული ვაგზალ „თბილისი-საკვანძოს“ შენობის და შენობაზე დამაგრებული მიწის ფართის (შემდგომში – საიჯარო ქონება) დროებით სარგებლობაში, იჯარის ფორმით, გადაცემის მიზნით

*1. ძირითადი საინფორმაციო მონაცემები*

• **საიჯარო ქონების იურიდიული მისამართი** ქ. თბილისი მოსკოვის გამზირი №2

• **შენობის იჯარით გასაცემი საერთო ფართი შეადგენს** 6741,56 კვ/მ, შენობაზე დამაგრებული მიწის ფართი 10327 კვ/მ.

• **საიჯარო ქონების (შენობის) დახასიათება** – ექსპლუატაციაში შესულია 1978 წელს, შედგება 4 სართულისაგან.

• **საწყისი თვიური საიჯარო ქირა 22 000** აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში, დღგ-ს გარეშე.

• **„ბე“ 22 000** აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში.

• **იჯარის ვადა** 49 წელი.

• **განაცხადების მიღების ადგილი** – ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15, შპს „საქართველოს რკინიგზის“ ადმინისტრაციული შენობა, მე-4 სართული, ტელ.: 56-33-48.

• **განაცხადების მიღების ვადა** – 2007 წლის 22 ივნისიდან 2007 წლის 5 ივლისის ჩათვლით, 12.00 საათიდან 17.00 საათამდე.

• **კონკურსის ჩატარების თარიღი (მონაწილის წინადადებების შემცველი კონვერტების გახსნის თარიღი) ადგილი და დრო** – 2007 წლის 6 ივლისი, ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15, შპს „საქართველოს რკინიგზის“ ადმინისტრაციული შენობა, 14.00 საათი.

• **შპს „საქართველოს რკინიგზის“ საბანკო რეკვიზიტები** – „ბანკი რესპუბლიკა“, ცენტრალური ფილიალი, ა/ა №3407003205, ბანკის კოდი №220101757, საიდენტიფიკაციო კოდი №202886010.

• **კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ** – საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

*2. კონკურსის პირობები*

• საწყისი საიჯარო ქირა წელიწადში შეადგენს 264 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში დღგ-ს გარეშე. საიჯარო ქირა გადაიხდება ყოველთვიურად (თვეში 22 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში, დღგ-ს გარეშე.). ამასთან პირველი 2 წლის განმავლობაში მოიჯარე გადაიხდის საიჯარო ქირის 50%-ს, ხოლო შემდგომი 3 წლის განმავლობაში თანაბარწილად დაფარავს საიჯარო ქირის გადახდასთან დაკავშირებით წარმოქმნილ სხვაობას. მეიჯარის მოთხოვნით საიჯარო ქირა გადაიხედება ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ორგანოს მიერ დადგენილი ეროვნული სამომხმარებლო ფასების ინდექსის მიხედვით, რისთვისაც ბაზისად აღებული იქნება 2007 წლის იანვრის თვის მაჩვენებელი.

• შენობის I სართულზე 89.82 კვ/მ ფართი რჩება შპს “საქართველოს რკინიგზის” სარგებლობაში. შენობის პასპორტის მიხედვით შპს „საქართველოს რკინიგზის“ მფლობელობაში დარჩენილი ფართის სქემატური გეგმა წარმოადგენს საიჯარო ხელშეკრულების გაფორმებისას მის განუყოფელ ნაწილს. ამასთან, შპს “საქართველოს რკინიგზასთან შეთანხების შემთხვევაში შესაძლებელია აღნიშნული ფართის განლაგების შეცვლა.

• მოიჯარის მიერ ქონების, კომუნალური და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გადასახადების, აგრეთვე საიჯარო ქონების დაცვის ხარჯების დროულად და სრულად გადახდა.

• მოიჯარე ვალდებულია, მთლიან შენობაზე საკუთარი ხარჯით, შეასრულოს არა ნაკლებ 1 500 000 ა.შ.შ დოლარის ექვივალენტი ლარის ღირებულების სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები. სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების წარმოება მოიჯარემ უნდა დაიწყოს იჯარის ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 3 თვისა და დაასრულოს ხელშეკრულების დადებიდან 2 წლის განმავლობაში. თუ მოიჯარე დაარღვევს სამუშაოების დაწყების ან დასრულების ვადებს, კონკურსის შედეგები გაუქმდება და მოიჯარეს „ბე“ და გადახდილი საიჯარო ქირა არ დაუბრუნდება.

• მოიჯარე ვალდებულია უზრუნველყოს საიჯარო ქონების რეკონსტრუქციის პროექტის შემუშავება, რომელიც მოწონებული უნდა იქნეს შპს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ და კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, შეთანხმებულ უნდა იქნეს შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებთან.

• შენობის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებზე დახარჯული თანხები მოიჯარეს არ აუნაზღაურდება.

• მოიჯარე საკუთარ თავზე იღებს შპს “საქართველოს რკინიგზის” მიერ იმ იურიდიულ თუ ფიზიკურ პირებთან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, რომელთა საფუძველზეც მოიჯარეებს ვაგზლის შენობაში დაკავებული აქვთ საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფართი.

• მეიჯარის მოთხოვნის შესაბამისად მოიჯარემ სრულად უნდა გადაუხადოს შპს „საქართველოს რკინიგზას“ ის დებიტორული დავალიანება, რომელიც ამ უკანასკნელის მიმართ გააჩნიათ შენობაში არსებული ფართების სხვა მოქმედ მოიჯარეებს. თუ მოიჯარე არ შეასრულებს ამ ვალდებულებას, მეიჯარე იტოვებს უფლებას ცალმხრივად მოშალოს ხელშეკრულება და მოიჯარეს გაწეული ხარჯები არ დაუბრუნდება. დავალიანების ზუსტი ოდენობა დგინდება იჯარის ხელშეკრულების დადების დღის მდგომარეობით და წერილობით ეცნობება მოიჯარეს იმავე დღეს. ამასთან, შპს „საქართველოს რკინიგზა“ გადასცემს მოიჯარეს უფლებას რეგრესის წესით ამოიღოს ეს თანხა შესაბამისი დავალიანების მქონე მოიჯარეებისაგან.

• მესაკუთრე წინასწარ უცხადებს თანხმობას მოიჯარეს, მასზედ რომ მან იჯარისა და საინვესტიციო ხელშეკრულებების მოქმედების განმავლობაში სარგებლობის ნებისმიერი მიზნით, ქვეიჯარით გასცეს იჯარით დატვირთული ქონების სხვადასხვა ნაწილი, იმ პირობით რომ ასეთი ქვეიჯარა პირდაპირ და/ან არაპირდაპირ არ შეზღუდავს და/ან სხვა რაიმე მავნე ზემოქმედებას არ მოახდენს სამგზავრო სადგურის ნორმალურ ფუნქციონირებაზე.

• მოიჯარე უზრუნველყოფს ვაგზლის შენობის გამოთავისუფლებას შენობაში რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებული პირებისაგან მათთვის შესაბამისი კომპენსაციების გაცემით, რომელიც არ შედის ივნესტიციის მოცულობაში. კომპენსაციის ოდენობას განსაზღვრავს მოიჯარე აღნიშნულ პირებთან მოლაპარაკებით.

• მოიჯარემ უნდა დაიცვას ხანძარსაწინააღმდეგო, უსაფრთხოებისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, უზრუნველყოს საიჯარო ქონების მოვლა-პატრონობა, აგრეთვე იმგვარად ისარგებლოს აღნიშნული ქონებით, რომ საფრთხე არ შეუქმნას სარკინიგზო მოძრაობასა და მოქალაქეთა უსაფრთხო გადაადგილებას შენობასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე. თუ მოიჯარის ბრალეული ქმედებით შენობასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ზიანი მიადგა მესამე პირებს, მოიჯარე ვალდებულია აუნაზღაუროს მათ ეს ზიანი.

• მოიჯარე ვალდებულია საიჯარო ქონებაში შექმნას ყველა საჭირო პირობა სამგზავრო სადგურის ნორმალური ფუნქციონირებისთვის. მოიჯარეს უფლება არა აქვს სხვა დანიშნულებით გამოიყენოს ვაგზლის ბაქნები და მასთან მისასვლელი ინფრასტრუქტურა და ამით ხელი შეუშალოს მგზავრთა მომსახურებას.

• მოიჯარეს ეკრძალება, შპს „საქართველოს რკინიგზის“ წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, მოახდინოს შენობის რეკონსტრუქცია ან განახორციელოს მნიშვნელოვანი მიშენებები, გარდა იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებისა.

• იჯარის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ საიჯარო ქონება უბრუნდება შპს „საქართველოს რკინიგზას“.

• მოიჯარე ვალდებულია, ყოველ 6 თვეში ერთხელ, შპს „საქართველოს რკინიგზას“ წარუდგენს ანგარიში იჯარის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თაობაზე.

• სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში მოიჯარე იღებს გაფრთხილებას წერილობითი ფორმით, სადაც მიეთითება ვადა დარღვევის აღმასაფხვრელად და მოიჯარე ჯარიმდება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე თვიური საიჯარო ქირის 0.1%-ის ოდენობით.

• მოიჯარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების განმეორებით შეუსრულებლობისას ან დაწესებულ ვადაში ჯარიმის გადაუხდელობისას შპს „საქართველოს რკინიგზას“ უფლება აქვს ცალმხრივად მოშალოს იჯარის ხელშეკრულება. ამ შემთხვევაში მოიჯარე ჰკარგავს გაწეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

*3. საუკეთესო წინადადებების გამოვლენის კრიტერიუმები*

• მაქსიმალური საწყისი საიჯარო ქირის შემოთავაზება, რომელიც უნდა აღემატებოდეს გამოცხადებულ საწყის საიჯარო ქირას.

• შენობის საუკეთესო სარემონტო-სარეკონსტრუქციო ესკიზების წარმოდგენა.

• ვალდებულების აღება დანარჩენი საკონკურსო პირობების დაკმაყოფილებაზე.

• თუ კონკურსში მონაწილე რამდენიმე პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული წინადადება ფასისა და სხვა კრიტერიუმების მიხედვით დააკმაყოფილებს კონკურსის პირობებს, მაშინ კომისია უფლებამოსილია რიგითობის მიხედვით (წინადადებების ხელსაყრელობის გათვალისწინებით) დაადგინოს საუკეთესო წინადადებები და შემდგომში მათ ავტორებთან აწარმოოს მოლაპარაკებები დადგენილი რიგითობის მიხედვით. ამასთან, პრეტენდენტი ვალდებულია, გაუმჯობესებული ფინანსური წინადადების წარმოდგენისას შემოთავაზებაში ქონების იჯარით ასაღებად მიუთითოს ფიქსირებული თანხა.

*4. იჯარის ხელშეკრულების დადება*

• კონკურსის შედეგები ცხადდება კონვერტის გახსნიდან არაუმეტეს 5 სამუშაო დღის განმავლობაში;

• ოქმი მტკიცდება კონკურსის ჩატარებიდან 10 დღის განმავლობაში;

• ოქმის დამტკიცების მომენტიდან 20 კალენდარული დღის განმავლობაში გამარჯვებული ვალდებულია გააფორმოს საივესტიციო და საიჯარო ხელშეკრულებები, რომელებიც უნდა დამოწმდეს ნოტარიული წესით. წინააღმდეგ შემთხვევაში კონკურსის შედეგები გაუქმდება და “ბე“ არ დაუბრუნდება.

• ხელშეკრულების ნოტარიულად დამოწმების, საჯარო რეესტრში რეგისტრაციისა და ამისათვის აუცილებელი საბუთების წარდგენის ხარჯებს ფარავს მოიჯარე.

*5. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტები*

• დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს საიჯარო ქონების დასახელება და კონკურსანტის თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე.

• კონკურსში მონაწილემ, მის მიერ დალუქული კონვერტით, უნდა წარმოადგინოს საინვესტიციო ხელშეკრულების პროექტი, სადაც გათვალისწინებული იქნება ვაგზლის შენობის (მათ შორის იმ ფართის რომელიც რჩება შპს “საქართველოს რკინიგზის” სარგებლობაში) და მიმდებარე ტერიტორიის რეკონსტრუქციისთვის მოიჯარის მიერ განსახორციელებელი ინვესტიციის ოდენობა და ვადები (არანაკლებ 1 500 000 ა.შ.შ დოლარის ექვივალენტი ლარისა და პირველი 2 წლის ვადაში), აგრეთვე რეკონსტრუქციის ესკიზები (ექსტერიერი, ინტერიერი),

• საბანკო გარანტია საიჯარო ქონების სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებისათვის გათვალისწინებული თანხის არანაკლებ 10%-სა.

• კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები, მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება მის მიერ. წინადადებები საიჯარო ქირის შესახებ მოცემული უნდა იყოს კონკრეტული რიცხვის სახით. დაუშვებელია აპელირება სხვის წინადადებაზე (ასეთი წინადადებები არ განიხილება).

• „ბე“-ს გადახდის ქვითარი („ბე“ გადაიხდება შპს „საქართველოს რკინიგზის“ ანგარიშსწორების ანგარიშზე, საზოგადოების საბანკო რეკვიზიტების მიხედვით).

• კონკურსში მონაწილე ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები ან ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

• იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტების ნოტარიულად დამოწმებულ ასლებს.

• კონკურსში მონაწილეთა ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს კონკურსში მონაწილის სტატუსს.

• გადაწყვეტილება კონკურსში საუკეთესო წინადადების გამოვლენის შესახებ ცხადდება, როგორც წესი, კონვერტის გახსნის დღეს. ამასთან, საკონკურსო კომისიას უფლება აქვს გადაწყვეტილება საუკეთესო წინადადების გამოვლენის შესახებ გამოაცხადოს კონვერტის გახსნიდან არაუმეტეს 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

• კონკურსი ითვლება არშემდგარად, თუ კონკურსის გამოქვეყნებიდან დადგენილ ვადაში არ იქნა შეტანილი არც ერთი განაცხადი ან წარმოდგენილი განაცხადებიდან არც ერთი არ შეესაბამება კონკურსის პირობებს.

*6. შენიშვნები და დათქმები*.

• მოიჯარეს გადახდილი „ბე“ ჩაეთვლება ანგარიშსწორების დროს იმ დროისათვის არსებული სავალუტო კურსის შესაბამისად.

• დადგენილი ვადის შემდეგ შემოსული საკონკურსო განაცხადი არ მიიღება.

• განაცხადის შემოსვლის თარიღი განისაზღვრება მისი რეგისტრაციის თარიღით.

• თუ განაცხადების მიღების ბოლო დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღის იმავე საათზე.

**საიჯარო ქონებისა და კონკურსის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შპს „საქართველოს რკინიგზაში“.**

**● მოკლედ და მკაფიოდ უნდა ითქვას, რომ არც ერთი ქართული ხელისუფლება ან, მით უმეტეს, ქართველი ხალხი, არამც და არამც არ შეურიგდება ოდითგანვე ჩვენი მიწა-წყლის ხელყოფას, მისი ტერიტორიების მითვისებას!!**



◎ „ტელედებატები“

# ძალები არათანაბარი იყო, შედეგი - შესაბამისი

## ეკა ხოფერიასა და ედუარდ კოკოითის „გაზაასება“ „იმედის“ ეთერში



**ალბათ, ყველა, ვინც კი მოისმინა „იმედის“ ერთ-ერთი წამყვანი ტელეჟურნალისტის ეკა ხოფერიასა და „სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის“ ედუარდ კოკოითის „გაზაასება“ 21 ივნისის ლია ეთერში, დაგვეთანხმება, რომ პაექრობა ქართული მხარის სრული მარცხით დასრულდა.**

სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო, ვინაიდან გამოცდილ დემაგოგს, პოლიტიკურ ავანტიურისტს, უაღრესად „შებერტყილ“ კოკოითს იმ საღამოს დაუპირისპირდა ქალური მომხიბვლელობითა და კდემამოსილებით შემოსილი ქართველი მანდილოსანი, რომელიც აბსოლუტურად მოუმზადებელი აღმოჩნდა ამ რთული და საპასუხისმგებლო პაექრობის წარმართვისთვის. შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ მთელი გადაცემის მანძილზე იგი თავს იმართლებდა თავისი ვიზინდარა რესპონდენტის წინაშე.

გარდა ამისა, რუსულ ენაზე პოლემიკის წარმართვისას შეუმჩნეველი უნდა იქნეს ამ ენას სრულყოფილად დაუფლებული პოლიტიკოსი (პირველ რიგში, რაც ჩვენი ტელეჟურნალისტების სამარცხვინოდ სუსტი მხარეა (ეკა კიდევ ბევრ სხვას სჯობია!). საკითხავია, ვინ „დააპროექტა“ ასეთი უთანაბრო, ჩვენთვის წინასწარ განწირული „დუელი“? მაგრამ ეს საქმის მხოლოდ ერთი მხარეა. მეორე ან კიდევ უფრო მნიშვნელოვანი მხარე კი, ჩემი აზრით, ისაა, რომ ჩვენ არამც და არამც არ გვჭირდება ფუჭ და უსაგნო პოლემიკაში ჩაბმა ვიწრო პროვინციული და ლოკალური საკითხების გასარკვევად, რაც ფართოდ უღებს კარს ჩვენ მოწინააღმდეგეების სხვადასხვა ჯურის დემაგოგიური სენტენციების, შეფასებებისა და ინსინუაციებისთვის, როგორც ეს გუშინწინდელ გადაცემაში ხდებოდა.

მოკლედ და მკაფიოდ უნდა ითქვას, რომ არც ერთი ქართული ხელისუფლება და მით უმეტეს, ქართველი ხალხი, არამც და არამც არ შეურიგდება ოდითგანვე ჩვენი მიწა-წყლის ხელყოფას, მისი ტერიტორიების მითვისებას!!

გვეყო, რაც დაგვმართეს ქართველი ხალხის უბოროტესმა მტრებმა ბოლშევიკებმა, რომლებმაც გამოუკლებლივ ყველა მეზობელ ქვეყანას გაუჩუქეს ქართული სისხლით მორწყული მიწები და რომლებმაც ჩადეს „შორეული მომავლის ნაღმები“ არამართლზომიერი ავტონომიების სახით.

კოკოითისა და მისთანებს პირდაპირ უნდა ვუთხრათ, რომ ისტორიულად არასოდეს „სამხრეთ ოსეთი არ არსებობდა“, რომ ოსების ინფილტრაცია სამხრეთისაკენ ქართულ ტერიტორიებზე საუკუნეების მანძილზე თანდათან ხდებოდა ისტორიული ოსეთიდან-ალანიიდან (ე.წ. ჩრდილოეთ ოსეთიდან), რომ გასული საუკუნის დასაწყისში ცხინვალში რაღაც ოთხი ოსური ოჯახი ცხოვრობდა, რომ თვითონ ცხინვალის ან ყველა სხვა ტოპონიმიკური ერთეულის წარმოშობა წმინდა ქართულია, ყველაზე უტყუარი საბუთია ამ ტერიტორიაზე ქართული ავტოქტონური ისტორიული ძირების არსებობა.

მაგონდება, კერძოდ, აკადემიკოს აკაკი შანიძისეული „ცხინვალის“ ეტიმოლოგიური განმარტება, რომელიც მოდის „რცხილნარიდან“ და ა.შ. (იგივე ეხება აფხაზეთის ტოპონიმიკასაც).

დასასრულ, უნდა გავიმეორო ზემოთქმული: არავითარი აზრი არა აქვს გაუთავებელ დისკუსიებში ჩაბმას ჩვენს ძალიან კარგად განწრთნილ დემაგოგ ოპონენტებთან, რომელთაც მთელი კატეგორიულობით, ძალიან მოკლედ და მკვეთრად პირში უნდა მივახალოთ მწარე სიმართლე ჩვენი ისტორიული, იურიდიული და მორალური პრიორიტეტების შესახებ.

**გულბათ ტორაძე**



◎ სულიერება

# მსხვერპლთშეწირვა არამართლმადიდებლური რიტუალია!

***ქრისტიანობამდე საქართველოში კერპებს აღმერთებდნენ და მსხვერპლს სწირავდნენ მათ. საქართველოს მთის (და არა მარტო მთის) მოსახლეობის რწმენაში ქრისტიანულთან ერთად, შემორჩა წარმართული ელემენტები.***

***მსხვერპლთშეწირვის ტრადიცია განსაკუთრებით მთის მოსახლეობაშია მტკიცედ დაცული. სადღესასწაულოდ სალოცავ-საყდრებში შეთქმული შესაწირის შემწირველთა რიგები დგება. ხევისბერი ჯერ სპეციალურ ლოცვას ამბობს, შემდეგ კი მსხვერპლთშეწირვის რიტუალს აღასრულებს.***

***მსხვერპლთშეწირვის ტრადიციასთან დაკავშირებით გვესაუბრება ვაზისუბნის ცხრა კოლაელი ყრმის სახელობის ეკლესიის მოძღვარი, დეკანოზი გურამ გურამიშვილი.***

— სისხლიანი მსხვერპლთშეწირვის ტრადიცია საქართველოში, სამწუხაროდ, დღემდე არსებობს. მსგავს ფაქტებს არა მარტო მთაში, ბარშიც ხშირად ვაწყდებით. ადამიანებს ღმერთის მიმართ კონკრეტული სათხოვარი აქვთ და მისი ასრულების შემთხვევაში უფალს, ან რომელიმე წმინდანს, ცხოველისა თუ ფრინველის შეწირვას აღუთქვამენ.

ამ რიტუალს განსაკუთრებული წესების დაცვით მთის სოფლებში ხევისბერები ან „დეკანოზები“ აღასრულებენ. შესაწირ ცხოველს, რქებზე ანთებულ სანთლებს დაამაგრებენ, ყურს გაუჭრიან, შემდეგ ამ სანთლით შუბლს შეუტრუსავენ, ყურიდან გადმოდენილ სისხლს კი შემწირველთა ოჯახის წევრებს ჯვრის სახით სცხებენ, ხშირად სალოცავის კედლებსა და ეზოშიც მოაპკურებენ. ეს ყველაფერი ხალხურ ტრადიციებზეა დაფუძნებული და მას საეკლესიო წესდებასთან კავშირი არ აქვს. ასეთი ფორმით ღვთისთვის მსხვერპლის შეწირვა ყოვლად დაუშვებელია.

**— მამაო, ძველ აღთქმაში ვხვდებით მსგავს ფაქტებს, როდის დასრულდა მსხვერპლთშეწირვის ასეთი ტრადიცია ქრისტიანულ რელიგიაში?**

— ძველ აღთქმაში ბევრგან ვხვდებით მსხვერპლთშეწირვის ასეთ სახეს, სისხლიანი მსხვერპლთშეწირვა ქრისტეს ჯვარცმით დასრულდა. იესო ქრისტე იყო უკანასკნელი ზვარაკი. მას შემდეგ ეკლესიაში სისხლიანი მსხვერპლი აღარ შეიწირება.





**— ეკლესიური წესით, რამდენად მიღებულია ღვთის წინაში ისეთი აღთქმის დადება, რაც მსხვერპლთშეწირვას გულისხმობს?**

— ეკლესიური თვალსაზრისით, ღვთის წინაშე აღთქმის დადება გაუმართლებელი და არასწორია. ცოდვათა ჩამონათვალშიც ის ერთ-ერთ ცოდვად არის მიჩნეული. უფალმა იცის ჩვენი სატკივარი, მან უკეთ უწყის, რა გვჭირდება ამა თუ იმ დროს. არ შეიძლება ღვთის მიმართ ანგარიშით, ვაჭრული დამოკიდებულება — ღმერთო, შენ ეს მომეცი და მე ცხვარს ან ხარს შემოგწირავო. ღმერთს ნივთიერი, მატერიალური არაფერი სჭირდება. უფალს ადამიანთა გულწრფელი სიყვარული და ერთგულება ახარებს.

**— მამაო, იმ ადამიანებს, ვინც ასეთ შესაწირს შეუთქვამენ ხოლმე, მტკიცედ სწამთ, რომ აღთქმის შეუსრულებლობის შემთხვევაში დაისჯებიან, რას ურჩევდით მათ?**

— ადამიანმა აღთქმა არ უნდა დადოს და მისი შესრულებაც არ დაევალება. ვინაიდან საზოგადოების გარკვეული ნაწილი მაინც ხალხური ტრადიციების მიმდევარია და ღმერთს ხშირად აღუთქვამს შესაწირს, მისი შეუსრულებლობის გამო სინანულში რომ არ ჩავარდნენ, ვურჩევდი, მოძღვრის კურთხევით გადაწყვიტონ, რა ფორმით აღასრულონ ეს.

**— რა შეიძლება ადამიანმა შესწიროს ეკლესიას და მონასტერს?**

— ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ ეკლესიაში შეიწირება უსისხლო მსხვერპლი. ეკლესიაში უამრავი კანდელი ანთია, შეიძლება ზეთის შეწირვა კანდელებისთვის, ფქვილის — სეფისკვერისთვის, ღვინის — წირვის საიდუმლოს აღსრულებისთვის. ასევე შეიძლება ხატის ან საეკლესიო ინვენტარის შეწირვა. ადამიანი მშენებარე ტაძრებს შეიძლება სამშენებლო მასალებით შეეწიოს.

**— მამაო, რა არის ღვთისთვის ყველაზე დიდი შესაწირი?**

— მართლმადიდებელი ერისა და მრევლის მიერ ღვთისთვის გაღებული ყველაზე დიდი შესაწირი უფლის უსაზღვრო სიყვარული და ერთგულებაა, რაც ღვთის მცნებების აღსრულებითა და ეკლესიური ცხოვრებით გამოიხატება. მაცხოვარი ჩვენგან ცოდვებისგან განწმენდილ გულს, მხურვალე ლოცვას, მარხვასა და სინანულს ითხოვს და არა რაიმე მატერიალურს.

**— მამაო, მთის მოსახლეობის უმეტეს ნაწილს, სოფლებში, სადაც სასულიერო პირი ჯერ კიდევ არ მოღვაწეობს, რწმენისადმი თავისებური დამოკიდებულება აქვს, თქვენი აზრით, რამდენად პრობლემურია ჩვენი ეკლესიისთვის ის რეალობა და როგორ გესახებათ მისი გადაჭრის გზები?**

— უღმერთობის ძალაუფლების ხანაში ეკლესიური ცხოვრება არათუ მთაში, ბარშიც შეწყვეტილი იყო. ამ დროს მრავალი ეკლესია-მონასტერი დაიშალა და დაინგრა, მრავალი გაიძარცვა და სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობად გადაკეთდა, მაგრამ დღეს ღმერთს, სულიერი ცხოვრება ახლა აღმავლობას განიცდის. მრავალი ეკლესია-მონასტერი აღდგა და ამოქმედდა. ალბათ, ყველაფერს დრო სჭირდება. ნელ-ნელა ყველგან, მთის სოფლებშიც აღდგება ღვთისმსახურება. მთის ხალხმაც საკმაოდ მძიმე პერიოდი განვლო, ეგზარქოსთა მმართველობის ჟამს დაუნდობლად შეურაცხყოფდნენ სიწმინდეებს. მაშინდელი ხელისუფლება პირდაპირ იძლეოდა დავალებებს, რომ ეკლესიებიდან ხატები გამოეტანათ და დაეწვათ. მოსახლეობა თავის თავზე იღებდა სიწმინდეთა დაცვას. ის სახლში მიჰქონდათ და საიმედოდ ინახავდნენ. ახლაც, მთის ხალხს წინაპრებისგან აქვს გამოყოლილი იმის შიში, რომ ეს სიწმინდეები ვინმემ არ დაუკარგოს. მთის სალოცავებში დღეს ისევ უხუცესები ლოცავენ ხალხს. თაობებს იქ კვლავ ხალხურ ტრადიციებზე ზრდიან. ზოგიერთ კუთხეში, მაგალითად, სვანეთში, დღესაც არიან ხევისბერების მიერ მონათლული ადამიანები, იქ საეკლესიო კანონებს არ იცავენ, მაგრამ ეს არა მათი, არამედ იმ ათეისტური რეჟიმის ბრალია, რომელმაც საუკუნოვ კვალი დაამჩნია ჩვენს სულიერებას. უფლის შეწევნით, თანდათანობით ეს პრობლემა მოგვარდება.

ღმერთმა დალოცოს ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანი. ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას ვუსურვებ მათ. ღმერთმა დალოცოს სრულიად საქართველო!

ჩაიწერა
**ეფემია წიკლაურმა**

● „ასე მივდივართ იმ ქვეყნად ყოველდღიურად 2-3 ვეტერანი. მე ომის სახსოვრად შვიდი ნამსხვრევი მიმაქვს...“

## თბილისის გზების რეაბილიტაციის პროექტი

## ტენდერში მონაწილეობისთვის ვიწვევთ გზის სპეციალისტებს

1. საქართველოს მთავრობის სახელით თბილისის მერიას თბილისში დაახლოებით 600 000 კვადრატული მეტრი გზების შეკეთებისა და რეაბილიტაციის გეგმა აქვს მომზადებული. პროექტი დაფინანსდება არაბეთის ეკონომიკური განვითარების კუვეითის ფონდსა და საქართველოს მთაავრობას შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად.

2. სამშენებლო გზებისთვის გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მხოლოდ კუვეიტისა და საქართველოს ერთობლივი საწარმოს კონტრაქტორებს.

3. კუვეიტისა და საქართველოს ერთობლივი საწარმოს კონტრაქტორთა კვალიფიკაციის შესაბამის სატენდერო დოკუმენტაციას შეარჩევს საქართველოს რესპუბლიკის სახელით თბილისის მერია.

4. კვალიფიკაციის შესამოწმებლად დოკუმენტების სიისა და დამატებითი ინფორაციის მისაღებად მიმართეთ:

თემურ უძილაურს,
თბილისის მერია,
2, თავისუფლების მოედანი
0105, თბილისი, საქართველო
**ტელ:** 995 32 93 61 51
**ფაქსი:** 995 32 98 81 48
E-mail: *i.atanasovi@tbilisi,ge*
**dalavidze@tbilisi.gov.ge**
**temur_udzilauri@hotmail.com**

5. სატენდერო განცხადებები მიიღება 2007 წლის აგვისტომდე.

6. ტენდერში მონაწილეობის ერთობლივი საწარმოები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

6.1. უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში წლიური ბრუნვის ოდენობა უნდა იყოს არანაკლებ 6.0 მილიონი აშშ დოლარისა (ეს შეეხება მხოლოდ კუვეიტის მხარესძ.

6.2. უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში უნდა ჰქონდეს განხორციელებული სულ მცირე 3 ანალოგიური პროექტისა.

6.3. უნდა ჰქონდეს მოთხოვნების შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის (საკუთარი ან დაქირავებულიძ.

6.4. სულ მცირე 1,0 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ლიკვიდური აქტივები ან კრედიტის საშუალება.

7. თბილისის მერიაში ტენდერში მონაწილეობისთვის საკვალიფიკაციო დოკუმენტების წარმოდგენის ბოლო ვადაა ადგილობრივი დროით 13 საათი, 2007 წლის 10 აგვისტო.

## TBILISI ROADS REHABILITATION PROJECT

## INVITATION FOR PRE-QUALIFICATION OF ROAD CONTRACTORS

1. The Government of Georgia, represented by the Tbilisi City Hall, has a plan to rehabilitate and reconstruct road network in Tbilisi of about 600 000 square meter. The Project will be financed through a Loan Agreement between the Kuwait Fund for Arab Economic Development and the Georgian Government

2. The tender for the construction Works will be limited to Joint Ventures of Kuwaiti & Georgian Contractors.

3. The Tbilisi City Hall, on behalf of the Republic of Georgia, intends to prequalify Joint Ventures of Kuwaiti & Georgian Contractors.

4. Pre-qualification Documents and any further information can be obtained from:

Temur Udzilauri, Head of PIU
Tbilisi City Hall
2 Liberty Sq,
0105, Tbilisi – Georgia,
Phone: +995-32 936151
Fax: +995-32 988148
E-mail: *i.atanasovi@tbilisi,ge*
**dalavidze@tbilisi.gov.ge**
**temur_udzilauri@hotmail.com**

5. Invitation to tender are expected in August, 2007

6. The minimum prequalification requirements for a Joint Venture are:

6.1. Average Annual Turnover over the last five years of US$ 6.0 million for Kuwait Contractors, not Georgian.

6.2. Execution of at least 3 similar projects (of generally similar size and complexity) with at least one project in the region- within the last five years.

6.3. Demonstration of sufficient availability (owned or leased) of major Construction Plant and Machinery for execution of the Contract/ Contracts.

6.4. Demonstration of availability of Liquid Assets or Credit Facility of at least US $ 1 million.

7. The last date of Submission of Pre-qualification documents to the Tbilisi City Hall, is 10 August, 2007, 13 Local Time in Georgia

◎ 22 ივნისის ექო

# კაცი, რომელიც სხეულით შვიდ ნამსხვრევს სუვენირივით დაატარებს



ვეტერანები ვაკის პარკში 22 ივნისს

**22 ივნისს ჩემთვის სევდიანი შეფერილობა აქვს; 10 წლის ხაშურელი ბიჭუნა მახსენდება, 66 წლის წინათ იმ დღეს ეზოში რომ სათამაშოდ გავიდა და ამხანაგები ყურებჩამოყრილნი დახვდნენ – ომი დაიწყოო. ბიჭს „განათლებულად“ მოეჩვენა თავი და შესძახა – ე, ტყუილი იქნება, გერმანიასთან ზავი გვაქვს დადებულიო... მამა სამ დღეში გაუწვიეს მობილიზაციით...**

მერე დიდებული რუსული სამხედრო-საომარი სიმღერები ისწავლა, მაგალითად, „Синый платочек“: „Двадцать второго июня, ровно в четыре часа, Киев бомбили, обявили что начался война“... მერე საზეპიროდ აძლევდნენ სკოლაში ქართველ პოეტთა სამხედრო-საომარ ლექსებს.

წლევანდელ 22 ივნისს ბიჭუნადან 76 წლისად ქცეული ბერიკაცი, ვაკეში, გამარჯვების პარკში, ჟურნალისტის სახით მივიდა ომის ვეტერანებთან შესახვედრად. მივიდა და შეცბუნდა: როგორ შეთხელებულა მათი რიგები! რა ღარიბული პურ-ღვინო გაუწყვიათ გრძელ სკამზე! როგორ არავინ ჩანდა ხელისუფალთაგან!

ის დაბერიკაცებული ბიჭუნა მე გახლავართ.

ომის ვეტერანთა თბილისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის მოსე მღინარაძის ნაუბარი ჩავიწერე, ნაღვლით სავსე.

ოლონდ ჯერ ერთგვარი ინფორმაცია განსჯისთვის: ბატონი მოსე, 14 ნოემბერს რომ მრგვალი 90 წელი უსრულდება, სხეულში ჭურვის 7 ნამსხვრევით მივა ასეთ ნიშანსვეტთან: 4 – თავში, თითო-თითო – ფილტვში, მხარსა და ბეჭში! ამ კაცმა ომი უფროსი სერჟანტის წოდებით დაიწყო და რეკორდულ დროში გახდა პოდპოლკოვნიკი და 279-ე გვარდიული მსროლელთა პოლკის მეთაური.

– დიდი სამამულო ომის ვეტერანი 3000-მდე დავრჩით, 500-ზე მეტი ქალია. აგერ, ქალბატონი რომ დგას, ზეინაბ თაქთაქიშვილია, ბერლინში, რაიხსტაგის კედელზე აქვს ავტოგრაფი დატოვებული...

ჩვენი საბჭოს გარდა თბილისში 6 რაიონული ვეტერანული ორგანიზაციაა. ყოველ რაიონში ყველა ომის მონაწილეა აღრიცხული და ხეიბრობის მიხედვით კატეგორიებად დაყოფილი. 300-მდე მარტოხელა გვყავს, ამდენივე ლოგინადაა ჩავარდნილი. შეძლებისდაგვარად ვეხმარებით, ექიმებიც თავიანთი სიკეთით მოდიან, მაგრამ სახელმწიფო მათი ცხოვრებით აბსოლუტურად არ ინტერესდება.

მესამე წელია, რაც ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე ვარ და ბიუჯეტიდან არავითარი დახმარება, არც ხელფასი მიგვილია, რამდენადაც ვიცი, მსგავსი განუკითხაობა არც ერთ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში არ არის, გარდა ბალტიისპირეთისა.

ამჟამად გაუქმებული გვაქვს ყველა შეღავათი, ყოველნაირი შემწეობა. არც ერთი დაპირება არ შეუსრულებია არც პარლამენტსა და არც ჯანდაცვისა და სოციუზრუნველყოფის სამინისტროს.

ასე მივდივართ იმ ქვეყნად ყოველდღიურად 2-3 ვეტერანი. მე ომის სახსოვრად შვიდი ნამსხვრევი მიმაქვს...

...ერთი ჭიქა ღვინო ავწიე, ჯანმრთელობა და უკეთესობა ვუსურვე მცირერიცხოვან შეკრებილთ. გულდამძიმებული წამოვედი, რა თქმა უნდა. დიახ, ბიუჯეტში, ქვეყნისა თუ მერიისა, ომის ვეტერანთათვის არ არის თანხები გათვალისწინებული. სამაგიეროდ, ჩადებულია სარუსლანო, სალოპესო, საკუტუნიო და სხვა საპიარო სახსრები...

22 ივნისი კიდევ ერთი მიზეზი არის ჩემთვის სევდით შეფერილი: დღე იწყებს კლებას...

**თამაზ ეზანოიძე**

## შპს „ქვანტი“ ატარებს აუქციონს

## აუქციონზე გატანილი იქნება:

**შპს „ქვანტის“ ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების ნაწილი 2 წლის ვადით**

**გაიცემა იჯარით ერთ პირზე სხვადასხვა დანიშნულებით გამოყენებისათვის ფართები: სახურავზე 18 კვმ. ტექნიკურ სართულზე 18 კვმ. ეზოში 16 კვმ.**

საიჯარო ქირა: – 1350 ლარი თვეში
ბე – 50 ლარი
ბიჯი – 50 ლარი
მონაწილის ბილეთის ფასი – 25 ლარი.

**იურიდიული მისამართი:** თბილისი, ჯავახეთის ქ. 68. შპს „ქვანტი“. საკონტაქტო ტელეფონი: 73-64-22; განცხადების მიღების ადგილი: ჯავახეთის ქ. 68. შპს „ქვანტი“.

განცხადების მიღების ვადაა: 2007 წლის 23 ივნისიდან 2007 წლის 10 ივლისამდე ყოველდღე 10-დან 15 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა;

აუქციონის ჩატარების თარიღი და ადგილი: 2007 წლის 11 ივლისი, 14 საათი. შპს „ქვანტი“ ჯავახეთის ქ. 68.

თანხის შეტანა: ადგილზე, შპს „ქვანტი“.

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25 პროცენტზე ნაკლებია.

აუქციონში გამარჯვებული მყიდველი ვალდებულია, აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცების მომენტიდან დაფაროს 30 კალენდარული დღის განმავლობაში, აუქციონზე დასახელებული საიჯარო თანხა. წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონი გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა იჯარის უფლება და „ბე“-ს შენატანი არ დაუბრუნდება.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად, რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი საბუთები:

აძ განაცხადი აუქციონში მონაწილეობის შესახებ;

ბძ „ბე“-ს და ბილეთის ფასის შეტანის დამადასტურებელი ქვითრები;

გძ პასპორტი ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

დძ იურიდიული პირები წარმოადგენენ სამეწარმეო რეესტრის ამონაწერს;

ეძ ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

საააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში, განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ობიექტის საწყის გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა.

**შპს „ქვანტის“ ადმინისტრაცია**

◎ ინფორმაცია

## „ვარკეთილის გასართობი ცენტრი“ გასხვისდება

**თბილისის მერიის ადგილობრივი ქონების საქალაქო სამსახური თბილისის მთავრობის საკუთრებაში არსებული შპს „ვარკეთილის გასართობი ცენტრის“ აქციათა 100 %-იან წილს, 10 წლით მართვის უფლებით ასხვისებს.**

საკონკურსო პირობების თანახმად, მმართველი კომპანია ვალდებულია 2 წლის ვადაში 300 ათასი ლარის ინვესტიცია განახორციელოს. იმავდროულად პარკის ტერიტორიაზე თანამედროვე ატრაქციონების დამონტაჟება უზრუნველყოს.

**ეს სახელიმილიანი ბუთხუზა ბიჭი, მაგიდას ძლივს რომ სწვდება, თბილისელი ნიკა ჭანტურია გახლავთ, ჭადრაკის დიდი ტრფიალი. ბრძენთა თამაშის საიდუმლოებას ორი წლის წინათ გაეცნო და ისე მოეწონა, რომ მთელი დღეები 64-უჯრიან დაფას არ შორდება**



ორბიტაზე

## „მანჩესტერ სიტიც“ იყიდება

**კლუბის აქციებსა და მის ვალებს 81,6 მილიონ გირვანქა სტერლინგად ტაილანდის ექს-პრემიერ-მინისტრი ტაქსინ ჩინავატი ყიდულობს.**



ასე რომ, აქამდე უკვე გაყიდულ ბრიტანულ კლუბებს „მანჩესტერ იუნაიტედს“, „ჩელსის“, „ასტონ ვილას“, „პორტსმუტსა“ და „ლივერპულს“, აგრეთვე შოტლანდიურ „ჰარტსს“ მიემატა „მანჩესტერ სიტიც“.

როგორც ამბობენ, „ქალაქელთა“ ახლანდელი ხელმძღვანელები თავიანთ პოსტებზე დარჩებიან, ხოლო ახალ მთავარ მწვრთნელად სვენ-გორან ერიქსონი მოიაზრება.

„ჩვენ ვემზადებით კლუბის ადრინდელ სიმაღლეებზე დასაბრუნებლად და ყველაზე მაღალი ადგილების მოსაპოვებლად როგორც ინგლისში, ისე ევროპაში“, – განაცხადა ჩინავატმა.

ტაქსინ ჩინავატი შარშან სექტემბერში ტაილანდში სახელმწიფო გადატრიალების შედეგად ჩამოაგდეს პოსტიდან და მას შემდეგ უცხოეთში, ძირითადად ლონდონში, ცხოვრობს. ადრე მას „ლივერპულისა“ და „ფულჰემის“ ყიდვაც უნდოდა.

## ცოლის გულისთვის...

**სწორედ ეს მოიმიზეზა 31 წლის იტალიელმა ფეხბურთელმა ფაბიო ბაცანიმ, როცა „სამპდორიიდან“ გადავიდა „ბრეშიაში“. თავდამსხმელის განცხადებით, მან ეს გააკეთა ცოლის ალესია ბერცისა და მათი ვაჟიშვილის გამო.**

ალესიასთან (ფოტოზე) შეხვედრის შემდეგ ფაბიოს თავი უბედნიერეს ადამიანად მიაჩნია. მისი რჩეული ხომ იტალიაში ცნობილი ფოტომოდელია, თანაც „კალმით ნახატი“ ლამაზმანი.

შემთხვევითი არაა, რომ ფეხბურთელი ცოლზე „ჭკუას კარგავს“, განსაკუთრებით ვაჟიშვილის შეძენის შემდეგ. ამიტომაც გადაწყვიტა მან ოჯახთან ახლოს გადასახლება. კონტრაქტი ორი წლით გააფორმა „ბრეშიასთან“, რომელიც ახლა B სერიაში გამოდის. ამ სერიის გუნდების ფეხბურთელებს ხომ გაცილებით მეტი თავისუფალი დრო რჩებათ, რათა ის ოჯახს მოახმარონ.



თაობა

# პატარა ბიჭის დიდი ოცნება

**ეს სახელიმილიანი ბუთხუზა ბიჭი, მაგიდას ძლივს რომ სწვდება, თბილისელი ნიკა ჭანტურია გახლავთ, ჭადრაკის დიდი ტრფიალი. ბრძენთა თამაშის საიდუმლოებას ორი წლის წინათ გაეცნო და ისე მოეწონა, რომ მთელი დღეები 64-უჯრიან დაფას არ შორდება.** ჯერ სკოლაშიც არ დადის და მსოფლიო პირველობაზე გამოსვლის გამოცდილება უკვე შეიძინა – შარშან ბათუმში რვაწლიანთა პაექრობებში მონაწილეობდა. სამი წლით უფროსებთან ჭიდილში შედეგებს ვერ მიაღწია, მაგრამ, სამაგიეროდ, მიხვდა, რომ ჭადრაკი მხოლოდ თამაში არ არის. 5 წლის ყმაწვილისთვის ამის გააზრება ხომ სამყაროს შემეცნების ტოლფასია. ნიკამ უფრო მონდომებით დაიწყო მეცადინეობა მაკა (ხანთაძეძ მასწავლებელთან. შედეგიც უკეთესი აქვს. უკვე მესამე თანრიგის ნორმატივიც შეასრულა. ამჟამად თბილისის ჭადრაკის სასახლეში ვახტანგ ძარსელაძის მემორიალში მონაწილეობს – თემურ ხანთაძის გუნდის – „ღიმილის ბიჭების“ ღირსებას იცავს. სამი პარტიიდან ყველა მოიგო.

ნიკა ჭანტურია, რომელიც წლეულს პირველად შეაღებს სკოლის კარს, დიდ ჩემპიონობაზე ოცნებობს.

ტანვარჯიში

# ილია გიორგაძე რუსეთში მოემზადება

**დამთავრდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ტანვარჯიშში. საასპარეზოდ 19 ვაჟი და 11 გოგონა გამოვიდა. სპორტის ოსტატობის პროგრამით პირველი ადგილი უკონკურენციოდ დაიკავა ილია გორგაძემ, რომელიც თავისი მეოთხე ოლიმპიური თამაშებისთვის ემზადება. მესამე ადგილზე პაატა ნოზაძე გავიდა.**

ოსტატობის კანდიდატების პროგრამით, ასევე, პირველი-მეორე ადგილები მურმან მაღრაძემ და მიხეილ ხარაბაძემ გაიყვეს.



გოგონებში ოსტატობის პროგრამით საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. ქრისტინე შვენთიძე, 2. ქეთევან ბოლქვაძე, 3. მარიამ თუთბერიძე. ოსტატობის კანდიდატებში ყველას ნატალია ძიძიგურმა აჯობა. მეორე იყო ანა პატარქალიშვილი, ხოლო მარიამ ზირაქაძე „ბრინჯაოთი“ დაკმაყოფილდა.

საგულისხმოა, რომ 1-9 სექტემბერს გერმანიის ქალაქ შტუტგარტში სალიცენზიო მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართება. ამ შეჯიბრებისთვის ილია გიორგაძე, ტრადიციულად, მოსკოვში რუსეთის ნაკრებთან ერთად უსასყიდლოდ ივარჯიშებს. რაც შეეხება მარიამ თუთბერიძეს, იგი ბელგრადის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისთვის თბილისში მოემზადება.

ჭადრაკი

# სტაბილურობით გამორჩეული

**ამას წინათ თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონის მაია ჩიბურდანიძის თასზე. შეჯიბრებაში 5 ქვეყნის წარმომადგენლები შვეიცარიული სისტემით (9 ტურად) ეცილებოდნენ ერთმანეთს პირველობას. როგორც გაუწყეთ, 9 შესაძლებლობიდან 7 ქულით მეორე-მეოთხე ადგილები სხვებთან ერთად თბილისელმა საერთაშორისო დიდოსტატმა დავით არუთინიანმაც გაიყო.**

იგი 23 წლისაა. ჭადრაკის თამაში 4 წლისამ დაიწყო. სხვადასხვა დროს შამილ დასნი, ვალიკო ურიდია და ემილ მიქაელიანი ავარჯიშებდნენ. ბოლო წლებია, ხვიჩა სუპატაშვილთან იმაღლებს ოსტატობას. 2001 წელს საერთაშორისო ოსტატი, შარშან კი დიდოსტატი გახდა. ასაკობრივი ტურნირებისა და საერთაშორისო შეჯიბრებების მრავალგზის გამარჯვებული და პრიზიორია. შარშან ეროვნულ ჩემპიონატში II ადგილი დაიკავა. ანალოგიურ წარმატებას წლეულსაც მიაღწია და საქართველოს ნაკრებში დაიბევა ადგილი. შარშან მსოფლიო ოლიმპიადაზე ითამაშა, წლეულს კი ევროპის ჩემპიონატზე დაიცავს ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას.

– შემოდგომით კუნძულ კრეტაზე კონტინენტის გუნდურ პირველობაზე ვითამაშებთ, – მითხრა დათომ. – მნიშვნელოვანი შეჯიბრებაა და საამისოდ აქედანვე ვემზადებით. ერთ-ერთი ეტაპი მაია ჩიბურდანიძის თასის გათამაშებაც იყო, რომელმაც ძლიერ შემადგენლობას მოუყარა თავი. ცუდი სტარტი ავიღე – ზედიზედ სამი პარტია დავამთავრე ყაიმით. ნინო ბალიაშვილს დებიუტში არასწორად შევწირე პაიკი, ცუდი პოზიცია მივიღე, მაგრამ დაზავება მაინც მოვახერხე. მსგავსი რამ განმეორდა დავით ბენიძესთან პარტიაშიც. ჩემს სეხნიას ამ



შეხვედრის თავის სასარგებლოდ დამთავრების შანსი მიეცა, თუმცა ვერ გამოიყენა და აქაც ყაიმს გამოვრჩი.

ევროპის ჩემპიონატისთვის უკეთ მოსამზადებლად კიდევ ორ შეჯიბრებაში მივიღებ მონაწილეობას. 5 ივლისიდან ერევანში მე-12 კატეგორიის წრიული ტურნირი დაიწყება და იქ ვარ მიწვეული, ხოლო 21 ივლისიდან დრეზდენის ღია საერთაშორისო ტურნირში ჩავებმები. ვეცდები, იმედები გავამართლო.

**ლექსო ცინცაძე**

ასეც ხდება

# აბა, ჰაერი იაფად!

**რას არ გამოიგონებს კაცი, ოღონდ მოგება ნახოს. მოხერხებულ ჩინელ საქმოსან ცზე ლის თუ დავუჯერებთ, მან ფეხბურთში 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის დროს გერმანიის თორმეტივე სტადიონზე, სადაც ჩემპიონატის მატჩები მიმდინარეობდა, პაკეტებში შეაგროვა იქაური ჰაერი, უფრო სწორედ „ჩემპიონატის სულისკვეთება“ და ფულის გაკეთება დაიწყო.** თითო პაკეტს 50 იუანად (6 დოლარად) ყიდდა. მას იმედი ჰქონდა, რომ მისი ბიზნესი დიდ ინტერესს გამოიწვევდა იმ გულშემატკივრებაში, ვინც მსოფლიო პირველობაზე დასწრება ვერ შეძლო.



ეს ჩინური კომპანია „მთვარის სოფელი“ მაქინაციებში ადრეც იყო შემჩნეული – კერძოდ, მთვარეზე ვითომდა „უპატრონო“ ნაკვეთების გაყიდვით. 2005 წლის სექტემბერში სამ დღეში 34 ნაკვეთი გაყიდა, აკრი 298 იუნად (38 დოლარად), რაშიც თითქმის 2000 დოლარი მოიგო, მაგრამ მას მალე ლიცენზია ჩამოართვეს, ახლა კი „საჩემპიონო ჰაერის“ გაყიდვაც აუკრძალეს, „ჰაერი წარმოადგენს ძალზე ბუნდოვან და არასტაბილურ ნივთიერებას, რათა ის გახდეს კომერციული კლასიფიკაციის ნაწილი“, – ნათქვამია სასამართლო გადაწყვეტილებაში.

ოლიმპიზმი

# პუტინი გვატემალაში მიემგზავრება

**რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი გვატემალაში 3-4 ივლისს დაესწრება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიას, რომელმაც უნდა განსაზღვროს 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების დედაქალაქი, რისი ერთ-ერთი კანდიდატი სოჭიც არის.**

რუსეთის პრეზიდენტი დაესწრება სოჭის კანდიდატურის პრეზენტაციას, რომელიც ადგილობრივი დროით 9.30 საათზე გაიმართება. როგორც იტყობინებიან, გვატემალაში ჩავლენ აგრეთვე ავსტრიის კანცლერი ჰაინც ფიშერი და კორეის პრეზიდენტი ნო მუ ხენი. ავსტრიის ზალცბურგიცა და კორეის პენგჩანიც ხომ ოლიმპიადის მასპინძლობის კანდიდატები არიან.

№ 117. შაბათი, 23 ივნისი, 2007 წელი.

# ჩვენ

ქვეყანაში ჯერჯერობით საერთო ფონი არცთუ ისე სახარბიელოდ გამოიყურება, მაგრამ პრესის მეშვეობით შეიძლება საგრძნობი წარმატებების მიღწევის იმედი გქონდეს



◉ ჟურნალისტიკა და საზოგადოება

# გენდერული თანასწორობა ყველასთვის...

**ბაკურიანის სასტუმრო „ვიქტორიაში“ გაიმართა ქვეყნის გაზეთების რედაქტორების და წამყვანი გამოცემების ჟურნალისტთა ჯგუფის ორდღიანი სემინარი, რომელთა შორის იყვნენ როგორც თბილისის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები, ისე მათი კოლეგები რეგიონებიდან – საქართველოს ქალაქებიდან და რაიონებიდან. სემინარის თემა ასეთი იყო: „გენდერი, პოლიტიკა და საზოგადოება“.**

**სემინარი მიმდინარეობდა გაეროს განვითარების პროგრამის, საქართველოს პარლამენტის, შვედეთის განვითარების საერთაშორისო სააგენტოს და „გენდერი და პოლიტიკა სამხრეთ**



**კავკასიაში“ პროგრამის ხელშეწყობით. სემინარი გახსნა ექსპერტმა ზერდია ნაცვლიშვილმა, რომელმაც დამსწრეთ გააცნო მომავალ მეცადინეობათა თემა, გასცა პასუხი ჟურნალისტთა მრავალ კითხვას.**

პროგრამა „გენდერი და პოლიტიკა: მიზნები, ამოცანები, წარმატებები“ მიმოიხილა პროექტის კოორდინატორმა ნინო ლაგვილავამ. გაიმართა აზრთა გაზიარება თემაზე: რას ელიან სემინარის მონაწილეები ამ მეცადინეობისგან?“

შემდეგ დამსწრეთა წინაშე გამოვიდა ფსიქოლოგი ხატია ჟვანია, რომელმაც, დაიწყო რა გენდერის ცნებისა და ძირითადი ტერმინების განმარტებით, მიმოიხილა ისეთი საჭირბოროტო თემები, როგორიც არის „გენდერული როლი და სტერეოტიპები“, „გენდერული თანასწორობა და მისი მიღწევის მექანიზმები“. დასასრულ, გაიმართა კითხვა-პასუხის საღამო თემაზე: „გენდერული პოლიტიკა საქართველოში“, რომელშიც აქტიურად ჩაება სემინარის თითქმის ყველა მონაწილე.

მომდევნო დღეს ტრიბუნაზე გამოვიდა ექსპერტი თამუნა ბაგრატია, რომელმაც ილაპარაკა ქალის როლზე პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში. საჯა-ბაასი ნელ-ნელა გადაიზარდა ქალის პოლიტიკური აქტიურობის სტრატეგიულ მიმოხილვაში და დასრულდა გაცხოველებული დისკუსიით, რომელსაც კითხვა-პასუხის ფორმა ჰქონდა. იქვე ნაჩვენები იყო სათაურები ქართული გაზეთებიდან, რომელიც მოწმობენ, რომ, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ამ პრობლემისადმი მიდგომა ფრიად ზედაპირულია.

ჟურნალისტთა ასოციაციის „გენდერმედიაკავკასიის“ პრეზიდენტმა გალინა პეტრიაშვილმა თავისი გამოსვლა დაიწყო დოკუმენტური ფილმის „ორი ვარსკვლავის“ პრემიერით, რომელიც ეხება სხვადასხვა თაობის ორ ქალს – საქართველოს ტელევიზიის პირველი არხისა და საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლობის წამყვანებს, მათ ბედსა და განწყობილებას, რომელიც განაპირობეს ცვლილებებმა და სისტემაში მიმდინარე რეფორმებმა. ახსნა-განმარტებებს იძლეოდნენ გადამღები ჯგუფის წარმომადგენელი ტელერეჟისორი ლელა არაბული. ფილმის ჩვენებას მოჰყვა კამათი, რომელიც შეეხო ისეთ საკითხებს, როგორიც არის ქალის და მამაკაცის კარიერა ჟურნალისტიკაში, ქალის და მამაკაცის პროფესიების მსგავსება, პროფესიის გამოწვევები და რისკი, ჟურნალისტიკის შიდა პრობლემები – შრომის პირობები, დატვირთვა, სოციალური დახმარება ქალისა და მამაკაცისთვის, რედაქტორის დამოკიდებულება კოლეგებთან.

დასასრულ, გაიმართა სემინარი „ვისზე წერენ გაზეთები?“, რომელზეც შეაჯამეს ადგილობრივი, რეგიონული, ცენტრალური და საზღვარგარეთის ქვეყნების გაზეთების მიერ განხორციელებულ გამოკვლევათა შედეგები. ორდღიანი სემინარის საბოლოო შედეგებზე საუბრისას, ამ სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზატორებმა და მონაწილეებმა ილაპარაკეს თავიანთ მოლოდინსა და ამ ორი დღის განმავლობაში მიღებულ ცოდნაზე და დარწმუნდნენ, თუ რაოდენ ნაყოფიერია ასეთი მეცადინეობების გამართვა. საქმე შეეხო შემდგომი თანამშრომლობის პერსპექტივებს, პროექტის მხარდამჭერი ჯგუფების ჩამოყალიბებას.

ქვეყანაში ჯერჯერობით საერთო ფონი არცთუ ისე სახარბიელოდ გამოიყურება, მაგრამ პრესის მეშვეობით შეიძლება საგრძნობი წარმატებების მიღწევის იმედი გქონდეს.

განსაკუთრებით შემაშფოთებელია ოჯახური ძალადობის ფაქტები. მართალია, კანონის თანახმად, ხელისუფლებამ უნდა აწარმოოს შესაბამისი აღრიცხვა, მაგრამ ჟურნალისტებს და მთელ საზოგადოებრიობას დღემდე არ აქვთ ასეთი სტატისტიკური ინფორმაცია. ქალთა რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ გასულ წელს განხორციელებული გამოკვლევის მიხედვით, ქალების 5,2 პროცენტი ხშირად განიცდის ფიზიკურ ძალადობას პარტნიორის მხრიდან. ამას ადასტურებს გაეროს დედამიწის მოსახლეობის ფონდის ინფორმაციაც, რომელიც ეფუძნება 1999 და 2000 წლების მონაცემებს. ამ მონაცემების თანახმად, ქალების 5 პროცენტი აცხადებდა, რომ განიცდიდა ფიზიკურ ზემოქმედებას.

ოჯახური ძალადობის აღმოფხვრის ხელშემშლელ პირობათა შორის დაასახელეს სამართალდამრღვევთა სულ უფრო მეტად გავრცელებული დაუსჯელობა და არასაკმარისი საშუალებები მსხვერპლთა დასაცავად, ისეთები, როგორიც არის დროებითი თავშესაფრები, აგრეთვე კრიზისული ცენტრების უკმარისობა.

ოჯახური ძალადობა მკვეთრად ზღუდავს ადამიანის უფლებათა ფართო სპექტრს – მაგალითად, ფიზიკური და მენტალური სრულფასოვნების, პიროვნების თავისუფლებისა და უშიშროების, ჯანმრთელობისა და ზოგჯერ, თვით სიცოცხლის უფლებასაც კი. ოჯახური ძალადობის მსხვერპლთათვის ნეგატიური შედეგების გარდა, იგი სავალალო ზემოქმედებას ახდენს მთელ საზოგადოებაზეც...

საქართველო არის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და რეგიონული ხელშეკრულებების მონაწილე, რომლებიც სახელმწიფოს აკისრებენ მის იურისდიქციაში მყოფ პირთა უფლებების დაცვასა და პატივისცემას. აქედან გამომდინარე, საერთაშორისო სამართლის ფარგლებში ქვეყანა ვალდებულია იმოქმედოს შესაბამისად, რათა აღკვეთოს ოჯახური ძალადობის შემთხვევები, დასაჯოს ბრალეულები, მსხვერპლთათვის კი უზრუნველყოს დაცვა და რეპარაცია, კომპენსაციის ჩათვლით.

**მურად ალაშვილი,**
**გურამ წიკლაური.**
ბაკურიანი-თბილისი
**ავტორების ფოტო.**

◉ ნაჩუქარი წიგნი

# კიდევ ერთი ქართველი მამლუქის სევდიანი ამბავი

**თვალებს არ დავუჯერე, ამ ერთი კვირის წინათ, რედაქციის მზენაკლულ დერეფანში კარგა ხნის უნახავი კოლეგის ნაცნობი ფიგურა რომ დავლანდე.**

**– სულიკო, ძმაო, სად დაგვეკარგე, – ვეუბნები, – რამდენი წელია ჩვენს გაზეთში შენი აღარც ნარკვევი, აღარც ფელეტონი, უბრალო კორესპონდენციაც კი აღარ გამოჩენილა.**

**– რაღა დროს ფელეტონია, ჩემო ოთარ, ახლა შენი კრიტიკა ვილას რად უნდა. თანაც პატარა ბიჭი ხომ აღარა ვარ, უკვე ოთხმოცს მივუკაკუნე...**

**– და პენსიის ხვრეპის მეტს აღარაფერს აკეთებ, არა?**

**– აი სწორედ ეგ რომ არ ეფიქრა ჩვენზე ზრუნვით უდროოდ გაჭაღარავებულ მთავრობას (ელიმებაძ, ავდექი და წიგნების წერაზე გადავედი. აი, გამომართვი, ერთი მათგანი საჩუქრად მოგიტანე.**

**სულიკო ძინძიბაძე, „ბაღდადის მბრძანებელი“, – ამოვიკითხე სტამბიდან ახლად „ამოხდილი“ წიგნის მწიფეშინდისფერ ყდაზე.**

დიდი კირკიტა ვინმეა ეს ჩვენი სულიკო, ნეტა ეს „ბაღდადის მბრძანებელი“ საიდანღა გამოქექა? – გავიფიქრე და ნაჩუქარ წიგნს შინ მისვლისთანავე ჩავუჯექი. არც მინანია. უცხოეთის მიწაზე მოღვაწე, დაუდ ფაშად წოდებული სახელოვანი ქართველი მამლუქის სევდიანმა ისტორიამ, რომელიც წიგნში უტყუარი მხატვრული ფერებითა და მწერლური ოსტატობით არის აღწერილი, კიდევ ერთხელ მაზიარა მუსულმანთა ბაზრებზე გაყიდული საქართველოს შვილების ბედკრულ წარსულს და მათდამი პატივგებისა და მადლიერების გრძნობით ამავსო.

ვინ იყო დაუდ ფაშა, რომელიც საოცარი მამაცობის, დიდი ჭკუა-გონებისა და განსწავლულობის წყალობით ძველ ერაყში ბაღდადის მბრძანებლად მოგვევლინა, ისტორიული თუ გამოგონილი პიროვნება? არა, ამ წიგნში გამოგონილი არაფერია, მასში ყველაფერი ისტორიული წყაროებით მოძიებული და დადასტურებულია. იგი გახლდათ დავით ბოჩოლაშვილი, რომელიც მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ქვემო ქართლის სოფელ იფნობიდან ჯერ კიდევ პატარა ბავშვი მოიტაცეს და ოსმალთა ბაზარზე ცხვარივით გაყიდეს.

მას, შემდგომში გამოჩენილ სარდალსა და სახელმწიფოს მეთაურს, არასოდეს დავიწყებია ბავშვობის მწარე ხვედრი და მთელი თავისი მოღვაწეობის პერიოდში ტყვედ წაყვანილ თანამემამულეებს გულითადად ეხმარებოდა, როგორც შეეძლო – იხსნიდა მათ და სამშობლოში აბრუნებდა. მან ბაღდადში მიიწვია საკუთარი ძმებიც, მჭიდრო კონტაქტი ჰქონდა ოჯახთან და, საერთოდ, საქართველოსთან.

მან, დაუდ ფაშამ, ბედნიერი ბაბილონის სრულუფლებიანმა ხელმწიფემ, შეჰბედა ოსმალეთის სულთანს მაჰმუდ მეორეს, თავისი სამეფო პორტას იმპერიისგან დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოეცხადებინა, ამასთან, უარი ეთქვა თურქეთის მიმართ ერაყის ვალზეც. ამას, ბუნებრივია, მოჰყვა დამპყრობ ოსმალოებთან განმათავისუფლებელი ომი, რომლისაც სათავეში უტეხი და ჭკვიანი მამლუქი დაუდ ფაშა ედგა.

მართალია, ამ ომში, ქვეყანაში მძვინვარე შავი ჭირის ეპიდემიის გამო, დაუდ ფაშა დამარცხდა, მაგრამ მისი დიდი ნიჭიერების, განუზომელი ავტორიტეტისა და ხალხის მხარდაჭერის შემხედვარე ოსმალოებმა მამაცი ქართველი




მამლუქის დასჯა ვერ გაბედეს. პირიქით, იგი სახელმწიფო პენსიის ღირსად ჩათვალეს და ხაზინიდან საკმაო სარჩო გამოუყვეს.

ეს კიდევ არაფერი, სტამბოლმა დაუდ ფაშას ჯარი ჩააბარა და ეგვიპტეში მუჰამედ ალის წინააღმდეგ საბრძოლველად გაგზავნა. იქაც ისახელა თავი.

შემდეგ? ჯერ ბოსნიის გამგებლის პოსტზე მბრძანებლობდა, მერე კი ოსმალთა იმპერიის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის სახელსაც ფლობდა, ანკარის ვილაიეთის გამგებელიც გახლდათ...

ბოლოს, თავისივე თხოვნით, ნება დართეს და მუსლიმანთა წმინდა ქალაქებში გაემგზავრა, სადაც მუჰამედ წინასწარმეტყველის მავზოლეუმის ზედამხედველის პოსტზე დანიშნეს ქალაქ მედინაში. მან აქ, აინ ზეგის წყაროს ახლოს, საკუთარი ხელით გააშენა დიდებული ბაღი „დაუდიე“.

1851 წელს გარდაიცვალა. საკუთარი ანდერძის თანახმად, მის საფლავს უბრალო რკინის მესერი შემოავლეს.

მისი სიბრძნე და ვაჟკაცობა არაერთი გამოჩენილი მეცნიერისა და პოეტის შემოქმედებაშია ასახული.

ამას ეპილოგში თავად წიგნის ავტორი ამბობს, რითაც მიგვანიშნებს, რა რთულსა და ძნელ საქმეს მოჰკიდა ხელი, როცა ამ სახელოვანი თანამემამულის ცხოვრებისა და მოღვაწეობის სურათის კიდევ ერთხელ წარმოჩენა მოინდომა. რეცენზენტობას არ ვჩემულობ: ამ რთულ მამულიშვილურ მოვალეობას რამდენად გაართვა თავი სულიკო ძინძიბაძემ, ამის განსჯა მკითხველისთვის მიგვინდვია.

**ოთარ ხუციშვილი**

№ 117. შაბათი, 23 ივნისი, 2007 წელი.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576

გვწერენ

# მადლობა საპატრულო პოლიციას



პატივცემულო რედაქცია. ამ პატარა წერილით მინდა მადლობა მოვახსენო დედოფლისწყაროს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს ალექსანდრე ბოსტოლანაშვილსა და ხვიჩა ბალაშვილს, რომლებმაც დიდი გულისხმიერება გამოიჩინეს და დამეხმარნენ ჩემი ოჯახის წევრის მოძებნაში, რომელიც სახლიდან საღამოს 6 საათზე გავიდა სულ რაღაც ერთი საათით. მაგრამ ღამის 12 საათამდე არსად გამოჩნდა.

შეშფოთებულმა შევატყობინე საპატრულო პოლიციას. მათი ძალისხმევით ოჯახის წევრი უვნებელი დამიბრუნეს

ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

საპატრულო პოლიციის თანამშრომლების გულისხმიერებამ გული გამითბო. კიდევ ერთხელ მოწიწებით ვუხდი მადლობას ალექსანდრე (ალიკაძ, ბოსტოლანაშვილსა და ხვიჩა ბალაშვილს.

რა ცოტა რამ უნდა ადამიანის ბედნიერებას!

პატივისცემით,
**ნუგზარ ნიკვაშვილი**
დედოფლისწყარო.

SIC!

# პრობლემური წამალი თუ ექიმი?!

**სხვათა შორის, თურმე პრობლემური წამლებიც მართლაც არსებობს. შევიტყვეთ, რომ უარყვეს ანალგინი, უარყოფილია მრავალი ანტიბიოტიკი, როგორც გამოირკვა, უკუჩვენებების გამო, მაგრამ ამჯერად თქვენი ყურადღება მეტად საჭირბოროტო საკითხს მინდა დავუთმო.**



გაგვიგონია, ქრთამის გამო დააკავეს ჩინოვნიკები, მეწარმეები, მოსამართლე... ხალხი მობილური ტელეფონებისა და ასი ლარისათვის ჩასვეს ციხეში, მაგრამ არავინ ახსენებს და ყურადღებას არ აქცევს ისეთ სერიოზულ დანაშაულს, რომელიც ქრთამზე უარესია. ასეთი ფაქტები, „დაფიქსირებულია“ აეროპორტში.

მდიდარი ფარმაცევტული კომპანიები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან საკუთარი პროდუქციის რეალიზაციით, სხვადასხვა სემინარებისა და გამოფენების ეგიდით (ანუ ინილბება ეს მოვლენაძ ეპატიჟებიან თავის ხარჯებით უცხოეთში იმ ექიმებს, რომლებიც შემდგომ ამ ფირმის წამლებს ლობირებენ და სთავაზობენ ავადმყოფებს, როგორც იტყიან, ხელმა ხელი დაბანაო, ქრთამი მეტი რაა. ასეთი მოგზაურობები ორიდან სამი ათას დოლარამდე, ზოგჯერ მეტიც ჯდება. სამაგიეროდ თურქული, ინდური და სხვა მდარე ხარისხის ფირმების წამლებს, გზა ხსნილი აქვთ. კორუმპირებული ექიმები, ასე შეიძლება ვუწოდოთ მათ, ვინც ამ ფირმების შეთავაზებით სარგებლობენ, ლონდონსა და პარიზში, ბარსელონასა და სხვა ქალაქებში ამ ფირმების ხარჯზე მოგზაურობენ, ხოლო ავადმყოფები სულს ღაფავენ ახალ-ახალ ყოველდღიურად გაძვირებული გაურკვეველი ფირმების წამლების შეძენაში და იმის მოლოდინში – გვეშველებაო, მეტი არაა ჩემი მტერი!

ფარმაცევტული ფირმები დღეს ყველაზე შემოსავლიანი ბიზნესით არიან წარმოდგენილი, – მდიდარი ოფისები, მანქანები, მაღალი ხელფასები, ვის ხარჯზე? – ისევ ჩვენი, გაჭირვებული ავადმყოფი ხალხის ხარჯზე. წამლების ფასები პროგრესულად იზრდება იმ დროს, როდესაც არც საბაჟო გადასახადი შეცვლილა და არც კანონმდებლობა. „პსპ“, „ავერსი“ და სხვებმა ნახევარი ქალაქი იყიდეს, იმდენი მოახერხეს, პარლამენტშიც შეაღწიეს. ამბობენ, ექიმის რეცეპტის გარეშე წამლები აღარ გაიყიდებაო, ესეც მათ მიერ ლობირებული კანონებია. ვიღაცას არ აწყობს, მიდის ფარული და დიდი კონკურენცია, საკითხი მეტად საგანგაშოა და დასაფიქრებელი, რადგანაც ექიმების „გულაობით“ ჩვენი ჯანმრთელობა ნამდვილად არ გაუმჯობესდება.

**აბი წამალაშვილი,**
პენსიონერი

2007 წლის 20 ივლისს, დღის 17 საათზე გაიმართება სს „ლითონის“ აქციონერთა კრება.

დღის წესრიგი:
1ძ სალიკვიდაციო ბალანსის განხილვა;
2ძ სამეთვალყურეო საბჭოს არჩევა;
3ძ აუდიტორის არჩევა;
4ძ ორგანიზაციული საკითხი;
5ძ სხვადასხვა საკითხები;
მისამართი: ფალიაშვილის 48. ტელ: 22 31 45.

* * *

2007 წლის 25 ივლისს დღის 17 საათზე გაიმართება სს „პურის მიმღების“ აქციონერთა კრება

დღის წესრიგი:
1ძ სალიკვიდაციო ბალანსის განხილვა;
2ძ აუდიტორის არჩევა;
3ძ ორგანიზაციული საკითხი;
4. სხვადასხვა საკითხები.
მისამართი: რუსთაველის ქუჩა 9. ტელ: 9 18 12.

სააქციო საზოგადოება „ქალაქმშენის“ აქციონერთა საყურადღებოდ!

2007 წლის 12 ივლისს, 11 საათზე თბილისში, ვაჟა ფშაველას გამზ. №16-ში, V სართულზე მოწვეულია აქციონერთა საერთო კრება.

დღის წესრიგი:
1. სს „ქალაქმშენის“ ანგარიში 2006 წელს გაწეული მუშაობის შესახებ;
2. სს „ქალაქმშენის“ 2006 წლის მოგების შესახებ;
3. სს „ქალაქმშენის“ 2006 წლის წმინდა მოგების განაწილების დამტკიცება.

სამეთვალყურეო საბჭო

მოგვმართავენ, გვეკითხებიან

რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი

**კითხვა:** ჩემი შვილი სკოლის დამთავრებისთანავე გათხოვდა, ჯერ 18 წლის არ არის და შვილს ელოდება. ხელი არ მოაწერინეს – 18 წლის არა ხარო. გთხოვთ, განმიმარტოთ, რა ვილონოთ, რომ ჩემი შვილიშვილი კანონიერ ოჯახში დაიბადოს?

ანასტასია გზირიშვილი

**პასუხი:** რა თქმა უნდა, არის გამოსავალი, ქორწინების რეგისტრაცია 17 წლის ასაკში დასაშვებია მშობლების შუამდგომლობით, ან უშუალოდ 18 წლამდე ასაკის ახალგაზრდების დაქორწინებაზე ნებართვის მისაღებად სასამართლოს მიმართვით.

მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-96-33.

ხელოვნება

# ლეილა ბასილაია



განგების ძალით თითქოსდა თბილი და ალერსიანი უნდა იყოს ივნისი, უცრემლო, ხალისიანი...

...მაგრამ ყველაზე ხშირად ამ დროს იწყებოდა ომები, იმართებოდა ბრძოლები სიცოცხლისათვის, იყო ცრემლი და გულისტკივილი, ლეილაც ცრემლიანი 41-ის ივნისში მოევლინა სამყაროს... ისწავლა, იშრომა, თავი შეგვაყვარა...

გაზაფხულზე ჩუმი შიშით გარინდულნი ვერ ვბედავდით, თითქმის თვალებით ვეკითხებოდით ერთმანეთს – როგორ არის?, – გადარჩება? ინსტიტუტში მოვიდა მომავლის რწმენით, იყო სიხარულიც და შეხვედრის ცრემლიც, მაგრამ ეს ყოველივე ყოფილა საწყისი ცრემლიანი დასასრულის, – 20 ივნისის თბილ და გრილ ღამეს მარადიულ სამყაროში დაისადგურა დიდებული ქალის, ერთგული მეგობრის და შესაშური სპეციალისტის, ეკონომისტ-ფინანსისტის ქალბატონ ლეილა ბასილაიას უმწიკვლო სულმა.

ძალიან ძნელია 45-წლიანი თანამშრომლობისა და ერთგულების მიტოვება დიდი გულისტკივილისა და მწუხარების გარეშე. ასეთი გულისტკივილით მიგვატოვა მან ინსტიტუტის თანამშრომლები. იგი ჩვენთვის მუდამ მომღიმარი, მოსიყვარულე და თითოეულისადმი ერთგული სიყვარულით დარჩება ჩვენს გულში.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული. ამინ!

მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტი

ოთარ ბერიშვილი ოჯახით იუწყება უახლოესი მეგობრის, პოლიციის პოლკოვნიკის
ვლადიმერ ქირიას
გარდაცვალებას და თანაუგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

სს „ი. ფაღავას სახ. პედიატრიის ს/კ ინსტიტუტი“ იწვევს სააქციო საზოგადოების რიგგარეშე საერთო კრებას ა.წ. 2 ივლისს 13 საათზე.

**დღის წესრიგი:** საწარმოს თანამშრომლებზე კანონით გათვალისწინებული აქციების 10 %-ის გადაცემა და სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირება. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების და აქციონერთა დასწრება სავალდებულოა. მისამართი: ქ. თბილისი, მელიქიშვილის ქ. №5; II სართული

სს „ი. ფაღავას სახ. პედიატრიის ს/კ. ინსტიტუტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე.

№ 2/632-07

# განჩინება

საქართველოს სახელით
კრედიტორთა კრების მოწვევის შესახებ

20 ივნისი 2007 წელი ქ. თბილისი

**თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ბესიკ სისვაძემ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა შპს „საშენი მასლები და ნაკეთობანი“-ს მიმართ გახსნილ გაკოტრების საქმეზე კრედიტორთა პირველი კრების მოწვევის საკითხი.**

**სარეზოლუციო ნაწილი:**

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე მუხლებით, „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11, მე-12, მე-15, 22-ე და 31-ე მუხლებით და

**დაადგინა:**

1. შპს „საშენი მასალები და ნაკეთობანი“-ს მიმართ გახსნილ გაკოტრების საქმეზე კრედიტორთა პირველი კრება მოწვეულ იქნეს 2007 წლის 10 ივლისს 10 საათზე, მისამართზე ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ №1, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია;

2. შპს „საშენი მასალები და ნაკეთობანი“-ს გაკოტრების მმართველ ვახტანგ კაპანაძეს დევალოს 2007 წლის 2 ივლისამდე განჩინების ცენტრალურ და ადგილობრივ პრესის მეშვეობით გამოქვეყნება, განჩინება გამოქვეყნდეს ასევე ელექტრონული ინფორმაციის საშუალებით და განჩინება განთავსდეს სასამართლოს დაფაზეც;

3. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა დაუშვებელია.

**მოსამართლე ბესიკ სისვაძე**

№ 117. შაბათი, 23 ივნისი, 2007 წელი.

№ 117. შაბათი, 23 ივნისი, 2007 წელი.

● არქიტექტორის პროფესიამ ხელი შეუწყო ფერეს, დაემტკიცებინა მსოფლიოსთვის, რომ ჰარმონიისა და გემოვნების სინთეზი ქმნის მოდას არა სამი თვით, არამედ მრავალი წლით



## ◉ სატირა (ლი) ლექსი



*ერთი კვირის წინათ თბილისში, საქართველოში შექმნილი ქონების დასათვალიერებლად არაბი შეიხი საუდ იბნ ზაქალ-ქასიმი ჩამოვიდა. მის მფლობელობაშია 67 მილიონ დოლარად შექმნილი სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასი“. მანამდე შეიხმა რამდენიმე მილიონად შეისყიდა ტაბახმელაში არსებული მიწის დიდი ფართობი. შეიხმა რამდენიმე დღეში მთელი საქართველო შემოიარა. მას დაგეგმილი აქვს სასტუმროების მშენებლობა ყვალიათში, ვარძიასთან ახლოს, აჭარის ტერიტორიაზე. საუდ იბნ ზაქალ-ქასიმს საქართველოში მილიარდ 500 მილიონი დოლარის პროექტების დაფინანსება აქვს განზრახული.*

ოფიციალური ინფორმაცია

### შემოვიდნენ ისინი...

„იყო არაბეთს როსტევან“, გადავაკეთეთ სხვა ხმაზე,
წაგებ-მოგებას არ ვითვლით, ისე წავედით „ვა ბანკზე“.
არაბეთიდან ვიახლეთ შეიხი — მეფე სვიანი,
ხონჩით მივართვით ვახტანგის ხოხობი ოქროსფრთიანი,
ღვინოს არ სვამდა, ვაგემეთ, ბორჯომი კუმისიანი.
ერთ დღეში შემოიარა ქართლ-კახეთი და იმერი,
აღფრთოვანებას ვერ მალავს შეიხი, მრავლისმხილველი.
„ეს რა სამოთხე ვიხილე, აწი ამას ვინ წამართმევს,
რა მინდა იმ უდაბნოში, აქ გადმოვიტან არაბეთს,
ჩემს სამფლობელოდ გავიხდი მეფე თამარის აგარაკს,
მილიარდს ჩავჩრი ხახაში, არ ვაცლი ზედმეტ ლაჭარაკს,
ზღვასაც ვიყიდი, მინდორსაც, შვილს დავუტოვებ ანდერძით,
უომრად გადავიბარებ „გულუხვ“ მთავრობის განგებით,
მეტეხიც ჩემი იქნება, თვით ვარძიაც კი კლდოვანი!“

*ასეთი სიცოცხლეს არა სჯობს „სიკვდილი სახელოვანი?“*

**შოთა არაბიძე**

## ◉ შეშლილი მსოფლიო

### აი, „რეკორდი“!

**სახელის მოსახვეჭად ხალხი რაღას არ აკეთებს, აი, თუნდაც ჯარჯ სტოუნი, რომელმაც წარმატებისთვის უჩვეულო გზა აირჩია — ჯაკარტის დაფუძნებიდან 480 წლისთავის ზეიმზე მან ადგილიდან დაძრა და 50 მეტრზე ატარა ... პენისზე გამობმული 9-ტონიანი ავტობუსი.**

საბედნიეროდ, ჯერჯერობით არაფერს იტყობინებიან სტოუნის ჯანმრთელობაზე ან მისი რეკორდსმენი ორგანოს მდგომარეობაზე. თუმცა, როგორც ამბობენ, „სპორტსმენი“ მიღწეულით არ დაკმაყოფილდება და დაოსტატება-წარმატებებისთვის გულმოდგინედ ვარჯიშობს. არც კონკურენტები სხედან „გულ-ხელ დაკრებილნიო“, ისინიც ემზადებიან ახალი რეკორდებისთვისო.



ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ სტოუნმა თავისი მიღწევით დაამხო ჩინელი ცზიან ჩაჟენის ადრინდელი რეკორდი — მან ხომ მხოლოდ ორტონიანი ავტომანქანა დაძრა ადგილიდან.

## ◉ მოდა

**რამდენიმე დღის წინათ გარდაიცვალა დიდი კუტიურე, მეტრი — მაღალი მოდის სამყაროში ჟან ფრანკო ფერე. დღეს ჩვენს რუბრიკაში სწორედ მასზე გიამბობთ.**

ფერეს, ხშირად მოდის არქიტექტორს უწოდებდნენ. თუმცა, პროფესიით არქიტექტორს არასოდეს უოცნებია მოდელიერობაზე. ერთი ჰობი კი ჰქონდა — საღამოობით ლამაზი სამაჯურებისა და სხვადასხვა აქსესუარის კეთებით ირთობდა თავს. მოდის სამყაროში გავლენიანმა პირმა შესთავაზა მას, მილანის ფეშენებელური მაღაზიისთვის აქსესუარების კოლექცია შეექმნა. ნამუშევრები თითქმის ერთ დღეში გაიყიდა. ეჭვი, სად უნდა წასულიყო — არქიტექტურასა თუ მოდელირებაში, ჟან ფრანკო ფერეს 1978 წლამდე არ შორდებოდა. ბოლოს გადაწყვიტა, მეგობრებთან ერთად გაეხსნა ფირმა — „ჟან ფრანკო ფერე“. პირველი კოლექცია — „არომატი ქალებისთვის“ ფერეს წარმატებული კარიერის დასაწყისად შეიძლება ჩაითვალოს. მან ე. წ. ჯინსების ეპოქის დროს, „დენიმის“ კოლექციაზე დაიწყო მუშაობა. ამის შემდეგ, ექსკლუზიური ბეწვეულის სერია გამოუშვა, 80-იანი წლების ბოლოს მოდის სამყაროში მას უკვე ყველაზე ნიჭიერ და გენიალურ მოღვაწედ აღიარებენ.

### დიდი კუტიურე, რომელიც პროფესიით არქიტექტორი იყო

ჟან ფრანკო ფერემ ლეგენდარულ დიორის სამოდელო სახლში რვა წელიწადი იმუშავა — დიორიდან წავიდა, ფერესთან დასაბრუნებლად, — აღნიშნავდნენ მოდის ექსპერტები. არქიტექტორის პროფესიამ ხელი შეუწყო ფერეს, დაემტკიცებინა მსოფლიოსთვის, რომ ჰარმონიისა და გემოვნების სინთეზი ქმნის მოდას არა სამი თვით, არამედ მრავალი წლით.









აღსანიშნავია, რომ ჟან ფრანკო ფერე არ ეხმიანება იმას, რაც ვალენტინოს ან არმანის ახასიათებთ, ამიტომაც ამ მხრივაც, მისი ღვაწლი იტალიისა და მსოფლიო მოდის აყვავებაში შეუმჩნეველი არ არის.

ფერეს წარმატებული წარმოების წლიური მოგება 300 მილიონ ევროს აღწევს.

1989 წელს ჯგუფ „LVMAN“-ის პრეზიდენტმა ბერნარ არნომ შესთავაზა ფერეს მარკო ბუანას ადგილი, რომელიც მაშინ „დიორის“ სახლში მეფობდა. პუბლიკამ ეს ახალი ამბავი გამოწვევად აღიქვა, მაგრამ დრომ აჩვენა, რომ ბერნარ არნო არ შემცდარა — მათ შეძლეს ფერეს დიორის სახლის წყაროებთან დაბრუნება. პირველივე კოლექციის შემდეგ კუტიურემ ოქროს სათითე მიიღო.

— წლებმა, რომელიც დიორთან გავატარე, დამიტოვა ბევრი რამ — სიყვარული, მონდომება ექსპერიმენტები და მეგობრული ურთიერთობები მის კლიენტებთან, — აღნიშნავდა მოდელიერი.

90-იანი წლების ბოლოს დაიწყო იტალიური მოდის ექსპანსია მთელ მსოფლიოში. ამ ვითარებამ ხელი შეუწყო ქალების მოთხოვნებს — თანამედროვე სამოსი რეალურ ფასებში უნდა გაყიდულიყო. ფერემ შეძლო ამ სიტუაციის გამოყენება. მილანის სტუდიაში მან შექმნა ტანსაცმელი, უპირველესად, ქსოვილიდან და არა ესკიზიდან გამომდინარე.

აღსანიშნავია, რომ ჟან ფრანკო ფერე, ყოველდღე, 14 საათი მუშაობდა და მაქსიმალურად მომთხოვნი იყო თანამშრომლებისადმიც. მან ვალენტინოსთან, არმანისთან და ვერსაჩესთან ერთად, იტალიური მოდა დიდების მწვერვალზე აიყვანა.

**ლელა დონაძე**

**სურათზე: ჟან ფრანკო ფერე და მისი მოდელები.**

## ◉ ანეკდოტები

სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობის გაძლიერება იოლად შეიძლება ხელფასის 10-15-ჯერ გაზრდით.

* * *

ჩავიდა მოშე ისრაელში. მაშინვე საროსკიპოს მიაშურა:

— სარა მინდა, — იძლევა შეკვეთას.

— სარა დაკავებულია.

— არა უშავს, დავუცდი.

ერთი საათის შემდეგ სარა გათავისუფლდა. კიდევ ერთი საათი მოშესთან იკოტრიალა. მოშემ 200 დოლარი მისცა.



— ღმერთო ჩემო, ამდენი რა საჭიროა? — უკვირს აღტაცებულ სარას, მაგრამ ფულს მაინც იღებს.

მეორე დღესაც იგივე მეორდება. მესამე დღესაც კვლავ 200 დოლარს აძლევს მოშე.

— ღმერთო ჩემო, ამდენი რა საჭიროა, ასე რატომ იხარჯებით? — ვითომ უარობს სარა, მაგრამ ფულს, ცხადია, იღებს.

— არა უშავს, არაფერსაც არ ვიხარჯები. ოდესიდან წამოსვლისას დეიდათქვენმა გამომატანა 600 დოლარი თქვენთვის გადმოსაცემად.

* * *

ბიჭი ჯერ ეხვეწება გოგოს, რომ როგორმე მუხლებზე დაუჯდეს.

მერე მას ხელში ატაცებული ატარებს...

და ყველაფერი ეს მხოლოდ იმისთვის, რომ შემდეგ გოგო მას თავზე დააჯდეს.

* * *

— სწრაფად ჩაიცვი, დედაჩემი მოვიდა!

— ფუი, დასწყევლოს ეშმაკმა! ახლახან არ დავწექით? ვინც აწი ჩემდათავად შენთან მოვიდეს!...

ხმა კადრს მიღმა:

— დედა — საუკეთესო ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალება!

## ◉ კადრი



რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
აიწყო და დაკაბადონდა „გამომცემლობა მაქსიმუმში“.
მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 93-50-22.
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემლები
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებელი ჟურნალისტები. მისამართი: კოსტავას ქ. № 14.
ტ: 899 537616; 98-96-33.
შპს „თანადგომა -1“ ქიზიყის ქ. № 12.
ტ: 899 797679; 98-96-32.

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი
მორიგე რედაქტორი მამუკა ვაშაკიძე

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.
ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.